К 30.844 / 3
Г. Г. 1/52. Бg

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1907 წლის „ნაკადულის“ კრებული

ვილჰელმ და იაკობ გრიმის

ზღაპრები

თარგმნა

ივ. ქავთარაძისა.

ტფილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1907 წლის „ნაკადულის“ პრემია

ვილჰელმ და იაკობ გრიმის

ზღაპრები

К 30.644
F 104.285
3

თარგმანი

ივ. ჭავთარაძისა.

ტფილისი
:ადმინისტრაციის სტოიბი წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ბისა.
1907

საქართველოს პატრიოტ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბ-2000

ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘ

I—ᲛᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲐᲓ ᲬᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲐᲑᲣᲚᲘ 5
II—ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲬᲘᲐᲜᲣᲠᲔ 21
III—ᲛᲔᲝᲕᲔᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲪᲝᲚᲘ 25
IV—ᲛᲐᲛᲐᲪᲘ ᲛᲙᲣᲠᲕᲐᲚᲘ 37
V—ᲬᲣᲬᲣᲐᲜᲘ 50
VI—ᲓᲔᲓᲐᲑᲔᲠᲘ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ 60
VII—ᲨᲕᲘᲓᲘ ᲝᲠᲐᲜᲘ 65
VIII—ᲬᲘᲝᲗᲔᲚ-ᲥᲣᲓᲐ 69
IX—ᲑᲠᲔᲛᲔᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲛᲣᲡᲘᲙᲔᲜᲘ 74
X—ᲪᲐᲑᲚᲐ, ᲯᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲑᲐᲚᲘ 80
XI—ᲒᲣᲚᲬᲐᲠᲛᲢᲐᲪᲘ 94
XII—ᲝᲥᲠᲝᲡ ᲝᲠᲗᲝᲐᲜᲘ ᲩᲘᲢᲘ 108
XIII—ᲫᲐᲚᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲚᲣᲠᲐ 120
XIV—ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲘᲕᲐᲜᲔ 124
XV—ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲒᲝᲒᲝ 132
XVI—ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲔᲠᲫᲘ 137
XVII—ᲪᲐᲚᲗᲕᲐᲚᲐ, ᲝᲠᲗᲕᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲗᲕᲐᲚᲐ 142
XVIII—ᲝᲥᲠᲝ-ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ 154
XIX—ᲗᲔᲗᲠᲗᲝᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲓᲝ 156
XX—ᲗᲘᲗᲘᲡᲢᲐᲠᲘ, ᲛᲐᲥᲝ ᲓᲐ ᲜᲔᲥᲡᲘ 168
XXI—ᲓᲐᲕᲓᲔᲗᲘᲚᲘ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ 172
XXII—ᲨᲐᲨᲕᲘᲡᲬᲕᲔᲠᲐ ᲛᲔᲝᲕᲔ 178

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვილჰელმ და იაკობ გრიმი



ეროვნული ბიბლიოთეკა

შიშის სანახავად წასული ჭაბუკი

ერთს კაცს ორი ვაჟი ჰყავდა. უფროსი იყო ჭკვიანი, შეგნებული და ყოველ საქმეში მოხერხებული; უმცროსი-კი უჭკუო, გაუგებარი და მოუხერხებელი. უმცროსის დანახვაზედ ყველა ამას გაიძახოდა:

— ვაი საცოდავი ამის პატრონი, რამდენი მწუხარება შეხვდება ამის გამო!... ყოველივე საქმე უმფროს ვაჟს უნდა გაეკეთებინა, მხოლოდ, როცა მამას მისი გაგზავნა ღამეგვიან ისეთ ადგილას მოუნდებოდა, საითკენ მიმავალი გზა ან სასაფლაოს ახლო უვლიდა, ან სხვაფრივ იყო საშიში, მუდამ ასე გაიძახოდა:

— არა, არ შემიძლია, მამავ, ვერ წავალ, შიშის ზარმა ამიტანა! სულ ვცახცახებ! ამ სიტყვებს იმისთვის ამბობდა, რომ მართლა ეშინოდა. საღამო ჟამს, როცა ზღაპრულ ამბავს მოჰყვებოდნენ, რომელშიაც საშიში და რაინდული სურათები იხატებოდა, ცახცახს დაიწყებდა და გაიძახოდა: ოჰ, რა საშინელებაა!..." უმცროსი-კი თავისთვის იჯდა კუთხეში და ვერ მიმხვდარიყო, რაზედ იყო ლაპარაკი, ან რა არის შიში?

— ნეტავ ვიცოდე, რაზედ ლაპარაკობენ, — ხშირად იტყოდა უმცროსი: „მე მეშინია! ჟრუანტელმა გამირბინა მთელს

სხეულში! შიშისაგან ვცახცახებ?“ მე რომ ჩემს დ[illegible] არ მიგრძვნია? ალბად ეს ისეთი მეცნიერებაა, ro[illegible] მე არ ძალ-მიძს.

ერთხელ მამამ უთხრა:

— გესმის, შენ ზარმაცო, შენ ეხლა დიდი ხარ და ღონიერი, უნდა ისწავლო რამე, რომ შენით მოიპოვო საზრდო. ვერ ჰხედავ, შენი ძმა როგორ შრომობს და შენ-კი ყოვლად გამოუსადეგარი ხარ.

— ეჰ, მამავ! მიუგო შვილმა.—მეც-კი მინდა რამე, ვისწავლო, მაგრამ როგორ? აი, მაგალითად, მე ძლიერ მინდა გავიგო, როგორ შეიძლება შიშისაგან ცახცახი? წარმოდგენაც არა მაქვს, თუ რას ნიშნავს შიშის ზარი? უფროსმა ძმამ ამის გაგონებაზედ გულიანად გადიხარხარა და ჩაილაპარაკა:

— ღმერთო ჩემო, რა ბრიყვია ეს ჩემი ძმა! იმისაგან არაფერი გამოვა. ადამიანს, თუ უნდა სიბერის დროს გემრიელი პური სჭამოს, სიყმაწვილეში უნდა იშრომოს. მამამ-კი ამოიოხრა და ხმა მაღლა უთხრა:

— შიშისაგან ცახცახს ისწავლი, მაგრამ მაგით ლუკმა პურს ვერ იშოვნი.

დიდი ხანი არ გასულა ამ ლაპარაკის შემდეგ, მოხუცს ეკლესიის მნათე ეწვია. სულელი და მოუხეშავი შვილის მამამ თავისი მწუხარება შესჩივლა,—ჩემი უმცროსი შვილი ყოვლად გამოუსადეგია, არც არა იცის რა და არც რასმე სწავლობსო.

— წარმოიდგინეთ, დაუმატა მამამ, როცა ვკითხე რის სწავლის სურვილი გაქვს, რომ ლუკმა იშოვნო მეთქი, მისმა პასუხმა ჭკუიდამ შემშალა! მინდა ვისწავლო, თუ როგორ შეიძლება შიშისაგან ცახცახი?

— თუ-კი მარტო ამაზეა საქმე, მე შემიძლია შემწეობა აღმოვუჩინო, მიუგო მნათემ. მე გამომიგზავნე, ისე გავწვრთნი... მამა ძალიან კმაყოფილი დარჩა. მნათემ თან წაიყვანა უშიშარი და უთხრა: დღეის იქით ზარის რეკვაში დამეხმარებიო. გავიდა ორი დღე. შუა ღამეს გადაცილებული იქნებოდა, როცა მნათემ ჩვენი უშიშარი ჭაბუკი გააღვიძა და უთხრა: „საბრეკლოზედ ადი და ზარი დაჰრეკეო.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეხლა-კი გაიგებ, თუ რა არის შიში! წაილაპარაკა თავისთავად მნათემ და წინ გაუსწრო. როცა ყმაწვილი სამრეკლოზედ ავიდა და ზარზედ მობმულ თოკისთვის ხელი უნდა მოეკლო დასარეკად, მარჯვნივ მხარეს, კიბესთან თეთრ სუდარაში გახვეული ადამიანის მზგავსი ლანდი დაინახა.

ყმაწვილი მიუახლოვდა და ხელი ჰკრა მოჩვენებას.

— ვინა ხარ მანდ? უშიშრად შეჰყვირა ჭაბუკმა, მაგრამ მოჩვენება არც პასუხს აძლევდა, არც ადგილიდამ იძროდა.

— მიპასუხე, გესმის თუ არა, კიდევ შეჰყვირა უშიშარმა — თორემ აქედამ გადაგაგდებ! ამ დროს აქ რა გინდა? მნათე-კი უძრავად იდგა, რომ ჭაბუკს მოჩვენება ჰგონებოდა. იმან მეორედ შეჰყვირა:

— ხმაა მოიღე, ვილაცა ხარ! პასუხი გამე, თუ პატიოსანი კაცი ხარ, თორემ ამ კიბეზედ ჩაგაგორებ! მნათე-კი გულში

ფიქრობდა: „ეს ცარიელი ტრაბახიაო!“ და კრინტიც არ დაუძრავს, ქვასავით იდგა უძრავად. ყმაწვილმა ერთხელ კიდევ შეუტია, მაგრამ ამაოდ, პასუხი მაინც ვერ მიიღო. მეტი ვეღარ მოითმინა, ხელი წაჰკრა მოჩვენებას და კიბეზედ დაგორა. ისე მაგრა წაჰკრა ხელი, რომ რახა-რუხით ჩაგორდა და ძირს კუთხეში დაეცა. თითონ-კი, რა გაათავა, შინ წავიდა, არავისთვის არაფერი უთქვამს და დასაძინებლად ლოგინში ჩაწვა. მნათეს ცოლმა დიდხანს უცადა თავის ქმარს; რა-კი ალარ მიდიოდა, შიშმა შეიპყრო, ჭაბუკი გააღვიძა და ჰკითხა:

— ჩემი ქმარი, არ იცი, სად დარჩა? ის ხომ რამოდენიმე წუთით შენზე ადრე ავიდა სამრეკლოზედ?

— არ მინახავს, მიუგო უშიშარმა!—ზევით ფანჯარასთან ვიღაც იყო კუთხეში ატუზული, და რადგან არც ხმას იღებდა და არც მიდიოდა, მე ყაჩაღი მეგონა, ხელი წავკარი და ძირს ჩავაგდე. წადი, ჰნახე, შეიძლება ის იყოს. ოჰ, საცოდავი, მართლა ის-კი არ იყოს!—მნათეს ცოლი გავარდა ამბის გასაგებად და ნახა, რომ მისი ქმარი კიბესთან გდია, კუთხეში, გულწასული. საცოდავმა დიდი გაჭირვებით მიათრია სახლამდის დამტვრეული თავისი ქმარი, მერე უშიშარის მამასთან გაიქცა წივილ-კივილით და შესჩივლა:—თქვენმა შვილმა ჩემი ქმარი სამრეკლოს კიბიდამ ჩამოაგდო და ფეხი მოსტეხა! ღვთის გულისათვის, დღესვე წაიყვანეთ, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ?!—შეშინებული მამა ლანძღვა-გინებით გამოიქცა შვილისკენ და უთხრა:

— რა ღმერთი გიწყრება, ბიჭო, რა უღმერთოდ იქცევი? ეშმაკები ხომ არ გაწუხებენ, შე სასიკვდილევ?

— მე სრულებით დამნაშავე არა ვარ, მამავ; ყური მიგდე და ყოველისფერს დაწვრილებით გეტყვი.—და რაც სამრეკლოზედ მოხდა, დაწვრილებით უამბო თავიდან ბოლომდის.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ამოიოხრა საბრალო მამამ! შენგან მწუხარების. მეტს კაცი ვერას ნახავს თავიდან მომშორდი, ღღეის იქით ჩემმა თვალმა ალარ გიხილოს!

— კარგი, მამილო, მე-კი მოგშორდები, მაგრამ ნება მომეცი, ღამე აქ გავათენო და დღის სინათლითა ჩემს გზას ვეწიო. შეიძლება, ღმერთი შემეწიოს და ვნახო, რა არის შიში, რომ საბოლოოდ ლუკმა პური ვჭამო?

— რაც გინდა, ის ნახე,—გულგრილად მიუგო მამამ,—ჩემთვის სულ ერთია, ოღონდ-კი მოშორდი. აი ეს ხუთი თუმანი და ოთხი მხარე: აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი, საითაც გინდა, იქით წადი, მაგრამ იმ პირობით, რომ არავის უთხრა, საიდანა ხარ, ან ვისი შვილი ხარ.

— კარგი, მამავ, თუ ამის მეტი არაფერი გინდა, ვეცდები, შეგისრულო ბრძანება.

გათენდა თუ არა, ჯიბეში ჩაიდო მამისგან მიცემული ხუთი თუმანი, გზას გაუდგა და თანაც ბუტბუტებდა: „აჰ, ნეტავი შიშისაგან ავცახცახდებოდე! აჰ, ნეტავი შიშისაგან ავთრთოლდებოდე!“ ამ დროს ერთი მგზავრი, შემოეყარა, რომელმაც უშიშარი ჭაბუკის ლაპარაკს ყური მოჰკრა. ორივე ერთად გაუდგნენ გზას. გაიარეს რამოდენიმე მანძილი, დაინახეს სარჩობელა, რომელზედაც შვიდი კაცი ეკიდა.

— ჰხედავ მაგ უბედურებს! აი ამ ხის ქვეშ—იქვე დიდი ხე იდგა.—გაათენე ღამე და გაიგებ, რა არის შიში.

— თუ-კი ამით შიშსა ვნახავ, ამის შესრულებაც ადვილია, და თუ, მართლა აქ ჰყოფნით გავიგე, რაში მდგომარეობს შიში, საოსტატოს ხუთ თუმანს მოგცემ ხვალ დილით. შემდეგ ჭაბუკმა სარჩობელასკენ გასწია და მის ქვეშ მოიკალათა. ღამით შესცივდა ჭაბუკს და ცეცხლი აანთო. ნაშუალამევს, როცა ცივმა ქარმა დაჰბერა, უშიშარმა უფრო იგრძნო სიცივე.

— მე ცეცხლის მახლობლად მცივა და ამ საცოდავთ ზევით ხომ უფრო შესცივდებათ? ყოველ მხრით ცივი ქარი უბერავს და ძვალ-რბილში უვლის.—ამბობდა თავისთვის ჭაბუკი, რომელსაც, ბუნებით მეტად ლმობიერი და ჩვილი გული ჰქონდა.—მოდი ჩამოვხსნი და ცეცხლთან გავათბობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმა და შესრულება ერთი იყო: აიღო იქვე ახლოს მოგდებული ბული კიბე, ბოძს მიადგა, ავიდა და თითო თითოდ ამოხსნა დამრჩვალნი და ფრთხილად ძირს დაუშვა. შემდეგ ცეცხლი უფრო გააჩაღა და ყველა ცეცხლის ირგვლივ დაალაგა, რომ კარგად გამთბარიყვნენ. ისინი-კი მაშინაც უძრავად ეყარნენ, როცა ცეცხლის ალი იმათ ტანისამოსს ედებოდა. ჭაბუკი-კი ეუბნებოდა:

— ცეცხლს გაუფრთხილდით, ჭკვიანად იყავით, თორემ ისევ ბოძზედ დაგკიდებთ. მაგრამ იმათ არა ესმოდათ-რა. ან-რა უნდა გაეგონათ მკვდრებს? ტანისამოსზედ ნელ-ნელა ცეცხლი ედებოდათ.

მოთმინებიდან გამოსული ჭაბუკი წამოვარდა და შეჰყვირა:

— თუ არ გინდათ, თავს გაუფრთხილდეთ, მე თქვენ გადარჩენას ვერ გაგიწევთ! მე თქვენთან ერთად ცეცხლში დაწვა არ მინდა!—სთქვა და ისევ დაჰკიდა ყველა, როგორც ადრე იყვნენ. თითონ-კი მიწვა ცეცხლის პირას და დაიძინა. მეორე დილით მოვიდა ნაცნობი მგზავრი, რომ მიეღო დაპირებული 50 მანეთი.

— ეხლა-კი უთუოდ იცი, რა არის შიში?—ჰკითხა ახალმა მოსულმა.

— არა,—მიუგო ჭაბუკმა;—ან საიდან უნდა გამეგო, როცა ამ სულელებს მთელი ღამე ხმა არ ამოუღიათ და იმდენად ბრიყვი და ტუტუცები არიან, რომ თავიანთი დაგლეჯილი ტანისამოსი კინაღამ ცეცხლში დასწვეს.—მგზავრი დარწმუნდა, რომ ის დაპირებულ 50 მანეთს ვერ მიიღებდა და თავის გზას გაუდგა, თანაც ბუტბუტებდა: „ჯერ ამისთანა კაცის მნახველი არა ვარ!“ ჭაბუკიც გაუდგა გზას და თან სულ იმას გაიძახოდა: „აჰ, ნეტავი შიშს ვიგრძნობდე, აჰ, ნეტავი შიშისაგან ავცახცახდებოდე!.. ამ დროს წამოეწია მეეტლე; ჭაბუკის ლაპარაკი გაიგონა და ჰკითხა:

— შენ ვინა ხარ?

— არ ვიცი, მუგო ჭაბუკმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საიდან მოდიხარ? კვლავ დაეკითხა მეეტლე.

— არ ვიცი.

— ვისი შვილი ხარ?

— არც ამის თქმის ნება მაქვს.

— რა იყო, რომ ლაპარაკობდი?

— ეჰ, მიუგო უშიშარმა,—რა არის შიში, მინდა ვისწავლო, მაგრამ არავინ მასწავლა!

— ნეტავი შენ, რომ მეტი არაფერი გაწუხებს! მოდი, ეტლში ჩაჯე და სასტუმროსკენ მიგიყვან.—ჭაბუკი ჩაჯდა. საღამოს სასტუმროში მივიდნენ, სადაც დილამდის უნდა დარჩენილიყვნენ. როცა ოთახში შევიდნენ, ჭაბუკი მოჰყვა ჩვეულებრივ ნატვრას:

— აჰ, ნეტავი ვიცოდე, რა არის შიში! აჰ, ნეტაი შიშისაგან ავცახცახდებოდე!—სასტუმროს პატრონმა ყური მოჰკრა უშიშარის ლაპარაკს და ჩაიცინა.

— თუ ასე სულით და გულით გწადიან გაიგო, რა არის შიში, ამის შემთხვევაც აქ გექნება, უთხრა სასტუმროს პატრონმა.

— რას ამბობ, ღვთის გულისთვის! შეუტია ცოლმა.— რამდენ კაცს შეუწირავს, ცნობის მოყვარეობით გატაცებულს, თავი და ეხლა გინდა ეს საცოდავიც გამოასალმო ქვეყნიერებას? ცოდვა არ არის, ამის მშვენიერი თვალები ღვთის გაჩენილ ქვეყნის ცქერას მოაკლდეს?—ჭაბუკმა-კი ამაზედ ასე უპასუხა:

— თუმცა ვგრძნობ, რომ ძნელია, მაგრამ მე მაინც ძალიან მსურს გავიგო, თუ რა არის შიში? მე მხოლოდ ამის გასაგებადა ვარ წამოსული.—და აღარ მიუსვენა სასტუმროს პატრონს, სანამ უკანასკნელმა არ აუხსნა, რომ აქ მახლობლად ერთი მოჯადოებული კოშკი დგას, სადაც ყველას შეუძლია გაიგოს, რა არის შიში, ვინც-კი მოისურვებს სამი დღე იქ დაჰყოს. ვინც ამას იკისრებს და შეასრულებს, იმას მეფე აძლევს თავის ქალს, რომლის სილამაზისა ქვეყანაზედ არც ყოფილა ვინმე და არც იქნება. კოშკში აუარებელი თვალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგალიტი და ძვირფასი ნივთებია შენახული. ამ სალაროს მცველად ჰყავს მავნე სული და ეშმაკები. ვინც ამ კოშკს მავნე სულისა და ეშმაკებისაგან გაათავისუფლებს, ღარიბიც რომ იყოს, მდიდარი გახდება. კოშკისკენ წასული ბევრი მინახავს, მაგრამ დაბრუნებული-კი არავინ.

მეორე დილას სასტუმროს პატრონმა კოშკის გზა აჩვენა ჭაბუკს, რომელიც იმ წამსვე გზას გაუდგა; ჯერ-კი მეფესთან მივიდა და მოახსენა:

— დიდებულო მეფევ, თუ ნებას მიბოძებთ, მე მინდა თქვენს მოჯადოებულ კოშკში სამი ღამე დავყო.—მეფემ ახედ-დახედა ჭაბუკს, თვალში მოეწონა და უთხრა:

— ძალიან კარგი! შეგიძლია თან წაიღო სამი უსულო საგანი, რასაც-კი მოისურვებ.

— გთხოვთ, მიბოძოთ, ცეცხლი, საჭელი, დაზგა დანით და სკამი. მეფემ ბრძანება გასცა, ყოველისფერი, რაც ჭაბუკმა ითხოვა, კოშკში დღითვე წაეღოთ. საღამო ჟამს თვით უშიშარიც მივიდა; ერთს ოთახში ცეცხლი გააჩაღა, სკამზედ დაჯდა და საჭელი დაზგა დანით გვერდით დაიდო.

— აჰ, ნეტავი შიშისაგან ავცახცახდებოდე!—ლაპარაკობდა იგი.—არა მგონია, აქაც რამე ვისწავლო;

შუაღამე იქნებოდა, როცა ცეცხლს შეშა მიუმატა, და ბერვა დაუწყო, რომ უკეთ მოჰკიდებოდა. ამ დროს ერთი კუთხიდამ მოესმა კატების კნავილი:

— მიაუ, მიაუუ! უჰ, რა სიცივეა!

— დახეთ ამ სულელებს!—შეჰყვირა ჭაბუკმა.—რა გაღრიალებთ? თუ გცივათ, აქ ვერ მოხვალთ ცეცხლთან და ვერ გათბებით?

ორი დიდი შავი კატა იმ წამსვე ერთი ნახტომით ცეცხლის პირას გაჩნდნენ, ორივე გვერდით ამოუჯდნენ უშიშარს და აღგზნებული თვალებით ყურება დაუწყეს. ცოტა შეთბნენ თუ არა, ჰკითხეს:

— ქალალდი არ გინდა, ხომ ვითამაშოთ, ამხანაგო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ არა, მაგრამ ჯერ მაჩვენეთ თქვენი თათები! — იმათაც თათები გაუშვირეს.

— ერთი შეეხედეთ! რა გრძელი ფრჩხილები ჰქონიათ — გაიკვირვა ჭაბუკმა! — დამაცათ-დამაცათ, ეხლავე მოგჭრით.

ამ სიტყვებით უცბად სტაცა კატებს თათებში ხელი, დაზგას ქვეშ ამოსდო და ზევიდამ მუხრუჭი მოუჭირა.

— თქვენი ფრჩხილები რომ დავინახე, თქვენთან ბანქოს თამაშის ყოველივე სურვილი დამეკარგა. — უთხრა ჭაბუკმა, — ორივე მოჭკლა და იქვე ტბაში ჩააგდო. — ამ ორ კატას რომ მორჩა, ისევ ცეცხლის ახლო სკამზედ დაჯდომას აპირებდა, მაგრამ ამ დროს ყველა კუთხიდამ შავი კატები და ძაღლები გამოცვივდნენ; მოდიოდნენ და მოდიოდნენ, ყოვლად შეუძლებელი იყო იმათგან თავის დაღწევა. საშინლად ღრიალებდნენ, ყვიროდნენ, კნავოდნენ! ჭაბუკისკენ საბრძოლველად იწევდნენ, ბუხრიდამ შეშას აქეთ იქით ისროდნენ და უნდოდათ, ცეცხლი სულ გაექროთ. ცოტა ხანს გულდამშვიდებით უცქირა, მერე დანას ხელი სტაცა და ერთი თავისებურად შეჰყვირა:

— დაიკარგეთ აქედამ, თქვე შეჩვენებულებო! — და უმოწყალოდ ხოცვა დაუწყო. ზოგნი გაიქცნენ, ზოგნი-კი დახოცა და ტბაში ჩაჰყარა, ისევ დაბრუნდა, ცეცხლს შეუკეთა და თბობა დაიწყო. ძილი მოერია, თვალები ეხუჭებოდა; განზედგაიხედა და დაინახა დიდი რკინის საწოლი და ზედ მშვენიერი ლოგინი.

— ეს საწოლი სწორედ კაი დროს ვნახე, სთქვა და ზედ დაწვა. — ის იყო თვალი დაჰხუჭა, რომ დაიძრა თავის თავად საწოლი და მთელი კოშკი შემოიარა.

— ეს ძალიან კარგი, სთქვა უშიშარმა, მაგრამ არ შეიძლება ცოტა ჩქარა იარო? მაშინ რკინის საწოლმა ისეთი სისწრაფით იწყო სირბილი, თითქო შიგ საუკეთესო ცხენები ყოფილიყვნენ, შებმული. საშინელი სისწრაფით გადადიოდა ოთახიდან ოთახში, კიბიდან ძირს, ძირიდან ზევით; კაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალს ვერ მოასწრებდა. ერთს ადგილას უეცრად გადაბრუნდა, პირქვე დაემხო და ისეთი სიმძიმით დააწვა ჭაბუკს, თითქოს მთა დააწვაო. მაგრამ უშიშარმა აქეთ-იქით მიყარ-მოყარა საბანი, ბალიში ლეიბი და ბოლოს თითონაც გამოძვრა.

— აწი ვისაც უნდა იმან ისეირნოს ამ საწოლით და მეკი [illegible]ერ მინდა! — შემდეგ ამისა ცეცხლის პირას მიწვა და დილამდის მადიანად ეძინა. მეორე დილით კოშკში მიბრძანდა მეფე, რომელსაც, რაკი ცეცხლის პირას მძინარე ჭაბუკი დაინახა, ეგონა, მავნე სულთ და ქაჯებს მოუკლავთო და სიბრალულით გული აევსო.

— საცოდავი, რა ლამაზი ჭაბუკი გამოესალმა წუთისოფელს, დაუმატა მეფემ. უშიშარს მეფის ლაპარაკი ძილში მოესმა, ფეხზედ წამოხტა, და მოახსენა:

— ნუ სწუხართ, არც აგრე ცუდად გახლავთ ჯერ საქმე! მეფეს ძალიან გაუკვირდა, მაგრამ ფრიად სასიამოვნოდ დაურჩა ჭაბუკს გადარჩენა და ჰკითხა, როგორა ხარო?

— ძალიან კარგად, თამამად მიუგო უშიშარმა, ერთმა ღამემ მშვიდობიანად გაიარა, დანარჩენიც ასე გაივლის. როცა ჭაბუკი სასტუმროს პატრონმა ნახა, გაუკვირდა და თვალები დააშტერა.

— არ მოველოდი, რომ შენ ცოცხალს გნახავდი! ეხლა ხომ ისწავლე, რა არის შიში!

— აბა საიდგან? ნეტავი ისეთი კაცი გამოჩნდებოდეს, რომ შიშს მაგრძნობინებდეს!

საღამოს ისევ კოშკში წავიდა, ცეცხლი დაანთო, სკამზედ დაჯდა და მოჰყვა თავის ჩვეულებრივ სიმღერას: „ნეტავი ერთი შიშისაგან ავცახცახდებოდე! ნეტავი ვინმე შიშს მაგრძნობინებდეს!“ შუა ღამე იქნებოდა, როცა ყოველ კუთხიდან ხმაურობა და რახუნი მოესმა; პირველად ნელა, მაგრამ მერე თან და თან ხმა მაღლა. უცბად ყოველივე ხმაურობა შეწყდა. ბოლოს ბუხრის საკვამლედან ნახევარი კაცის ტანი ჩამოვარდა და საშინელი ღრიალით ჭაბუკის წინ თხლაშანი გაადინა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰეი, ჰეი! შეჰყვირა უშიშარმა, რა ამბავია ასე ცოტა? მეორე ნახევარი სადღაა? ატყდა ისევ ხმაურობა და ახლა მეორე ნახევარი დაეცა უშიშარის ფეხთან.

— ჰოდა აგრე! ცოტა მომითმინე, კაი ცეცხლი დაგინთო! ბუხარს შეშა შეუმატა და, რაკი დასაჯდომად მობრუნდა, დაინახა რომ ზევიდან ჩამოვარდნილი კაცის ორი ნახევარი უკვე შეერთებულიყო და საზარელ კაცად გადაქცეული მის სკამზედ დამჯდარიყო.

ერიჰაა! ეს რა შენი საკადრისია, ჩემ სკამზედ რომ გამოჭიმულხარ? მოჩვენებას ჭაბუკისათვის უნდოდა ხელი ეკრა, მაგრამ უკანასკნელმა ღონივრად სტაცა ხელი, სკამიდან ააგდო და თვითონ დაჯდა. ამ დროს ზევიდამ რამოდენიმე კაცი ჩამოვარდა, სადღაც ორი თავი და ცხრა ფეხი იპოვნეს მკვდარი კაცისა და ამ თავფეხით თამაში დაიწყეს. ჩვენ გმირს, ცოტა ხანს შემდეგ, თითონაც აღეძრა თამაშის სურვილი და თავაზიანად შეეკითხა:

— შეიძლება, მეც თქვენთან ვითამაშო?

— რატომ არა, თუ ფული გაქვს?

— სათამაშოდ მეყოფა, მაგრამ თქვენი ბურთები რომ კაი რგვალი არ არის ეს-კი არ ვარგა.—სთქვა, ორივე მკვდრის თავი დაზგას ამოსდო, დანით შემოჭრა და ლამაზად შემოაგრგვალა.

— ეხლა უკეთ გაგორდება! ჰაიდაა! რა კარგად მიგორავს, ერთი უცქირეთ. დაიწყო მათთან თამაში და რამოდენიმე მანეთი წააგო. შესრულდა თორმეტი საათი და ყველა მოთამაშენი გაქრნენ. დარჩა მარტო ჭაბუკი, რომელიც იქვე მიწვა და არხეინად დაიძინა. დილით მეფე ამბის გასაგებად მობრძანდა და ჰკითხა:

— წუხანდელი ღამე როგორ გაატარე?

— კარგად, სტუმრები მეწვივნენ და მკვდრის თავ-ფეხით

12 საათამდის ვთამაშობდით. მერე მივწექ და მივიძინე.

— ეხლა მაინც გაიგებდი, რა არის შიში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა საიდან? — მიუგო ჭაბუკმა, ეს მხოლოდ უბრალო დროს გატარება იყო. — აჰ, ნეტავი, შიშისაგან ეკარგებოდეს ბოდე!



ეხლა უკეთ გაგორდება, სთქვა ყმაწვილმა.

მესამე ღამესაც ცეცხლი დაანთო, სკამზედ დაჯდა დ
გაჯავრებული გაიძახოდა: — „აჰ ნეტავი ამაღამ მაინც ვნახავ
რა არის შიში“? გვიან ნაშუალამევს ექვსი მდევი შეევიდ
ოთახში და თან შეიტანეს კუბო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰოოო!—ეს უთუოდ ჩემი ბიძაშვილია, რომელიც გუშინ წინ გარდაიცვალა, სთქვა უშიშარმა და დაუძახა:

— აქეთ, ჩემკენ, ჩემო ძმაო! — მდევებმა კუბო შუა ოთახში დასდგეს; ჭაბუკი კუბოსთან მივიდა, თავი აჰხადა და დაინახა, რომ შიგ მართლა მკვდარი ასვენია. თავზედ ხელი გადაუსვა, მაგრამ სახე ყინულივით ცივი ჰქონდა:

— დამაცა, ეხლავე გაგათბობ.—ჭაბუკი ცეცხლთან მივიდა, ხელი გაითბო და მკვდარს ლოყაზე დაადო, მაგრამ ის მაინც ცივი იყო. მერე კუბოდან ამოასვენა, თვითონ ცეცხლს მოუჯდა, მკვდარი მუხლზედ დაისვენა და ზელა დაუწყო, რომ მიცვალებულის სისხლი აემოძრავებინა. მაგრამ არც ამ საშუალებამ იმოქმედა. ჭაბუკს უცბად აზრმა გაუარა—„უთუოდ მაშინ გათბება, როცა ჩემთან ლოგინში ჩავიწვენო;—სთქვა და იმ წამსვე ლოგინში ჩააწვინა, საბანი დაჰხურა და თითონაც გვერდით მიუწვა. ამ საშუალებამ გასჭრა: რამოდენიმე ხნის შემდეგ, მკვდარი გათბა და მოძრაობა დაიწყო. უცბად ლოგინიდან წამოვარდა და ყვირილი მორთო:

— ბუმცა შენ გამაცოცხლე, მაგრამ სამაგიეროდ მე უნდა დაგარჩო!

— როგორ! შეჰყვირა ჭაბუკმა.—ეს არის ნაცვალი პატივისცემა? წაეთრიე ეხლავ და ისევ კუბოში ჩაწექ! უშიშარმა ხელი მოჰკიდა, კუბოში ჩაგდო და თავი მაგრა დაახურა. შემოვიდნენ მდევები და კუბო გაიტანეს.

— ბედის წერა არ ყოფილა! როგორც ვხედავ, ვერ ვნახავ შიშს!—ნაღვლიანად წარმოსთქვა ჭ ბუკმა. ამ დროს შემოვიდა ერთი უზარმაზარი, საშინელი, გრძელ წვერიანი მდევი.

— აჰ, შე უკეთურო, შენა!—დაუყვირა მოხუცმა,—ეხლა-კი გაიგებ, რა არის შიში, რადგან ამ წუთას უნდა მოკვდე!

— ნუ ჩქარობ, ცოტა დამაცალე! უთხრა დაცინვით ჭაბუკმა.

— არა გჯერა და ამასაც დაგიმტკიცებ! შეჭლრიალა საზარელმა ქმნილებამ. დაგახრჩობ, როგორც ძაღლს!

104.285

— ცოდვა ვარ, ნელა! ნურც ძალიან გაბრაზდები! შენზედ მეტი თუ არა, ნაკლები ლონე არც მეგულება!

— ბურთი და მოედანია! თუ შენ ჩემზედ ლონიერი იქ-ნები, ხელს არ გახლებ და ბოდიშსაც მოვიხდი. მოდი, ვცა-დოთ;—და ჭაბუკი სამჭედლოში წაიყვანა. აქ მოხუცმა ჩა-ქუჩი აიღო და ერთი დარტყმით გრდემლი მიწაში ჩაჰმალა.

აიღო რკინის ჯუტი და რაც ძალი და ლონე ჰქონდა
დაუწყო მდევს ცემა.

— მე უკეთესს გაჩვენებ, მიუგო უშიშარმა. მეორე გრდემლთან მივიდა, რომელსაც მოხუცი მიუახლოვდა, რომ უფრო გარკვევით დაენახა ჭაბუკის მოქმედება; ისე ახლოს დადგა, რომ მისი გრძელი წვერი გრდემლის ზედა პირს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწვდებოდა. ჭაბუკმა ჩაქუჩი აიღო და ისე ღონივრად ურტყა ქნია, რომ გრდემლი შუაში გააპო და მოხუცის წვერი ძიგ მოჰყვა.

— ეხლა-კი ჩემ ხელში ხარ!—უთხრა უშიშარმა.—სიკვდილის რიგი შენ მოგადგა. აიღო რკინის კეტი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაუწყო მდევს ცემა. იმდენი სცემა, სანამ საბრალო, გულის სიღრმიდან ამოსულ კვნესით და ოხვრით არ შეაბრალა თავი: ღვთის გულისათვის გამათავისუფლე და უთვალავ სიმდიდრის პატრონად გაგხდიო. მაშინ ჭაბუკმა გრდემლში ჩარჭობილი ჩაქუჩი ამოაძრო და გაათავისუფლა მდევი. შემდეგ მოხუცმა ისევ კოშკში შეიყვანა, ჩაიყვანა ერთს სარდაფში, სადაც სამი ოქროთი სავსე სკივრი იდგა.

— ერთი ნაწილი ამ სიმდიდრისა ჰქონდეთ ღარიბთ, მეორე მეფეს და მესამე შენ.—როგორც შეიქნა შუა ღამე, მოჩვენება გაქრა და ბნელაში დარჩა მხოლოდ ჭაბუკი.

— აქედან უნდა გავიდე, ამ ბნელაში ხომ არ დავრჩებიო,— სთქვა უშიშარმა და ხელის ფათურით სარდაფიდან ამოსასვლელი გზა იპოვა, ამოვიდა და ისევ თავის ოთახში შევიდა, სადაც დილამდის ტკბილად ეძინა. დილას-კი მეფე მივიდა და ჰკითხა:

— ეხლა-კი, იმედი მაქვს, ნახავდი რა არის შიში?

— აბა საიდამ, ბატონო?—აქ იყვნენ ამას წინად გარდაცვალებული ჩემი ბიძაშვილი და ვიღაც გრძელწვერიანი მოხუცი, რომელმაც სარდაფში ჩამიყვანა და აუარებელი ოქრო მაჩვენა. შიში-კი არ მინახავს.

— ბარაქალა, უთხრა მეფემ!—შენ გაგითავისუფლებია მთელი კოშკი მავნე სულისა და ეშმაკებისაგან და ახლა შეგიძლიან, ჩემი ქალი შეირთო.

— ეს ყოველისფერი კარგი, მიუგო გამარჯვებულმა გმირმა, მაგრამ მე მაინც ვერ გავიგე, რა რიგად შეიძლება შიშისაგან ცახცახი?

სარდაფიდან ოქრო ამოიღეს, მშვენიერი ქორწილიც გადიხადეს და, თუმცა მეფის სიძეს უზომოდ უყვარდა თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლი და ბედნიერალაც რაცხდა თავის თავს, მაგრამ ... არ იშლიდა და ხშირად გაიძახოდა:

—აჰ, ნეტავი შიშისაგან ავცახცახდებოდე! აჰ, ნეტაი შიშისაგან ავთრთოლდებოდე! ამ ახირებულმა დაჟინებამ პატარძალი მოთმინებიდამ გამოიყვანა. მაგრამ მხევალმა მოახსენა:

— დედოფალო, მე გასწავლით, რა რიგად შეიძლება ბატონის შეშინება!—გაიქცა წყლისკენ, რომელიც შუა გულ ბაღში გამოჩუხჩუხებდა, დიდი ჯამი გაავსო და შიგ ბლომად წვრილი თევზი ჩააყოლა. როცა მეფის სიძეს ეძინა, ცოლი მიეპარა, საბანი გადახადა და სავსე ჯამი ცივი წყალი წვრილი თევზებით უცბად ტანზედ გადაასხა; თევზებმა ხტუნვა დაიწყეს. წამოვარდა ჩვენი გმირი და ხმა მაღლა ყვირილი მორთო:

— ეხლა-კი გავიგე, რა ყოფილა შიში! ეხლა-კი ვიცი, ჩემო ძვირფასო, რა ყოფილა შიშისაგან ცახცახი!

საკვირველი მეჭიანურე

ყო ერთი საკვირველი მეჭიანურე. ერთხელ, როგორღაც შემთხვევით, დაბურულ ტყეში გავლა მოუხდა. პირველად სხვა და სხვა ფიქრებს მიეცა და ბოლოს-კი სთქვა:

— ამ ტყეში მარტოობა მომწყინდა, კარგი იქნება ვისმე თანამგზავრს ვიპოვიდე. ჭიანური აიღო, რომელიც ზურგზედ ეკიდა, და დაუკრა. ჭიანურის ხმა მთელს ტყეს მოედო. ცოტა ხანს უკან გამოხტა მგელი.

— აგერ მგელი მოძუნძულებს; ჩემთვის დიდი საჭიროდა გამოსადეგი არ იქნება, სთქვა მეჭიანურემ. მგელი მიუახლოვდა და უთხრა:

— რა მშვენივრად უკრავ, საყვარელო მეგობარო! რა კარგი იქნება, რომ მეც მასწავლო შენი ხელოვნება.

— ამის სწავლა ადვილია, მიუგო მეჭიანურემ,—მხოლოდ რასაც გიბრძანებ, ყოველისფერი-კი უნდა გამიგონო!

— დიდი კმაყოფილებით, მიუგო მგელმა,—რასაც-კი მეტყვი, ყოველისფერს ისე გაგიგონებ, როგორც შეგირდი მასწავლებელს.—მეჭიანურემ მგელს უბრძანა, თან გაჰყოლოდა. გაიარეს რამოდენიმე მანძილი, დაინახეს ძველი, გახეთქილი მუხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყური მიგდე,—უთხრა მეჭიანურემ,—თუ გინდა რამე ნური ისწავლო, წინა ფეხები მუხის გაჩეხილში შეაწყე. — ბგელმა დარიგება შეასრულა, მეჭიანურემ აიღო ქვა და ერთის დაკვრით ისე მაგრად მიაკრა ერთი-მეორეს გაჩეხილი მუხის პირები, რომ მგელმა ფეხების ამოღება ვერ შესძლო და ამნაირად ხაფანგში გაბმული დარჩა.

— სანამ დავბრუნდებოდე, აქ მომიცადე,—უთხრა მეჭიანურემ და გზას გაუდგა.—ამ ტყეში მარტო ხეტიალი, მართლა მოსაწყენია, კარგი იქნება ამხანაგს ვისმე ვიშოვნიდეო,— და კვლავ დაუკრა თავისი ჭიანური, რომლის მშვენიერი ხმა მთელს ტყეს მოეფინა. გამოხტა მელა.

— აი, მელიაც, თუმცა-კი ჩემთვის არც ეს არის დიდად საჭირო. ამასობაში მელა მიუახლოვდა მეჭიანურეს და უთხრა:

— აჰ, ჩემო საყვარელო! რომ იცოდე, რა მშვენივრად უკრავ ჭიანურს. ნეტავი, ასე დაკვრა მეც შემეძლოს!

— ამის შესწავლა ადვილია, თუ-კი შეასრულებ, რასაც მე გიბრძანებ?

— აბა, რას ბრძანებ! თუ მასწავლი, ყურმოჭრილ მონასავით ყოველისფერს გაგიგონებ! ისე დაგიგდებ ყურს, როგორც შეგირდი მასწავლებელს!

— მაშ თან გამომყევი,—უთხრა მეჭიანურემ. ცოტა ხანს მეჭიანურე შეჩერდა; მიწამდის დაღუნა თხილის ბუჩქი და უთხრა:

— ეხლა, მელიავ, თუ გინდა რამე ისწავლო, მოიტა შენი მარცხენა ფეხი. მელა დააყვა და ერთი იმისი ფეხი თხილის ტოტზედ დააკრა მაგრად.

— ეხლა-კი მარჯვენა ფეხი მომეცი!—მისცა მელამ მარჯვენა და ისიც დააკრა მარჯვენა ტოტზედ. როცა დარწმუნდა, ორივე ფეხები მაგრადა მაქვს დაკრულიო, ორივე ხელები აუშვა; ხეებმა მელა მაღლა აიტაცეს; საბრალო მელა ჰაერში ჩამოკონწიალებული თან ქანაობდა და თან აქეთ-იქით ეხეთქებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემს დაბრუნებამდის აქ მოიცადე, უთხრა მეჭიანურემ და გზას გაუდგა. მოსწყინდა და ისევ მოჰყვა ბრივ ჩივილს:

— მარტობა მომწყინდა! აჰ, ერთი ამხანაგი!—აიღო თავისი ჭიანური, რომლის ხმა კვლავ მოედო მთელს არე-მარეს. საიდგანლაც გამოხტა კურდღელი.

— ესეც კურდღელი! მაგრამ რა თავში ვიხლი?

— რა კარგად უკრავ, საყვარელო მეგობარო, უთხრა კურდღელმა!—ნეტავ, მეც მასწავლიდე!

— ძნელი არ არის, მიუგო მეჭიანურემ, თუ-კი იმას შეასრულებ, რასაც მე გეტყვი!

— შევასრულებ და აგრე? ისე დაგიგდებ ყურს, როგორც მოსწავლე მასწავლებელს.—ერთს მინდორს მიახწიეს, სადაც ერთი თხმელა იდგა. მეჭიანურემ კურდღელს კისერზედ გრძელი ბაწარი მოაბა. რომლის მეორე ბოლო ხეზედ გამონასკვა.

— აბა, კურდღელო! ამ ხეს სულ ხტომით შემოუარე ოცჯერ.—კურდღელმაც სიხარულით შეასრულა მასწავლებლის ბრძანება და შემოურბინა რა ოცჯერ, თავის თავი უკვე მაგრად ხეზედ მიბმული იგრძნო. საცოდავმა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ბაწარს წევა და ღრღვნა დაუწყო, მაგრამ რაც უფრო ეწეოდა, მით უფრო მაგრად უჭერდა კისერში ბაწარი. ამ გვარად კურდღელმაც გაიბა თავი მახეში.

— ჩემს დაბრუნებამდე აქ მოიცადე,—უთხრა მეჭიანურემ და გზას გაუდგა.

ამ დროს განმავლობაში მგელმა დიდის შრომით და შფოთვით ტყვეობიდან თავი გაითავისუფლა.

გაჯავრებული და გააფთრებული წავიდა მეჭიანურეს საძებრად, რომ თავისი ვერაგი მასწავლებელი ენახა და სასტიკად დაესაჯა. წინ შეხვდა ხის ტოტებზე ჩამოკონწიალებული მღლა, რომელმაც მიმავალ მგელს ცრემლიანი თვალებით ვედრება დაუწყო:

— ნათლიავ, მიშველე! ჰხედავ მეჭიანურემ როგორ მომატყუა?—მგელმა ხეების ტოტები დაღუნა, ბაწრები დაგლიჯა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მელა გაათავისუფლა, რომელიც მგელთან ბრძოლაში მგზავრა, რომ მესაკრავესთვის პასუხი ეგო. ცოტა ხანს შემდეგ ხეზედ მიბმული კურდღელი დაინახეს, რომელიც ამ გვარადვე გაათავისუფლეს და სამივენი ერთად წავიდნენ მუხთალის საძებრად. ამ დროს მესაკრავემ ისევ დაუკრა ჭიანური, მაგრამ ეხლა-კი თავის სურვილისამებრ იქნა დაჯილდოებული: ჭიანურის ხმა მოესმა ერთ საბრალო შეშის მჭრელ მუშას, რომელმაც თავის სამუშაოს თავი დაანება და მეჭიანურეს მიუახლოვდა, რადა უფრო გარკვევით მოესმინა სასიამოვნო ხმები.

— ძლივს არ ვიპოვნე ნამდვილი ამხანაგი! მე ადამიანს ვეძებდი და არა მხეცებს,—სთქვა მეჭიანურემ და ისეთი გრნობით განაგრძო ჭიანურის დაკვრა, რომ არამც თუ შეშის მჭრელი მუშა, არამედ მთელი მიდამო სრულს ნეტარებას და განცხრომას მისცა.

ამ დროს მოვიდნენ მგელი, მელა და კურდღელი. შეშის მჭრელი იმ წამსვე მიხვდა, რომ ახლად მოსულ სტუმრებს, კარგი არ ედვათ გულში, მეჭიანურეს წინ დაუდგა, ცული ამართა და შეუტია:

— გაფრთხილდით! ვინც-კი თქვენგანი მეჭიანურეს რამ ხიფათს აუტეხავს, იცოდეთ, ჩემთან ექნება საქმე.—შეშინებული მხეცები ისევ ტყეში გაიქცნენ. მესაკრავემ ცოტა ხანს კიდევ დაატკბო თავის მშვენიერ ჰანგით შეშის მჭრელი და შემდეგ ისევ ჯზას გაუდგა.

მეთევზე და მისი ცოლი

ყო ერთი ღარიბი მეთევზე და მისი ცოლი. უბრალო ხის ქოხში ცხოვრებდნენ, ზღვის მახლობლად. მეთევზე ყოველ. დღე ზღვაში თევზაობდა ბადით; ეს იყო მათი მაცხოვრებელი. ერთხელ სასროლი ბადე წყალში გადაეგდო, თითონ-კი დამჯდარიყო ზღვის პირად და უცდიდა; უცბად ბადე რაღამაც ჩასძირა; ამოიღო მაშინვე წყლიდამა და ბადეს თან ამოჰყვა კარგა მოზრდილი ტაბაკა თევზი, რომელმაც ენა ამოიდგა და მეთევზეს შემდეგი სიტყვებით მიჰმართა:

— ყური დამიგდე, მეთევზევ, რა გითხრა: გამიშვი ისევ, მე ხომ ნამდვილი თევზი არა ვარ, მოჯადოებული მეფის შვილი ვარ. ჩემი სიკვდილით, აბა, რას ისარგებლებ? სჯობს ისევ ზღვაში გამიშვა, რომ თავისუფლად შემეძლოს ცურვა.

— კარგი, მიუგო მეთევზემ,—აქ რაღა ლაპარაკი უნდა, ეჭვი არ არის, გაგიშვებ, რომ ისევ თავისუფლად იცურაო ზღვაში; მეტადრე, რაკი ადამიანივით ლაპარაკობ. თევზი სიხარულით შეცურდა ზღვაში, მეთევზე-კი ქოხში დაბრუნდა თავის ცოლთანა.

— ნუ-თუ დღეს ვერა დაიჭირე. რა, ჰკითხა ცოლმა.

— როგორ არა, მიუგო ქმარმა,—ტაბაკა თევზი დავიჭირე, მაგრამ მოჯადოებული მეფის შვილი გამოდგა და ისევ ზღვაში გავუშვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე სამაგიეროდ არა სთხოვე-რა, განა? — გაკვირვებული ცოლი.

— რა უნდა მეთხოვა?

— ღმერთო ჩემო, როგორ თუ რა? სწორედ აუტანელი და საშინელება რამ არის ამგვარს დაძველებულსა და საძაგელს ქოხში ცხოვრება, როგორიც ჩვენი ქოხია. შეგეძლო პატარა სუფთა ხის სახლი მაინც გეთხოვა. ახლავ დაბრუნდი უკანა, დაუძახე და სთხოვე, რომ ჩვენთვის საჭირო და სასურველია კაი პატარა სახლი; ვიცი, უთუოდ შეგვისრულებს.

— მერე რა საბუთით უნდა დავბრუნდე, არ მეტყვი? უპასუხა ქმარმა.

— როგორ თუ რა საბუთით? შენ არ იყავ, რომ დაიჭირე და ისევ გაათავისუფლე? განა, სამაგიეროდ თხოვნა არ უნდა შეგისრულოს?

მოცურდა ტბაკა თევზი და ჰკითხა:

მართალია მეთევზე ცოლის აზრის თანხმა სრულიადაც არ იყო, მაგრამ რას იზამდა, დავიდარაბისა ეშინოდა. ადგა მაშინვე და წავიდა ზღვის პირად. მივიდა თუ არა, დაინახა, რომ ზღვას წინანდელი თეთრი ფერის ნაცვლად მწვანე და წითელი გადაჰკვროდა; მიუახლოვდა მეთევზე ზღვასა და გადასძახა:

— დიდებულო თევზთა მეფევ, ზღვიდამ გამო ჩქარაო! კაპასმა გამომგზავნა, რაღაც დამაბარაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცურდა ტაბაკა თევზი და ჰკითხა:

— რასა თხოულობს შენი ცოლი?

— რასა-და, უკმაყოფილოა ჩემი ცოლი, თქვენი ჭირიმეთ, რომ დაგიჭირეთ და ისე გაგიშვით, არაფერი სასყიდელი არ მოგთხოვეთ. ამბობს, ხის უბრალო ქოხში ცხოვრება მომწყინდა, ერთი კაი პატარა, ახალი სახლი მინდაო, — მიუგო მეთევზემ.

— წადი კარგი, მისი სურვილი უკვე შესრულებულია, გამოისტუმრა თევზმა. მეთევზე რომ დაბრუნდა, ნახა მართლა, რომ მისი ცოლი ღარიბ ქოხის ნაცვლად პატარა კოხტა და ლამაზ სახლის წინა ზის სკამზედ. მოჰკიდა ცოლმა ქმარს ხელი და უთხრა:

— აბა, შემოდი და მიიხედ-მოიხედე. ცოტა არ იყოს სჯობია ჩვენს ძველს დანგრეულს ქოხსა, თუ შენც იტყვი, არა?

შევიდა მეთევზე სახლში, ჰხედავს რამოდენიმე ოთახია: სასტუმრო, საძილე, სასადილო და სამზარეულო, სადაც აუარებელი ახალი სპილენძის ჭურჭელი ალაგია და მასთან სახლიც მორთულია. სახლს უკან პატარა ეზო ჰქონდა, სადაც დარბოდნენ ,ქათმები, იხვები, ინდოურები და სხვა შინაური ფრინველები. სახლის გვერდით ბაღი იყო, რომელშიაც ყოველგვარი ბოსტნეულობა და ხილეულობა იყო დარგული.

— ხომ მშვენივრად არის ყოველისფერი მოწყობილი, — ჰკითხა ცოლმა.

— მართლა რომ მშვენივრად არის, მიუგო ქმარმა. — ეხლა-კი შეიძლება მთელი სიცოცხლე ბედნიერად გავატაროთ.

— ვნახოთ, რა იქნება მერე, — უთხრა ცოლმა, შემდეგ ერთად ვახშამი სჭამეს და დასაძინებლად წავიდნენ.

გავიდა ორი-სამი კვირა, ყოველისფერი რიგზედა და კარგად მიდიოდა. ბოლოს ცოლმა უთხრა ქმარსა:

— გამიგონე, კაცო, ეს სახლი ჩვენთვის საკმარისი არ არის, ეზოც და ბაღიც პატარაა ერთობ. მე მგონია, თევზს ადვილად შეეძლო ამაზე დიდი სახლიც მოეცა. იცი, რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის, საშინლად მინდა დიდ ქვითკირის სახლში ცხოვრება. წადი ახლავე თევზთანა და დიდი სასახლე სთხოვე.

— კმარა, თუ ღმერთი გრწამს, დედაკაცო! უთხრა მეთევზემ.—ეს სახლი საკმარისიც არის და კარგიც. აბა, რა საჭიროა მაინცა და მაინცა, რომ სასახლეში არ ვიცხოვროთ?

— შეხეთ, რა სისულელეს ამბობს თქვენი ჭირიმეთ? წარმოსთქვა გაჯავრებით ცოლმა.—გეუბნები, სიტყვას ნუ მიბრუნებ, ახლავე გასწი! მოვალეა, ჩვენი თხოვნა შეასრულოს!

— აკი შეასრულა, უპასუხა ქმარმა. მე მასთან ველარ წავალ, მეშინიან თავი არ მოვაბეზრო.

— გასწი, გასწი! დაჰყვირა გააფთრებულმა ცოლმა. ვიცი, დიდი კმაყოფილებით შეასრულებს ჩვენს თხოვნასა. არ გესმის? გეუბნები ეხლავე წადი-მეთქი!

მართალია, ქმარს ეს ბრძანება ჭკუაში არ მოსდიოდა, მაგრამ მეტი ლონე არა ჰქონდა, უნდა შეესრულებინა.

— არა, არ არის კარგი,—ამბობდა თავისთვის მეთევზე.

მივიდა ზღვასთანა. ჰხედავს, მწვანისა და ყვითელი ფერის ნაცვლად სოსანი და მუქი მწვანე ფერი დაჰკრავს, მაგრამ ჯერ კიდევ აღელვებული არ არის. დადგა ნაპირზედ და დაუძახა:

„დიდებულო თევზთა მეფევ,
ზღვიდამ გამო ჩქარაო!
ი კაპასმა გამოძგზავნა,
რაღაც დამაბარაო.

— რა უნდა შენს ცოლსა? ჰკითხა თევზმა.

— ეჰ! —მიუგო აღელვებულმა და შეშინებულმა ქმარმა.—დიდს ქვითკირის სასახლეში უნდა ცხოვრება.

— წადი. შენი ცოლი ქვითკირის სასახლის კარებთან დაგხვდება, მიუგო თევზმა.

დაბრუნდა საცოდავი მეთევზე შინისაკენ დაღონებული, ეგონა ისევ ძველი ქოხი დაჰხვდებოდა. მაგრამ ჰხედავს, დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ქვითკირის სასახლეა გამოჭიმული, რომლის კარებშიაც ამაყად მისი ცოლი დგას. მივიდა თუ არა მეთევზე ცოლთან, ქმარს ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— აბა, შემოდი შინა!

შეჰყვა მეთევზეც. სასახლეს წინ შესავალი ოთახი ჰქონდა, რომლის კედლებიც თლილი მარმარილოს ქვისა იყო; აქ იდგა მთელი გროვა მოსამსახურეთა, რომლებშიაც ერთი მეორეს ეცილებოდნენ,—არა მე უნდა გავუღო ბატონებს კარი, არა მეო. ოთახების კედლები ძვირფასად იყო დახატული და მორთული, ისე ბრწყინავდა, კაცს ეგონებოდა, ამომავალს მზეს გაუნათებიაო. სულ ოქროს სკამებითა და მაგიდებით იყო სახლი მორთული. ყოველს ოთახში ბროლის ჭაღები ეკიდა. როგორც სასტუმრო, ისე დანარჩენი ოთახები, ძვირფას ხალებით იყო მოფენილი. სასადილო მაგიდა მშვენიერ საჭმელებისა და სასმელების სიმძიმისაგან იღუნებოდა. სასახლის უკან დიდი ეზო იყო საქონლისათვის, აქვე იყო საჯინიბო, საუკეთესო ჯიშის ცხენებით სავსე; ფარდულს ქვეშ სხვა და სხვა ნაირი ეტლები იდგა. მშვენიერი, დიდი ბაღი სხვა-და-სხვა ხეხილებითა და საუკეთესო ყვავილებით იყო აჭრელებული. სასახლეს ახლოს შვიდი ვერსის მანძილზე კოხტა და ლამაზი მოვლილი ტყე ჰქონდა, სადაც ყოველ გვარი გარეული ფრინველი და ცხოველი მოიძებნებოდა.

— ხომ ყველაფერი მშვენიერად არის მოწყობილი? ჰკითხა ცოლმა.

— აბა, რა თქმა უნდა, ამისთანა სასახლეში სრული ნეტარებით შეგვიძლიან ვიცხოვროთ,—მიუგო ქმარმა.

— ვნახოთ, ვიფიქრებთ,—გაუმეორა კიდევ ცოლმა.—ახლა-კი წავიდეთ დასაძინებლად, მოსამსახურენი ცოდონი არიან, უნდა მოისვენონ.

მეორე დღეს ცოლმა გვიან გამოიღვიძა. ადგა ბოლოსა და აივანზე გამოვიდა, საიდანაც თვალ წინ გადაშლილს სოფლებსა და ტყით დაბურულს მთა-გორებს სიამოვნებით ცქე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დაუწყო. ამ დროს ქმარსაც გამოელვიძა. ცოლმა ამაყად პირი იბრუნა შინისაკენ და აივნიდან შესძახა ქმარს:

— ადექ ერთი, გამოიხედე, რა მშვენიერი სურათია! ნუ თუ ამ ქვეყნის მეფობა არ შეგშვენის? ახლავე წადი თევზთანა და სთხოვე მეფობა.

— მეფობა? აბა რა საჭიროა? არავითარს მოთხოვნილებას ამისას არა ვგრძნობ,—მიუგო ქმარმა.

— თუ შენ არ გინდა მეფობა, მე მინდა დედოფალი ვიყო, – მიუგო ცოლმა.—ახლავე წადი, მოძებნე შენი თევზი და ჩემი სურვილი შეატყობინე.

ემკვლელებოდა ქმარი, მაგრამ ძალა-უნებურად გაემგზავრა.—ეს-კი სწორედ მეტის-მეტია!—მიბუტბუტებდა თავისთვის საცოდავი მეთევზე.

მივიდა თუ არა, დაინახა, რომ ზღვას მუქი, ნაცრის ფერი გადაჰკროდა, ძლიერ ღელავდა. კრძალვით მიუახლოვდა მეთევზე და დაუძახა:

დიდებულო თევზთა მეფევ,
ზღვიდან გამო ჩქარაო!
ი კაპასმა გამომგზავნა,
რაღაც დამაბარაო.

— რა უნდა შენს ცოლს?—ჰკითხა თევზმა.

— ეჰ, ჭირი, შენი ჭირიმე! ამბობს, მინდა დედოფალი გავხდეო. – მიუგო მეთევზემ.

— წადი კარგი. სურვილი უკვე შეუსრულდა.

მიუახლოვდა მეთევზე სასახლესა, ხედავს მართლა, ეს უკანასკნელი უფრო გადიდებულა; სასახლის გვერდით მდგომი ყელმოღერებული მაღალი კოშკები, სხვა-და-სხვა ქანდაკებით მორთულები, ერთი მეორეს ამაყად გაჰყურებენ. კარებთან მრავალი დარაჯი დგას. ჯარის კაცები ჩამწკრივებულან, ხელში დოლები და საყვირები უჭირავთ. შიგნიდგან სასახლეს კედლები თლილი მარმარილოს ქვისა და ოქროსი აქვს.—ყველა ოთახები ხავერდის ხალებით არის მოფენილი.

სასახლეში მის ცოლს შემოჰხვევია ამალა, ბრილიანტებით შემკობილს სამეფო ოქროს ტახტზედა ზის, თავზედაც ბრილიანტებითვე მოჭედილი ოქროს გვირგვინი ადგია, ხელში სხვა და სხვა ძვირფას ქვებით მოჭედილი წმინდა ოქროს სკიპტრა უჭირავს. აქეთ-იქით ექვსი ახალგაზრდა ქალი ედგა, ყოველი მათგანი თითო ციდით ერთი მეორეზედ დაბალი იყო.

— აი, ახლა ხომ დედოფალი ხარ, დედოფალო!—უთხრა მეთევზემ.

— დიახ,—ახლა დედოფალი ვარ!

ქმარი ცოლის წინ გაჩერდა, აათვალიერ-ჩაათვალიერა და უთხრა:

— რა კარგია, რომ დედოფალი გახდი! —უკეთესი ბედნიერება ჩვენთვის ახლა საჭირო აღარ არის!

— დიახ, რასაკვირველია!—მიუგო უკმაყოფილოდ ცოლმა! მეტი მოცდა აღარ შემიძლიან, გასწი ახლავე თევზთან და უთხარი,—მართალია, დედოფალი ვარ, მაგრამ მინდა მეფე ვიყო.

— აბა, რად გინდა მეფობა?—უპასუხა ქმარმა.

— არა, არა!—წადი და ახლავე თევზი მოძებნე!—მსურს, უთუოდ მეფე გავხდე!

— მითხარი ერთი ღვთის გულისათვის, —ჰკითხა ქმარმა,— როგორ შეუძლიან მეფედ გაგხადოს? ამის თხოვნას მე ვერც გავუბედავ სწორედ. ჰეშმარიტად რომ არ შეუძლიან მეფედ გაგხადოს.

— მე ახლა დედოფალი ვარ, გესმის თუ არა? შენ-კი— მხოლოდ ქმარი, შენ უნდა შეასრულო ყოველივე, რასაც გიბრძანებენ! ახლავე თევზთან წადი! თუ შეიძლო და დედოფლობა მომცა, მეფობასაც მომცემს. მალე, ნუ იგვიანებ!

რა უნდა ექნა საცოდავს მეთევზესა? ცოლის ბრძანებას ვერ წაუვიდოდა. მიდიოდა და თან გაიძახოდა:

— ოჰ! მე და ჩემმა ღმერთმა, ვერ არის კარგი! მეფობა!?.. ეს ხომ მეტის მეტია! ამითი თევზს თავს მოვაბეზრებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომა. და ამგვარს ფიქრებში გართულმა ვერც-კი შეამჩნია თითქმის, როგორ მიუახლოვდა ზღვასა; ზღვა ახლა მთლად გაშავებულიყო, და ძალზედ ღელავდა. მივიდა ნაპირას მეთევზე და დაუძახა:

დიდებულო თევზთა მეფევ,
ზღვიდამ გამო ჩქარაო!
ი კაპასმა გამომგზავნა,
რაღაც დამაბარაო!

— რა უნდა შენს ცოლსა?—ჰკითხა თევზმა.

— ეჰ, ჩემო მეგობარო, რა უნდა და უბედურობა! აუხირებია, მეფობა მინდაო!

— წადი, მისი სურვილი შესრულებული იქნება,—უპასუხა თევზმა.

მართლაც, დაბრუნდა თუ არა მეთევზე, ჰხედავს, მთელი სასახლე, როგორც შიგნიდამ ისე გარედამ, გაელვარებულია მარმარილოთი და ალებასტრის ქანდაკებებით, ოქროთია მთლად მოვარაყებული. კარებთან მრავალი ჯარის კაცი დგას; საყვირს უკრავენ, დოლსა სცემენ. შიგ სასახლეში, ბარონები, გრაფები და თავადები ჭიანჭველასავით ირევიან, მეფეს, როგორც უბრალო მოსამსახურეები, ისე ემსახურებიან; ოქროს კარებს უღებენ და უხურავენ. შევიდა მეთევზე სასახლეში, მივიდა ცოლთან, ჰხედავს, მთელი ხისაგან გაკეთებულს სამეფო ტახტზედა ზის. ტახტს ასი ადლი მეტი სიმაღლე აქვს. თავზედ დადებული ოქროს ბრილიანტებითა და სხვა და სხვა ძვირფასი ქვებით მოჭედილი გვირგვინი ადგია. ერთს ხელში ფაენი უჭირავს, მეორეში ბურთი, ნიშანი ხემწიფობისა. აქეთ-იქით, დაწყებული ჯუჯა კაცებიდამ ახოვან გმირებამდის ორ რიგად მცველები ჰყავს ჩამწკრივებული. გარს მრავალი თავადები და გრაფები ახვევია. მიუახლოვდა მეთევზე თავისს ცოლსა და უთხრა:

— აბა, ქალბატონო, ახლა ხომ მეფე ხარ?

— დიახ, მეფე ვარ!—მიუგო მან მედიდურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართლა-და, რა მშვენივრად გიხდება მეფობა!

— შენც ერთი, რაღასაც მიედ-მოედები! — უთხრა ბრაზიანად ქავრებით გამეფებულმა ცოლმა. მეფე მართალია ვარ, მაგრამ პაპობა*) მინდა ახლა. ახლავე თევზთან წადი!

— ნეტავ რას ამბობ, ადამიანო, — დაეკითხა გაოცებული ქმარი — აბა, ეგ რა მოსაგონია! პაპობა საიდამ შეგიძლიან? პაპი ხომ მთელს საქრისტიანოში ერთია მხოლოდ: თევზი შენს თხოვნას ვერ შეასრულებს, იცოდე.

— გეუბნები, უთუოდ პაპობა მინდა-მეთქი! — გაუმეორა სასტიკად. — გასწი ეხლავე! დღესვე მინდა პაპი ვიყო, დღესვე!

— ვერა, ადამიანო, მაგას ვერ ვეტყვი თევზსა, — უპასუხა ქმარმა, — ეგ ხომ შეუძლებელია! მეტის მეტია სწორედ! — ეუბნებოდა ბოლმა-მორეული მეთევზე. — ან როგორ შეუძლიან თევზს პაპობა მოგცეს?

— აბა, რა სისულელესა როშავ — მიუგო უფრო გაცხარებით ცოლმა. — თუ მეფობა შეეძლო მოეცა, პაპობას რატომ ვერ მომცემს? გეუბნები, გასწი მეთქი! ნუ დაივიწყებ, რომ მეფე ვარ ახლა, შენ-კი — უბრალო ქმარი! ახლავე გზას გაუდექი, გესმის თუ არა?

შეეშინდა ქმარს, ზღვისაკენ გასწია. გზაზედ გულმა ძალზედ ცემა დაუწყო, მთლად ცახცახებდა, მუხლები ეკვეთებოდა. საშინელი ქარი ქროდა; საზარელს შავს ღრუბლებს ცის სივრცე მთლად დაებნელებინა; ფოთლებს შრიალი გაჰქონდა; წყალი კალაპოტიდგან ნაპირზედ გადმოვარდნას აპირებდა, და ღონივრად ისროდა ზევით ტალღებსა. ახეთქებდა აქაფებულს ზვირთებს ერთმანეთსა, გეგონებოდათ, ქვეშ ცეცხლი უკიდია და დულსო. შორიდგან ხომალდები მოჩანდა. საიდანღაც ზარბაზნის ხმა მოისმოდა, ნიშანს იძლეოდნენ, — ვილუპებით, გვიშველეთო. ცას თავისი ფერი მხოლოდ ერთს ადგილას-ღა შერჩენოდა, დანარჩენი მთლად შავი ღრუ-

*) პაპი თავია რომაელ კათოლიკეთა ეკლესიისა, რომელსაც უწინ თვით მეფენიც-კი ემორჩილებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლებით იყო დაფარული. ავდარით შეშინებული მეთევზე მიუახლოვდა ზღვასა და ჩასძახა:

დიდებულო თევზთა მეფევ,
ზღვიდამ გამო ჩქარაო!
იაჯილდამ გამომგზავნა,
რალაც დამაბარაო.

— რა უნდა კიდევ შენს ცოლსა? ჰკითხა თევზმა.

— ეჰ! — მიუგო ქმარმა. ახლა პაპობა მოინდომა.

— კარგი, ამასაც შევუსრულებ, — მიუგო თევზმა.

დაბრუნდა მეთევზე სახლში და ხედავს, ეზოში მშვენიერი დიდი ეკლესია დგას, რომლის გარშემოც საუკეთესო სასახლეებია გაშენებული. ეკლესიაში შემსვლელმა ჯერ უნდა მრავალი მლოცველი ხალხი გაარღვიოს. შიგ ეკლესიაში ათასობით წმინდა სანთელი ანთია; მისი ცოლი თავიდამ-ფეხამდის ოქროს ტანისამოსში ჩამჯდარი, ადრინდელზედ უფრო მაღალ სამეფო ტახტზედ ზის; თავზედ სამი დიდი ოქროს გვირგვინი ადგია. ყოველ მხრივ სამღვდელოებათა კრებული ახვევია. მეფე-დედოფალნი მუხლ-მოყრით მისს ქოშებს ჰკოცნიან.

— ნუ-თუ მართლა შენა ხარ, დედაკაცო — დაეკითხა გაოცებული მეთევზე დათვალიერების შემდეგ. — არა, მართლა, პაპი ხარ?

— დიახ, — მიუგო მან! — პაპი ვარ, ვერა მხედავ!

დადგა ცოლის წინ მეთევზე და გაშტერებულმა დაუწყო ყურება, მაგრამ თვალი ველარ გაუშტერა: ეგონა, მზეს უცქეროდა. ბოლოს უთხრა:

— აჰ, რა მშვენივრად გიხდება პაპობა! — მაგრამ ცოლი პასუხს ალარ აძლევდა, ალარც ადგილიდგან იძროდა.

— ახლა მაინც ხომ სრული კმაყოფილი ხარ. — განაგრძო ქმარმა. — პაპი ხარ, მეტი რალა უნდა ისურვო, აბა?

— ვინ იცის, ვნახავთ, — მიუგო ცოლმა. შემდეგ დალაძინებლადაც წავიდნენ, მაგრამ ცოლი მაინც ბედის კმაყოფილი არ იყო. პატივის მოყვარეობა არ აძინებდა და მთელი ღამე იმას ფიქრობდა: მართლ, რაც ჰქონდა, იმაზედ მეტი რა შეიძლებოდა მიეღო კიდევ.

ქმარს-კი მაგრად და არხეინად ეძინა, რადგან მთელი დღის სიარულისაგან დაქანცული იყო. ცოლი-კი ფიქრობდა, იტანჯებოდა, ვერ ისვენებდა, რადგან ვერ მოეფიქრებინა, რად უნდა გამხდარიყო. ამ დროს გათენდა კიდეც. განთიადმა მთელს არე-მარეს ნათელი მოჰფინა; დაინახა მზის სხივი, რომელმაც ფანჯარას შემოაშუქა და სთქვა:

— რა კარგი იქნებოდა, რომ მზისა და მთვარის ამოსვლა-ჩასვლა მე მეკითხებოდეს, მზე და მთვარე ჩემს ბრძანებასა ჰმორჩილებდნენ?—აბა, ქმარო, გამოიღვიძე,—უთხრა ცოლმა და თან ნიდაყვი წაჰკრა მძინარეს,—ადე ახლავ და თევზთან წადი, მინდა ღვთის თანასწორი შევიქნე.

ქმარი ჯერ კიდევ არ იყო კარგად გამოღვიძებული, მაგრამ ცოლის სიტყვებმა ისეთი ელდა ჰკრეს და ისე გადარიეს, რომ შიშისაგან საწოლიდამ ძირს ზღართანი მოსძვრა. მაგრამ იფიქრა, უთუოდ ეს სიტყვები ძილში მომესმაო და თვალების ფშვნეტით დაეკითხა:

— რა იყო, რა სთქვი, დედაკაცო?

— რა და ისა, გაიგონევი, რომ მზე და მთვარე თუ ჩემს განკარგულებაში არ იქნებიან, ერთს წამსაც ვერ მოვისვენებ. იმაზედ-ღა ვფიქრობ ახლა, რომ მზე და მთვარე მხოლოდ ჩემს ბრძანებაზედ ამოდიოდ-ჩადიოდნენ.

და სთქვა თუ არა ესა, ისეთი მრისხანე თვალებით გადაჰხედა ქმარსა, რომ საცოდავს მთელს ტანში შიშის ჟრუანტელმა დაურბინა.

— წადი ამ საათშივე! მინდა ღვთის თანასწორი გავხდე.

— ახა ღმერთო ჩემო! შეჰღრიალა მეთევზემ ლ ცოლს ფეხებ ქვეშ ჩაუვარდა — აბა, რას ამბობ მაგას?! როგორ შეუძლიან თევზს ღვთის თანასწორი გაგხადოს! ესეც ხომ მეფობა და პაპობა არ არის! გთხოვ, ამ ოცნებას თავი დაანებო და პაპობა იკმარო.

მაგრამ ცოლი საშინლად გაანჩხლდა, ტანისამოსი მთლად შემოიხია, თმა გაიწეწა, ერთი ორიოდე ქმარსაც ჩაუთავაზა და შეჰყვირა:

— ამგვარს წინააღმდეგობას, იცოდე, მეტად ველარ მოვითმენ! მითხარი, წახვალ ამ წამსვე, თუ არა? ეხლავე, გესმის!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას იზამდა უბედური ქმარი? საჩქაროდ ჩაიცვა ტანსაცმელი, მოსი და, როგორც გიჟი, სირბილით გაქანდა ზღვისაკენ.

მაგრამ უცებ საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, საცოდავი მეთევზე ფეხს ძლივს იღებდა; ქარი ხეებს ძირიანადა სთხრიდა, სახლებს ანგრევდა, ნამტვრევ-ნამსხვრევებს ზღვაში ჰყრიდა. ცა შავად მოქუშულიყო. სეტყვა, ელვა-ქუხილი ერთმანეთში ირეოდა, გამძვინებული მხეცივით ღრიალებდა. უზარმაზარი, მთის ტოლა ზვირთები ბრაზმორეულები და აქაფებულები გორავდნენ ზღვის ზედაპირზედა. მივიდა მეთევზე და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაუწყო ყვირილი თევზსა:

დიდებულო თევზთა მეფევ,
ზღვიდან გამო ჩქარაო!
ი უღმერთომ გამომგზავნა,
რალაც დამაბარაო!

— რა იყო, რალა უნდა კიდევ შენს ცოლსა?—ჰკითხა თევზმა.

— ღვთის რისხვა, შენი ჭირიმე! ამბობს, ღვთის თანასწორი მინდა გავხდეო,—მიუგო წელმოწყვეტილმა მეთევზემ.

— წადი შინა, ისევე ძველს ქოხში დაგხვდება ცოლი, მიუგო თევზმა და გაჯავრებული ზღვაში შეცურდა ისევ.

ამ რიგად დღემდის ისევ ძველს, დანგრეულს ქოხში ცხოვრობენ მეთევზე და მისი ცოლი.

მამაცი მკერვალი

ერთს ზაფხულის დილას ჩვენი მკერვალი ფანჯარასთან უჯდა მაგიდასა და მუშაობდა; ერთგულ მუშადა და კარგ ბიჭად ითვლებოდა ამხანაგებში. ამ დროს ქუჩაში გლეხის ქალი მიდიოდა და ხმა მაღლა გაიძახოდა:

— კაი მურაბა ვის უნდა! ვის უნდა!

სიტყვებმა მკერვალს ნერწყვი მოჰგვარეს; თავი ფანჯარაში გამოყო და გასძახა:

— აქეთ, ჩემო კარგო, აქეთ! აქ შეგიძლიან შენი საქონელი ხელად გაასაღო.

ქალმა თავისი მძიმე ალათა მესაჰე სართულში ძლივს ვაი-ვაგლახით აიტანა, მურაბით სავსე ქილები კალათიდან სათითაოდ ამოიღო და მკერვალის წინ დაალაგა. უკანასკნელმაც ყველა სათითაოდ დასინჯა; ერთი იმათგანი ბოლოს მაღლა აიღო, დაჰყნოსა და უთხრა:

— მურაბა, ვგონებ, კარგი უნდა იყოს; აბა, ჩემო კარგო, გირვანქის მერვედი ამიწონე; გირვანქის მეოთხედი ჩემთვის ერთობ ძვირი იქნება!

ეგონა საცოდავს ქალს, საქონელს ბლომად გავასაღებო, მაგრამ მოტყუვდა. რას იზამდა? აუწონა, რამოდენიც მკერვალმა სთხოვა და ბუტბუტით უკან დაბრუნდა.

— ეს მურაბა უთუოდ თვითონ ღმერთმან გამომიგზავნა! შესძახა გახარებულმა მკერვალმა. კიდობნიდამ პურის ნატეხი ამოიღო და ზედ მურაბა წააცხო.

— ასე დიახაც გემრიელი იქნება, მაგრამ სანამ ჭამას დავიწყებდე, საკერავი უნდა გავათავო,— ჩაილაპარაკა თავისთვისა და მურაბა წასმული პური გვერდით დაიდო.

მეტის მეტ სიამოვნების გამო კერვის დროს ლიანდაგს განგებ შორი-შორს იჭერდა, რომ საკერავს მალე მორჩენილიყო. მაგრამ დახეთ თავხედობასა: ტკბილი მურაბის სუნი ბუზებს ეცათ, რომლებითაც მთელი კედელი იყო მოფენილი და მურაბა წასმულს ჰურს დაეხვივნენ.

— თქვენ ეი, არამზადებო! ვინ დაგიბარათ? დაჰყვირა მკერვალმა და ბუზები გარეკა.

მაგრამ ბუზებს გერმანული ენა არ ესმოდათ, რომელზედაც მკერვალი ელაპარაკებოდა, და ყურს არ უგდებდნენ. პირ-იქით მათ რიცხვს თანდათან ემატებოდა. ბოლოს მკერვალმა მოთმინება დაჰკარგა, აიღო რაღაცა მჩვარი და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მოუქნია:

— დამაცათ, მაშა! მე გაჩვენებთ თქვენს სეირსა!

და მჩვარს რომ ასწია, ქვეშ შვიდი მკვდარი ბუზი ეგდო ერთადა.

მკერვალმა სტაცა ტილოს ხელი და დაარტყა ბუზებს.

— ჰა, ყოჩაღ! წარმოსთქვა თავის სიმამაცით გაკვირვებულმა, და რიხიანად დასძინა: — არა ღირს მაშა, მთელმა ქალაქმა შეიტყოს ესა!

მკერვალმა მაშინადვე ტყავის ქამარი გამოსჭრა, შეკერა ზედ დიდი ასოებით ამოკერა: „შვიდი ერთი დაკვრით!“

— მაგრამ ქალაქი რა არის! დეე, მთელმა ქვეყანამ გაიგოს! — წარმოსთქვა აღფრთოვანებულმა და სიხარულისაგან გული ბატკნის დუმასავით აუტოკდა.

შემოირტყა ჩვენმა მკერვალმა თავისი ქამარი და გაუდგა გზას მთელი ქვეყნის შემოსავლელად, რადგანაც ქალაქი მეტად ეპატარავა თავის სიმამაცის გამოსაჩენად. მაგრამ სანამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავიდოდა, მთელი სახლი მიათვალიერ-მოათვალიერა, ცარიელები ხომ არა არის-რაო. სამწუხაროდ ვერა ნახა-რა, გარდა ძველი გამხმარი ყველის ნაჭრისა, რომელიც თაროზედ დარჩენილიყო როგორღაც; აიღო და ჯიბეში ჩაიდო.

ეზოს კარებთან რომ მივიდა, ჩირგვში გაბმული ჩიტი დაინახა: აიყვანა ისიცა და ყველთან ერთად ჯიბეში ჩაისვა; შემდეგ მამაცად გზას გაუდგა. მკერვალი მიდიოდა სუბუქად, ჩქარი ნაბიჯით, დაღალვა სულ არ უგრძვნია. დიდი ხანი არ უვლია, რომ ერთს მთას მიადგა, ავიდა მთის წვერზედა და დაინახა, რომ ვიღაც გოლიათი ზედ წვეროზედ წამომჯდარა და ზევიდამ ქვეყნიერებას არხეინად გადმოჰყურებს. მკერვალი მამაცად მივიდა მასთან და დაუწყო ლაპარაკი:

რას უზიხარ აქა?

—გამარჯობა, ამხანაგო! რა ამბავია, რას წამოწოლილხარ და გადაჰყურებ ქვეყნიერებას? ბედნიერების საძებრად მივდივარ; არ გინდა ერთად წავიდეთ?

გოლიათმა ზიზღით შეჰხედა მკერვალსა და შეუტია:

— აი, შე უკეთურო! საზიზღარო, ჩურჩუტო!

— კარგი ჰო, ძალიანაც ნუ გამოიდებ თავსა, — მიუგო მკერვალმა და თანაც კაბის ღილები გაიხსნა, რომ გოლიათისათვის ქამარი ეჩვენებინა. — შეგიძლიან წაიკითხო, რა კაცია ვარ!

გმირმა მართლაც წაიკითხა ქამარზედ წაწერილი. „შვიდი ერთი დაკვრით!“ იფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა, ერთი დაკვრით უთუოდ შვიდი კაცი მოუკლავს, და ალბ-ტა არ იყოს ამ პატარა მამაცისადმი პატივის ცემა დაებადა.

მაინც მოისურვა გოლიათმა გამოეცადა, რა ბიჭი იყო ჩვენი მკერვალი, აიღო ქვა ხელში და ისე მაგრა მოუჭირა, რომ წყალი ადინა სულა.

— აბა, თუ ლონიერი ხარ, შენც ადინე წყალი! — უთხრა გოლიათმა.

— ეგ არის შენი კაცობა? — ჰკითხა გაკვირვებით მკერვალმა. — ჩემთვის ეგ უბრალო რამ არის.

ამოიღო მერე ჯიბიდან ყველის ნაჭერი და ისე მაგრა მოუჭირა, ხელი რომ წვენი ადინა.

— ნახე? — ჰკითხა მკერვალმა, ჩემი, ვგონებ, ცოტა არ იყოს შენსას ! ჯობია?

გოლიათმა აღარა უპასუხა-რა, რადგანაც ამ პატარა კაცუნასაგან ამისთანა ლონეს არ მოელოდა სწორედ. მერე აიღო ვეება ქვა და ისე მაღლა აისროლა რომ თვალი ვეღარც-კი მოჰკრა მკერვალმა.

— აბა, შესძლებ ამასა, კაცუნავ?

— სწორედ, რომ კაი სროლა გცოდნია, — უპასუხა მკერვალმა, — მაგრამ ქვა მაინც მიწაზე დაეცა: მე-კი ისე ავისვრი, რომ ძირს აღარ ჩამოვარდეს.

სთქვა თუ არა ესა, ჯიბიდან ჩიტი ამოიყვანა და ჰაერში ააგდო. გახარებული ჩიტი მაღლა-მაღლა წავიდა ისარივით და უკან აღარ დაბრუნებულა.

— როგორ რადმე მოგწონს, ამხანაგო, ჰა? — დაეკითხა მკერვალი მედიდურად.

— მაღლა მართლაც კარგად ისვრი, — მიუგო გოლიათმა. ვნახოთ ეხლა რამ სიმძიმე ტვირთის ზიდვა შეგიძლიან? — მიიყვანა მერე უზარმაზარ მუხასთან და უთხრა:

— საკმაოდ ლონიერი ხარ, მიშველე, ე მოჭრილი ხე ტყიდან გავიტანოთ.

— სიამოვნებით, — მიუგო კაცუნამ, — შენ მხოლოდ ხეს ასწი თავიდამა და მხარზე გაიდე, მე ტოტებსა და წვერს წამოვიღებ; ხომ იცი ყველაზე მძიმე ბოლოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოლიათმა მართლა მთელი ხე მხარზედ გაიდო, ერ-ვალმა-კი, შველის ნაცვლად, ერთ-ერთს ტოტზე მოჰკიდა და გასწია არხეინად. საცოდავს გოლიათს უკან მოხედვა არ შეეძლო და მიჰქონდა არამც თუ ხე, მიჰყავდა მკერვალიც, რომელიც არხეინად იჯდა ტოტზე და სიმღერას გადასძახოდა:

მოვდივართ გმირთა გმირები,
გზა დაგვიცალეთ ყველამო...

თითქოს ხის ზიდვა მისთვის უბრალო თავის შექცევა და თამაშობა ყოფილიყო.

ცოტა რომ გაიარეს, გოლიათი ხის სიმძიმემ წელში მოჰხარა, შეაწუხა. ველარ შესძლო და ბოლოს მეტის-მეტ დაღლილობისაგან ძალზე შეჰყვირა:

— შენ ეი, გესმის, ახლავე ხელს ვუშვებ ხესა, დავიღალე...

მკერვალი უცბად გადმოხტა, ორივე ხელით ბოლოს დაეჭიდა ვითომ ვეწევიო და გოლიათს მიესაყვედურა:

— არა გრცხვენიან, მავოდენა ახმახი ხარ და ხე-კი ვერა ზიდეო?!

ხეს მერე ორივემ ხელი გაუშვეს და ერთად გაუდგნენ გზასა. ცოტა რომ გაიარეს, გზის პირად ალუბლის ხე დაჰხვდათ. გოლიათმა ალუბალი მიწამდის დაიწია და მწიფე მარცვლებიანი ხის წვერი მკერვალს მისცა ხელში, რომ ალუბალს შეჰქცეოდა. მკერვალი ერთობ სუსტი გამოდგა, მოზიდული ხე ვერ დაიმაგრა და როგორც-კი გოლიათმა ხელი გაუშვა, ხე გაიმართა, მკერვალიც თან აიტაცა და მეორე მხარეს გადაისროლა.

— ეს რასა ნიშნავს?—ჰკითხა გოლიათმა.— ნუ-თუ იმდენი ლონე არ შეგწევს, რომ რამდენიმე წვრილი ტოტი დაიმაგრო?

— აქ საქმე ლონეში როდია!—მიუგო მკერვალმა.— ნუ-თუ ამას მნიშვნელობა აქვს, როცა ერთის დაკვრით შვიდი მივაწვინე?—იმიტომ გადავხტი, რომ იქით ჩირგვებში მონადი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები თოფს ისროდნენ. აბა თუ შეგიძლიან, შენ ცალ-ფეხ-ტი.—სცადა გოლიათმა, მაგრამ ვერ შესძლო, ჩირგვებში ჩაეფარა. ამ შემთხვევაშიაც გამარჯვება მკერვალს დარჩა.

— მაშ კარგი,—სთქვა გოლიათმა,—რაკი აგრეთი მამაცი ყოფილხარ, წავიდეთ, ჩვენს (გამოქვაბულში) გაათენე ღამე.

მკერვალიც დასთანხმდა, გაჰყვა. მივიდნენ მღვიმეში, აქ მათ სხვა გოლიათებიც დაჰხვდნენ; ისხდნენ და ვახშამს შეექცეოდნენ: თითოეულს მათგანს თითო შემწვარი ცხვარი ეჭირა და სჭამდა. მკერვალმა მიიხედ-მოიხედა და სთქვა:

— ჩემს სახელოსნოზედ აქ უფრო ხალვათობაა. გოლიათმა მას ლოგინი უჩვენა და უთხრა, ჩაწოლილიყო და დაეძინა. მაგრამ რადგან საწოლი მისთვის ერთობ დიდი იყო, წავიდა ჩვენი მკერვალი და კუთხეში სადღაც მიიკუნჭა. როცა დარწმუნდა გოლიათი, რომ მკერვალი შუა ძილში უნდა ყოფილიყო, წამოდგა შუალამისას, აიღო ვეება რკინის კეტი და ერთი დარტყმით ლოგინი მთლად შუა გაგლიჯა.

— ეგეც შენა!—იფიქრა გოლიათმა.—ახლა-კი მოვუღე, ვგონებ, ამ ჭრიჭინას ბოლო.

დილა ადრიან გოლიათები ტყისკენ გაემგზავრნენ, მკერვალი სრულიად დაავიწყდათ. მაგრამ ის მხიარულად გამოხტა კუნჭულიდანა და გაეკიდა მათ. გოლიათებს შეეშინდათ, რა-კი მკერვალი ცოცხალი დაინახეს, უთუოდ ყველას დაგვხოცსო და ტყეში შეცვივდნენ დასამალავად.

მკერვალი-კი გზას გაუდგა. ბევრი იარა, თუ ცოტა, მიადგა ერთს მეფის სასახლეს; საშინელი დაღალული იყო; მიწვა იქვე მწვანეზედა და დაიძინა.

იმ დროს მოვიდნენ მეფის მსახურნი და მძინარე მკერვალი, როგორც უცხო, ყოველი მხრიდგან დაათვალიერეს. ქამარზედ შემდეგი წარწერა ამოიკითხეს: „შვიდი ერთი დაკვრით“!

— ოჰ, ღმერთო! წამოიძახეს ერთხმად გულგახეთქილებმა. ამისთანა გმირს რა უნდა უნდოდეს ჩვენგან? უთუოდ

ძალიან ლონიერი უნდა იყოს!—მერე მეფესთან დაბრუნდნენ, ყოველისფერი მოახსენეს და ურჩიეს,—ასეთი ლონიერი ომიანობის დროს ჩვენთვის დიდად გამოსადეგი და საჭირო იქნება, არასფრის გზით ხელიდან არ უნდა გაუშვათო. მოეწონა მეფესაც ეს რჩევა და იმავ წამს ერთი თავისი ვეზირთაგანი გაგზავნა, რომ, როცა გამოიღვიძებდა, ეთხოვა, მეფის ჯარში ჩაწერილიყო სამსახურში. გაგზავნილი ვეზირი მძინარის შორი-ახლოს გაჩერდა და დაუწყო ცდა, როდის გაიღვიძებდა. გამოეღვიძა თუ არა მკერვალს, მეფისაგან მიგზავნილმა ვეზირმა მაშინვე მეფის წინადადება გადასცა.

— მეც სწორედ ამისთვის მოვედი,—უპასუხა მკერვალმა.

მკერვალი დიდი პატივით მიიღეს—და ცალკე ბინა დაუნიშნეს. მაგრამ არად იამათ მეფის მსახურთა და კარის კაცთა და ყველას ის უნდოდა, რომ ეს უკანასკნელი ცხრამთას იქით გადაკარგულიყო.

— მერე, რა უნდა იყოს?—ეუბნებოდნენ ერთმანეთსა. — თუ ჩხუბის დროს თითო დაკვრით შვიდ-შვიდი მიგვაწვინა, ხომ ვერც ერთი ცოცხალი ვერ გადავრჩებით! მეტი ლონე აღარ იყო, ყველამ ერთხმად გადასწყვიტა: მეფეს ჰხლებოდნენ და სამსახურიდან გამოსვლის ქაღალდი მიერთმიათ.

— არ შეგვიძლიან,—მოახსენეს მათ მეფეს,—ვიმსახუროთ იმ კაცთან, რომელიც ერთი დაკვრით შვიდსა ჰკლავს.

მეფე საშინლად დალონდა, რადგანაც არ უნდოდა ერთის ნაცვლად ყველა ერთგული მოსამსახურე დაეკარგა.

—ნეტავი სულაც არ მენახა!—ამბობდა თავის გულებაში მეფე.

დიდი სიამოვნებით თავიდან მოიშორებდა, მაგრამ ეშინოდა, ვაი თუ გაჯავრდეს, მეც მომკლას, ხალხიც დამიწიოკოს და ტახტზედაც თვითონ დაჯდესო. დიდ ხანს ფიქრობდა, თუ რა მოეხერხებინა. ბოლოს შემდეგი საშუალება მოიგონა: მეფემ მას კაცი გაუგზავნა და, როგორც ლონიერსა და მამაცს, შეუთვალა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენს სამეფოში ერთს დიდ ტყეში გამოჩნდა ორი გოლიათი, რომლებიც სასიკვდილოთ არავის ინდობენ, ყველაფერს ანადგურებენ ყველას სძარცვავენ, მაგრამ ახლოს ვერავინ მიჰკარებია შიშისაგან, ყველას ეშინიან. თუ მოერევი და მოჰკლავ, მეფე თავისს ერთად-ერთს ქალს ცოლად მოგცემს და მთელი სამეფოს ნახევარსაც მზითვად გამოატანსო. საშველად ასი მხედარი გაგყვება და შენ იცი, რასაცა იქმო.

„კარგი. — გაიფლო გულში მკერვალმა, — ყოველ დღე მეფის ქალსა და ნახევარ სამეფოს ხომ არავინ შემომაძლევს?"

— კარგი, — მიუგო მან, — გოლიათებს მე გავსცემ პასუხს, არც ასი მხედარი მჭირია. ის, ვინც ერთი დაკვრით შვიდს ერთადა ჰკლავს, ორს, აბა, როგორ შეუშინდება?

გაემგზავრა მკერვალი, ასი მხედარიც თან იახლა. მიუახლოვდა ტყის პირს თუ არა, მხლებელთ უთხრა:

— თქვენ აქ მოიცადეთ, გოლიათებს მარტო მე გავუსწორდები. — და ტყეში მარტო შევიდა. თან მარჯვნივ და მარცხნივ გაფაციცებით ათვალიერებდა, გოლიათებს არ წავაწყდეო. ცოტა ხნის შემდეგ მართლა წაადგა გოლიათებსა: ხის ძირში მიწოლილიყვნენ, ეძინათ. მაგრამ ისე ღონივრად ხვრინავდნენ, რომ ხის ტოტები მთლად ირხეოდნენ.

მკერვალმა იმ წამსვე ორივ ჯიბე ქვებით აივსო, მოათვალიერა დახურული მაღალი ხე, ავიდა ზედა, გოლიათების პირდაპირ ტოტზედ ჩამოჯდა, და იქიდამ თითო-თითოდ დაუწყო ქვის სროლა; ქვები ჯერ მარტო ერთს გოლიათს ეცემოდა გულზედა. პირველად ვერაფერს ჰგრძნობდა მძინარე. მაგრამ გამოელვიძა, გაალვიძა თავისი ამხანაგი და უთხრა:

— მითხარი, რისთვის მცემ?

— სიზმარში ხომ არა ხარ? — მიუგო მან. — აბა საიდამა? როდისა გცემ? და ორივემ ისევ დაიძინეს; მაშინ მკერვალმა მეორე გოლიათს დაუწყო ახლა ზევიდამ ქვის სროლა.

—

— რა ამბავია? — შეჰყვირა ახლა მეორემ. — რისთვისა მცემ, კაცო, არ მეტყვი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფიქრადაც არ მომსვლია, — უპასუხა გაჯავრებულ ველმა! ცოტა ხანს, მართალია, წალაპარაკდნენ, [illegible] ლოს მეტის-მეტ დაღალულობისაგამო ისევ ძილს მისცეს თავი.

მკერვალმა თავისი ხუმრობა განიმეორა; აიღო ერთი ყველაზედ დიდი ქვა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, პირველს გოლიათს დასცა გულში.

— ოჰ, რა ნაირად მეტკინა!—შეჰღრიალა გოლიათმა. მერე გიჟივით ზეზე წამოვარდა და თავისი ამხანაგი ხეს ისე მაგრა მიაჯახა, რომ უკანასკნელმა რყევა დაიწყო. არც მეორე ჩამოჰრჩა რასაკვირველია და გაიმართა ჩხუბი; ისე გაცოფდნენ ორივენი, რომ ხეს ძირიან-ფესვიანადა სთხრიდნენ და ერთმანეთს სცემდნენ. იქამდის იბრძოლეს, სანამ ორივე მკვდარივით უგრძნობლად მიწაზედ არ დაეყარნენ. მაშინ-კი ჩამოვიდა ჩვენი მკერვალი ძირსა.

— ჩემი ბედი, რომ ის ხე არ მოგლიჯეს, რომელზედაც მე ვიყავი, თორემ თრითინასავით ერთი ხიდამ მეორეზედ ჭნდა გადამხტარვიყავი.—სთქვა მკერვალმა, იძრო მერე თავისი ხმალი და ორივე გოლიათი რამდენსამე ადგილას მძიმედ დასჭრა გულში. მერე თავის მხლებლებთან მივიდა და უთხრა:

— მოვრჩი, გავათავე საქმე: ორივე საიქიოს გავისტუმრე. ცოტა არ იყოს-კი გამიძნელდა, მართლა გმირულად იცავდნენ თავსა...

ძირიანად ხეებს სთხრიდნენ და ისე იბრძოდნენ. მაგრამ ჩემთან აბა რას გააწყობდნენ, როცა ერთი დაკვრით შვიდს ერთად ვაწვენ?

— თქვენ დაჭრილი არა ხართ?—ჰკითხეს მხედრებმა.

— არა! ყოველისფერი საუცხოოდ გათავდა. ერთი ბეწვი რა არის, ერთი ბეწვიც-კი ვერ დამაკლეს.

მაგრამ მხლებლებმა ნათქვამი არ დაუჯერეს: ძნელი დასაჯერებელიც იყო. ამიტომ თვითონ გასწიეს ტყისაკენა, რომ თავისი თვალით ენახათ ყველაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც ორივე გოლიათი სისხლში ცურავდა, მაგრამ
მარე ძირიან-ფესვიანად თხრილ ხეებით იყო მოფენილი.

მკერვალმა მეფეს დაპირებულის შესრულება მოსთხოვა. შეწუხდა მეფე, დალონდა, არ იცოდა რანაირად მოეშორებინა გამარჯვებული თავხედი თავიდამ. ბოლოს უთხრა:

— სანამ ჩემს ქალსა და ნახევარ სამეფოს მიიღებდე, კიდევ უნდა გვიჩვენო ერთხელ ვაჟკაცობა. ჩვენს ტყეში თავისუფლად დათარეშობს და ბევრს ზარალს გვაძლევს ერთი მარტორქა. უნდა უთუოდ ესეც დაიჭირო.

— მარტორქისა ხომ უფრო ნაკლებ მეშინიან, ვიდრე გოლიათებისა.— უპასუხა მკერვალმა,— ჩემთვის ეგ სულ უბრალო რამ არის! საქმე ერთი დაკვრით შვიდის დაწვენაა!..

გამოართვა მკერვალმა თოკი, ნაჯახი და ტყისკენ გასწია. მხლებლებს უბრძანა, ისევ ტყის პირას დარჩენილიყვნენ, იქ მოეცადათ. თითონ-კი შიგ შევიდა. ძებნა დიდ ხანს არ დასჭირებია; მარტორქა მალე წინ შემოეყარა და სწრაფად გაექანა მისკენ, თითქოს ჰსურს მიწასთან გაასწოროსო.

— წყნარა, წყნარა!— გააფრთხილა მკერვალმა. დინჯად, სიჩქარით ქვეყანა ვის მოუჭამია?— და გაუჩერდა იქნამდის, სანამ მხეცი სულ ახლოს მივიდოდა; მაშინ-კი უცბად ხეს მეორე მხარეს მოექცა. გამოქანებული მარტორქა ისე ლონივრად დაეძგერა ხის ტანსა, რომ თავისი რქა მთლად ძირამდის ჩაასო, ამოძრობა ველარ შესძლო და გაება მახეში.

— გაები თუ არა მახეში? ახლა-კი ჩემს ხელში ხარ!— შესძახა გახარებულმა მკერვალმა, აიღო მერე თოკი, რამდენჯერმე კისერზედ შემოახვია მარტორქასა, მერე ნაჯახით რქა მოსჭრა და ამ რიგად დამორჩილებული პირდაპირ მეფეს მიჰგვარა.

მაგრამ მეფეს თავის დაპირების შესრულება მაინც არ უნდოდა. მკერვალს კიდევ მესამე წინადადება მისცა: სანამ ქორწილს გადიხდიდა, უნდა დაეჭირა გარეული ტახი, რომელსაც მეტად დიდი ზარალი მოჰქონდა ყველასთვის. მეფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებით, ამ საქმეშიაც მეფის მონადირეებს უნდა ეშველათ მკერვალისთვის.

— ამასაც სიამოვნებით შევასრულებ, — მიუგო მკერვალმა. ეს ხომ სულ საბავშვო რამ არის!..

მაგრამ მონადირეები ტყეში არ წაიყვანა, რაც მათ დიდად სასიამოვნოდ დაურჩათ, რადგანაც ტახს მონადირეებისთვის არა ერთხელ ეცვლევინებინა ფერი.

ტახმა რომ მკერვალი დაინახა, ეშვებ გამოშვერილი და პირდაღებული ელვასავით გაექანა მისკენ, რომ სცემოდა და შუაზედ გაეგლიჯა, მაგრამ დახელოვნებული გმირი იქვე ახლოს აბანოში შევარდა, საიდანაც მაშინვე მეორე მხარეს ფანჯრიდან გაძვრა. ტახიც დაედევნა, შევარდა, შიგა.

ტახი უკან დაედევნა მკერვალს.

მკერვალმა ამ დროს კარებთან მიირბინა და მაგრა ჩაუკეტა კარები. ასე დაიჭირა მკერვალმა გააფთრებული მხეცი, რადგანაც ფანჯრიდამ გაძრომა მას არ შეეძლო. მკერვალმა მერე მონადირეებიც მიიხმო, და თავიანთი თვალებით აჩვენა დაჭერილი ტყვე, თვითონ-კი მეფესთან გასწია, რომელიც უნებურად უნდა დასთანხმებოდა და ნახევარი სამეფო და თავისი ქალი მკერვალისათვის მიეცა. რომ სცოდნოდა მეფესა, რომ მის წინ უბრალო მკერვალი იდგა და არა გმირი, რასაკვირველია, უფრო სანანურად გაუხდებოდა, ვიდრე ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია ქორწილი დიდებული გადაიხადეს, მაგრამ ბოლოს ხიარულისა ნიშან-წყალი არ ეტყობოდა. ჩვენი მკერვალი ძალიან ბედნიერად მეფედ შეიქმნა.

გაიარა რამოდენიმე ხანმა. ერთხელ დედოფალმა ყური მოჰკრა ღამე რომ მისი ქმარი ძილში ლაპარაკობდა: „შენ ეი, მოკლე ახალუხი შემიკერე და შალვარიც დამიკერე, თორემ ამ ადლს ხომ ჰხედავ, სულ ზედ მოგახმარ!“ მაშინ-ღა მიჰხვდა მეფის ქალი ვინც იყო მისი ქმარი, ყოველისფერი მამას უამბო და სთხოვა რამენაირად ქმრისაგან გაეთავისუფლებინა, როცელიც უბრალო მკერვალი გამოდგა. მეფემ დაამშვიდა და უთხრა:

— ღამით საწოლი ოთახის კარი ღია დასტოვე ჩემი მსახურნი კარებთან იდგებიან. როცა შენი ქმარი დაიძინებს, შემოვლენ, შეჰკრავენ და გემით სადმე შორს ქვეყანაში წაიყვანენ, რომ იმისი ვერც გზა და ვერც კვალი ვერავინ გაიგოსო.

ახალგაზრდა დედოფალს ეს ძალიან მოეწონა. მაგრამ ლაპარაკს ყური მოჰკრა ახალგაზრდა მეფის მსახურმა, რომელიც ბატონის საშინელი ერთგული იყო და ყოველისფერი მოახსენა.

— არა უშავს-რა,—უთხრა მკერვალმა,—ვერას დამაკლებენ. სალამოზედ, ჩვეულებრივ, თავის ცოლთან დაწვა დასაძინებლადა. როცა ქალი დარწმუნდა, ქმარს უკვე დაეძინა, ადგა, კარი გააღო და თვითონ ისევ დაწვა. მკერვალმა-კი თავი მოიმძინარა და, ვითომ სიზმარში, ხმა-მაღლა დაიწყო ლაპარაკი:

— „შენ ეი, ბიჭო! მოკლე ახალუხი შემიკერე და შარვალი დამიკერე, თორემ ამ ადლს ხომ ჰხედავ, იმდენს გითავაზებ, რომ!“ ერთი დაკვრით შვიდი მივაწვინე, ორი გოლიათი მოვკალ, მარტორქა თოკით დაბმული მოვიყვანე, გარეული ტახი დავიჭირე. ნუ-თუ იმათი შემეშინდება, კარებს უკან რომ მიმალულები არიან?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის გამგონე მეფის მსახურნი უცებ კანკალმარტყნალი
და ისე გადიკარგნენ, გეგონებოდათ მხეცების ჯოგი მისდევ-
თო. ამის შემდეგ მკერვალის წინააღმდეგობას ველარავინა
ჰბედავდა და სამუდამოდ მეფე შეიქმნა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭუჭყიანი

ერთს მდიდარ კაცს ცოლი ავად გაუხდა. ავადმყოფმა რაკი სიკვდილის მოახლოვება იგრძნო, მოიხმო თავისი ერთადერთი ქალი და უთხრა: — ჩემო საყვარელო შვილო! ყოველთვის ღვთის მოყვარე და კეთილი იყავ, და მოწყალე ღმერთი ყოველისფერში შეგეწევა. მე რომ ზეციდამ შენს სიკეთეს დავინახავ, სამოთხეს დავეწევი. სთქვა ეს, თვალი დახუჭა და საუკუნოდ განისვენა. ქალი ყოველ დღე დედის საფლავზე დადიოდა და სტიროდა; არც დედის ანდერძი ავიწყდებოდა: „იყავ ღვთის მოყვარე და კეთილო“. დადგა ზამთარი და დედის საფლავი თეთრმა სუდარამ დაჰფარა; როცა გაზაფხულის მზემ გამოაშუქა, ქალის მამამ მეორე ცოლი შეირთო. ცოლს მოჰყვა თავისი ორი ქალი, სახით თეთრი და ლამაზი, მაგრამ გულით შავი და ბოროტი. ცუდი დრო დაუდგა საცოდავ ქალს.

— ეს საძაგელი, იხვის წიწილი, ჩვენთან ოთახში რისთვის უნდა იჯდეს? ამბობდნენ ბოროტი დები. ვისაც ჭამა უნდა, უნდა იმუშაოს კიდეც. ადე აქედამ და სამზარეულოში გაეთრიე!

წაართვეს ყველა ახალი ტანსაცმელი, ჩააცვეს ძველი დახეულები და მისცეს ხის ფეხსაცმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა შეეხედეთ, როგორ დედოფალივით გამოპრანჭულია! ეუბნებოდნენ დაცინვით დები. სიცილითვე სამზარეულოში ჩაიყვანეს. ამის შემდეგ ის იძულებული იყო დილიდამ საღამომდის სამზარეულოში ყოფილიყო და ყოველივე ჭუჭყიანი და სამძიმო საქმე გაეკეთებინა: ადრე დგებოდა, წყალი მოჰქონდა, ცეცხლს ანთებდა, სახლსა ჰგვიდა, რეცხდა და ხარშავდა.—დები-კი ყოვლის მხრით შეურაცყოფას აყენებდნენ, დასცინოდნენ; ოსპში ნაცარს აურევდნენ, და უბრძანებდნენ, გაარჩიეო. დღისით მუშაობით დაღლილს ღამითაც მოსვენება არ შეეძლო, რადგან ლოგინი არ ჰქონდა და კერასთან ნაცარში უნდა ჩაწოლილიყო. რა თქმა უნდა, ყოველთვის ტალახით და ნაცრით იქნებოდა გასვრილი, და მეტი სახელი „ჭუჭყიანი“ დაარქვეს.—ერთხელ მამა ქალაქში მიდიოდა და თავის გერებს ჰკითხა, რა მოგიტანოთო?

— ლამაზი კაბები, მიუგო უმფროსმა.

— თვალ-მარგალიტი, სთქვა მეორემ.

— შენ, ჭუჭყიანო, შენ რაღა მოგიტანო? ჰკითხა თავის შვილს.

— მე იმ ხის შტო, რომელიც შენს ქუდს მოხვდება. უკან დაბრუნებისას მამამ გერებს ლამაზი კაბები და თვალ-მარგალიტი უყიდა და შინისკენ გასწია. ამწვანებულ ბუჩქნარში გავლა მოუხდა და ერთი თხილის შტო ქუდს მოედო; მოსწყვიტა და სახლში წამოიღო. მოვიდა, გერებს ის დაურიგა, რაც დააბარეს, ჭუჭყიანს-კი თხილის შტო მისცა.

შვილმა მადლობა უთხრა, წავიდა დედის საფლავზედ, თხილის შტო დარგო, მერე იმდენი იტირა, რომ ახალ დარგული შტო თავის ცრემლით მორწყო.

შტომ იხარა, გაიზარდა და მშვენიერი ხე შეიქნა. ჭუჭყიანი ყოველდღე სამჯერ მიდიოდა, ტიროდა და ლოცულობდა. ყოველ ამ დროს მოფრინდებოდა ერთი თეთრი ჩიტი და, რასაც ქალი გულში გაივლებდა ან ინატრებდა, მაშინვე ყოველიფერი უსრულდებოდა. ერთხელ მეფემ წვეულება გამართა, რომელიც სამი დღე უნდა გაგრძელებულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიყო, და რომელზედაც ყველა ახალგაზრდა ქალები ყოფილნ მიწვეულნი: მათ შორის ბატონიშვილს საცოლო უნდა ამოერჩია. გერებმა რომ გაიგეს, ამ ნადიმზედ ჩვენც მიწვეულნი ვართო, სიხარულით ცას დაეწივნენ, ჭუჭყიანს დაუძახეს და უთხრეს:

— თმა დაგვიწან, ფეხსაცმელი დაგვიწმინდე. სასახლეში ვართ დაპატიჟებული!—ჭუჭყიანმა ყოველივე მათი ბრძანება შეასრულა, მაგრამ მერე ტირილი მოართო, რადგან იმასაც ძალიან უნდოდა ცეკვა და მხიარულება. დედინაცვალს სთხოვა, ისიც თან წაეყვანა.

— ოჰ, შე ჭუჭყიანო, შენა! ერთი შეხედეთ! ასეთი ტურტლიანი, ასეთი დათითხნილია და სასახლისკენ-კი იწევს! შეუტია დედინაცვალმა.—შენ არც ტანისამოსი გაქვს, არც ფეხსაცმელი, და საცეკვაოდ-კი ემზადები?—მაგრამ ჭუჭყიანმა ისეთი გულით დაუწყო ხვეწნა, რომ დედინაცვალმა ვერ მოითმინა და უთხრა:

— ოსპში ნაცარი ჩაუყრია ვიღასაც, თუ ორი საათის განმავლობაში გაარჩევ, შეგიძლიან ჩვენთან წამოხვიდე.—ქალი უკანა კარებიდან ეზოში გავიდა და დაიძახა:

— მოფრინდით ჩემთან, ფრინველნო, დამეხმარენით გაჭირებაში,

ოსპი ქოთანში ჩაჭყარეთ,
ნაცარი ქარს მიეცითო.

მოფრინდა ორი თეთრი მტრედი, გვრიტები და სხვა ფრინველები, ჭიკჭიკით ძირს დაეშვნენ; მტრედებმა თავი ჩაღუნეს და ნისკარტით მარცვალს ამორჩევა დაუწყეს: „ბიჭ! ბიჭ! ბიჭ!“ ეგრევე მოიქცნენ დანარჩენი ფრინველებიც. ერთი საათი არ გასულიყო, ყოველისფერი მზად იყო და ფრინველებიც გაფრინდნენ. გახარებულმა ქალმა არჩეული ოსპი ქოთნით დედინაცვალს მიუტანა: დაიმედებული იყო, რომ უთუოდ წაიყვანდა ხელმწიფის ნადიმზედ, მაგრამ დედინაცვალმა ასე უპასუხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ჭუჭყიანო, შენ კაბა და ფეხსაცმელი არა გაქვს და ცეკვა არ შეგიძლია; შენ იქ მხოლოდ სასაცილოდ ვიდგებენ.—ჭუჭყიანმა მორთო ისევ ტირილი. მაშინ დედინაცვალმა უთხრა:

— მაშ კარგი, ერთი საათის განმავლობაში ორ ქოთან ოსპს თუ გაარჩევ, მაშინ შეგიძლია ჩვენთან წამოხვიდე. თავის გულში-კი ფიქრობდა: „—ეს ხომ შეუძლებელია!“

დედინაცვალმა ორი ქოთანი ოსპი ნაცარში ჩაჰყარა; ქალი ისევ ბაღში წავიდა და დაიძახა:

— მოფრინდით ჩემთან ნაზო მტრედებო, გვრიტებო, ყველა ფრინველებო, და დამეხმარეთ გაჭირებაში,

ოსპი ქოთანში ჩაჰყარეთ,
ნაცარი ქარს მიეცითო!

მოფრინდა ორი თეთრი მტრედი, გვრიტები და სხვა მრავალგვარი ფრინველები, ჭიკჭიკით ძირს დაეშვნენ. მტრედებმა თავი ჩაღუნეს და ნისკარტით მარცვალს რჩევა დაუწყეს: „ბიჭ! ბიჭ! ბიჭ!“ დანარჩენი ფრინველებიც ასე მოიქცნენ; კარგ მარცვლებს ქოთანში ჰყრიდნენ. არ გასულა ნახევარ საათიც, რომ ყოველიფერს მორჩნენ და გაფრინდნენ. ვახარებულმა ქალმა არჩეული ოსპი დედი ნაცვალს მიუტანა: დაიმედებული იყო, ეხლა-კი ეჭვს გარეშეა, მეფის ნადიმზე მეც წავალო, მაგრამ დედინაცვალმა იმედი მთლად დაუკარგა:

— ეს არაფერს გიშველის, შენ ჩვენთან ვერ წამოხვალ...

— ეს არაფერს გიშველის, შენ ჩვენთან ვერ წამოხვალ, რად-

გან კაბა და ფეხსაცმელი არა გაქვს, შენი მიზეზით ჩვენ ეს შევრცხვებით! ვერა და ვერა! გესმის თუ არა? სთქვა-ეს-ეს და მოტრიალდა და თავის ქალებს გაჰყვა სასახლისკენ.

როცა ყველანი წავიდნენ, ჭუჭყიანი თავის დედის საფლავზე წავიდა, თხილის ძირს გაჩერდა და ჩაილაპარაკა:

გაინძერ ხეო ლამაზო,
დედოფლურად შემმოსეო...

ხიდამ ჩიტმა გადმოუგდო ოქროთი და ვერცხლით ნაკერი კაბა, ოქრო-ვერცხლით მოქარგული წუღები. ჭუჭყიანმა საჩქაროდ ჩაიცვა და სასახლეში წავიდა. ვერც დედინაცვალმა იცნო და ვერც დებმა, ვილაც თავადის ქალი ეგონათ; ისეთი მშვენიერი რამ იყო ახალ ტანისამოსით, თვალი უკეთეს ვერას ნახავდა! იმათ აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ეს იმათი ჭუჭყიანი იყო; ეგონათ, ის ეხლა სახლში ზის, ნაცარსა ჰქექს და ოსპს არჩევსო. ბატონიშვილი ჭუჭყიანთან მივიდა, მოჰკიდა ხელი და მასთან ერთად ცეკვა დაიწყო, მთელი საღამო აღარ მოჰშორებია, და თუ ვინმე მივიდოდა სათამაშოდ, ერთს პასუხს აძლევდა:

— მე ამ ქალს არავის დავუთმობ!

სახლში წასასვლელად რომ მოემზადა, ბატონიშვილმა უთხრა:

— მე გაგაცილებთო, რადგან ძალიან უნდოდა გაეგო, ვინ იყო ეს მშვენიერება? მაგრამ ქალი უცბად გაქრა და თავის მამის სამტრედოში დაიმალა. მაშინ ბატონიშვილი ქალის მამასთან მივიდა და უთხრა:

— ის უცნობი ქალი შენს სამტრედოში დამემალა.

— ჭუჭყიანი თუ იყო? გაივლო გულში მამამ. მოიტანა ცული, სამტრედო გატეხა, მაგრამ შიგ არავინ იყო. როცა დედინაცვალი თავის ქალებით სახლში დაბრუნდა, ჭუჭყიანი თავის დასვრილ ტანისამოსში ნაცარში ჩაწოლილი იყო, კერას ღამის ჭრაქი ოდნავ ანათებდა. ჭუჭყიანი, სანამ დედინაცვალი დაბრუნდებოდა, სამტრედოდამ სიჩქარით გამოვიდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხილთან მიირბინა, თავისი ოქროს ტანისამოსი დაეცა და მწვანეზედ დასდო; თეთრი ჩიტი მოფრინდა და ოქროველიფერი თან წაიღო. ქალმა-კი თავისი ძველი ჭუჭყიანი ტანისამოსი ჩაიცვა და სამზარეულოში კერასთან მიწვა. მეორე დღეს მეფის სასახლეში ისევ ლხინი იყო. მამა, დედინაცვალი და დები რომ წავიდნენ, ჭუჭყიანი თხილთან მივიდა და დაუძახა:

გაინძერ, ხეო ლამაზო,
დედოფლურად შემმოსეო.

ჩიტმა წუხანდელზედ უკეთესი კაბა და ფეხსაცმელი ჩამოუგდო. როცა ამ კაბით სასახლეში მივიდა, მისმა სილამაზემ ყველა გაკვირვებაში მოიყვანა. ბატონიშვილი მოუთმენლად ელოდა; შევიდა თუ არა, მიესალმა და მთელი ღამე მასთან ცეკვავდა; ბევრმა გაიწვია ქალი საცეკვაოდ, მაგრამ ის ყველას ერთსა და იმავე პასუხს აძლევდა:

— არა, მე ამ ქალს არავის დავუთმობ. როცა დაღამდა ქალმა წასვლა დააპირა, მაგრამ ვაჟიც ჩუმად თან დაედევნა, რომ გაეგო, სად წავიდოდა! ქალი სახლის უკან თავიანთ ბაღში გადახტა. იქ მშვენიერი მსხალი იდგა, ამ მსხალზედ თრითინასავით ავიდა და სადღაც ისე გაქრა, რომ ვაჟმა ვერც-კი შეამჩნია, სად მიიმალა. ბატონიშვილმა ქალის მამას მოუცადა და უთხრა:

— ის უცნობი ქალი გაიქცა და ამ ხეზედ ავიდა.

— იქნება ჭუჭყიანი იყო? კიდევ გაივლო მამამ გულში.

უბრძანა ცული მოეტანათ, მოსჭრა ხე, მაგრამ ვერავინ ვერ ნახა. როცა დედინაცვალი თავის ქალებით სამზარეულოში შევიდა, იქ, როგორც ყოველთვის, ნაცარზედ მძინარი ჭუჭყიანი დახვდა: მეორე მხრით ხიდამ ჩამოვიდა, თავისი ტანისამოსი თხილ ქვეშ ჩიტს მიუტანა და ისევ თავისი ძველი კაბა ჩაიცვა. მესამე დღეს, როცა ყველანი სასახლეში წავიდნენ, ჭუჭყიანი თხილის ირას გაჩნდა და შესძახა:

გაინძერ, ხეო ლამაზო,
დედოფლურად შემმოსეო..

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრმა ჩიტმა ისეთი მშვენიერი და ბრწყინვალე ტანისამოსი ჩამოუგდო, რომლის მსგავსი ჯერ არავის სცმია, წულები-კი სულ წმინდა ოქროსი იყო. როცა ამ ტანისამოსით შემკული სასახლეში შევიდა, ყველა გაკვირვებით უყურებდა, ვერავინ ხმა ვერ ამოიღო, ისე გამოაშტერა მისმა სიმშვენიერემ და არავის არ უნდოდა თვალი მოეშორებინა. მასთან მარტო ბატონიშვილი ცეკვავდა და, ვისაც უნდა ეთხოვა თამაშობა, ყველას ასე ეუბნებოდა:

— მე ამ ქალს ვერავის დავუთმობო. როცა დაღამდა, ჭუჭყიანმა წასვლა გადაწყვიტა, ბატონიშვილს მისი გაცილება უნდოდა, მაგრამ ისე უცბად გაქრა, რომ ვაჟმა თვალიც ვერ მოასწრო; ეხლა-კი ხერხი იხმარა: მსახურთ უბრძანა, კიბე ისით გაეგლისათ. როცა ქალი კიბიდან ჩამოდიოდა, მარცხენა ფეხის წუღა კიბეს ისე მაგრად დაეკრა, რომ ზედვე დარჩა. ვაჟმა წუღა ხელში აიღო და ნახა, რომ ის იყო მშვენიერის და მოხდენილი კოხტა ფეხისა. მეორე დღეს ჭუჭყიანის მამასთან მივიდა და უთხრა:

— ჩემი ცოლი მხოლოდ ის იქნება, ვისაც ამ წუღაში ფეხი ჩაუვა. ორივე დებს გაეხარდათ ეს, რადგან, ორივეს ლამაზი ფეხები ჰქონდა. უფროსმა წუღა თავის ოთახში წაიღო და ჩაცმა დაიწყო: დედა იქვე იდგა, ცერი უშლიდა, რადგან ფეხსაცმელი მისთვის პატარა გამოდგა. დედამ დანა მიაწოდა და უთხრა:

— მოიჭერი თითი, როცა დედოფალი გახდები, ფეხით სიარული ხომ არ დაგჭირდება.

ქალმა მართლა თითი მოიჭრა, წუღა ჩაიცვა; თუმცა საშინელს ტკივილს გრძნობდა, მაგრამ მოითმინა და ისე გამოვიდა. ბატონიშვილმა ცხენზედ შეისვა და როგორც თავის საცოლე სასახლეში წაიყვანა. სასაფლაოსთან თხილის ახლო გავლა მოუხდათ; თხილზედ ორი თეთრი მტრედი იჯდა და გალობდა:

— თვალი გაახილე! ფეხსაცმელში სისხლია! ვისაც აცვია, მისთვის პატარაა! შენი ნამდვილი საცოლე-კი სახლში ზის.

ბატონიშვილი მართლა დააკვირდა საცოლოს ფეხებს და ეგ
ინახა, რომ მარცხენა ფეხიდან სისხლი სწვეთდა. ცხენისგან
ატრიალა, ისევ სახლში მოიყვანა და უთხრა: — ეს ნამდვილი
ჩემი საცოლე არ არის და უბრძანა წული მეორე დისთვის ჩაე-
ცმიათ. ისიც თავის ოთახში წავიდა ჩასამეცლად. მეორე დას
ფითები კარგათ ჩაუვიდა, მაგრამ ქუსლი-კი არა. დედამ დანა
მიაწოდა და იგივე უთხრა:

— ცოტა ქუსლი მოიჭერი, როცა დედოფალი გახდები,
ქვეითად ხომ სიარული არ შეგხვდება. — ქალმა ქუსლი მოითა-
ლა, წული ჩაიცვა და მიუხედავად საშინელი ტკივილისა, მე-
ფის ვაჟთან გამოვიდა. ვაჟმა ცხენზე შეისვა და წაიყვანა.
როცა თხილს გაუსწორდნენ, იქ მჯდომმა მტრედებმა ბალობა
დაიწყეს:

— თვალი გაახილე! ფეხსაცმელში სისხლია... შენი ნა-
მდვილი საცოლე-კი შინა ზის. — ვაჟი ქალის ფეხს დააცქერდა
და დაინახა, რომ ფეხსაცმელიდამ სისხლი სწვეთდა და თეთ-
ი წინდა მთლად გაეწითლებინა. ცხენი უკან მოატრიალა
ა ქალი უკანვე მიიყვანა.

— ჩემი ნამდვილი საცოლე არც ეს არის, მეტი ქალი
არა გყავთ სახლში?

— არა, მიუგო ქმარმა. მართალია ჩემი პირველი ცო-
ლიდამ დამრჩა ჭუჭყიანი, მაგრამ ის მეფის სასახლისთვის არ
გამოდგება.

როცა მეფის ვაჟმა ბრძანა, — მოეყვანათ, დედინაცვალი
ჩაერია და უთხრა:

— აბა ის რას გამოგადგებათ? ის ისეთი ტურტლიანია,
რომ შესახედავადაც შეგზიზღდებათ. ბატონიშვილმა მაინც
ჭუჭყიანის ნახვა მოინდომა და დააძახებინა. იმანაც სუფთად
დაიბანა ხელპირი, გამოვიდა და მოწიწებით თავი დაუკრა.
ვაჟმა ოქროს წული მიაწოდა; ქალი იქვე სკამზედ ჩამოჯდა,
ხის მძიმე ქოში გაიხადა და ოქროს წული ჩაიცვა, რომელიც
მის ფეხზედ ჩამოსხმულსა ჰგავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭუჭყიანი ჩამოჯდა ტახტზედ და ტუფლი ჩაიცვა.

როცა ქალი წამოდგა და ვაჟს პირდა პირ თვალებში შეეხედა, უკანასკნელმა მაშინადვე იცნო ის მშვენიერი არსება, რომელთანაც თამაშობდა და სიხარულით შეჰყვირა:

— აი ესკი ნამდვილი ჩემი საცოლოა!.. ჭუჭყიანის დედინაცვალი და ორივ მისი და მეტის მეტი ბოროტებისაგან შეკრთნენ; ბატონიშვილმა ქალი ცხენზედ შეისვა და სახლში წაიყვანა. როცა თხილს გაუარეს, თეთრმა მტრედებმა გალობა დაიწყეს:

— ახლა ხომ ჰხედავ, ფეხსაცმელში სისხლი არ არის!— შენთან მოდის ნამდვილი შენი საცოლე.— მორჩნენ ამ გალობას, ხიდან ჩამოფრინდნენ, ერთი მარჯვენა მხარზედ და მეორე მარცხენაზედ დააჯდა ჭუჭყიანს და ამგვარად დარჩა.

ქორწილში დასასწრებლად ორივე დები მივიდნენ, რომ ჭუჭყიანის ბედნიერების მონაწილე გამხდარიყვნენ. როცა ჯვარის საწერად საყდარში გაემგზავრნენ, უფროსი და მარჯვენა გვერდით მისდევდა და უმცროსი-კი მარცხენით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მტრედებმა გზაზე ორივე დებს თითო თვალი ამოჭამეს. საყდრიდამ რომ მოდიოდნენ, უფროსი და მარცხნივ მხარეს მოჰყვებოდა, უმცროსი-კი მარჯვნივ; მაშინ მტრედებმა ორივე დებს თითო თვალიც ამოსთხარეს და მთლად დააბრმავეს სიბოროტისა, სიცრუისა და შურიანობისათვის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაბერი ზამთარი

ერთს ქვრივს ჰყავდა ორი ქალი; ერთი ძალიან ლამაზი და მუყაითი იყო, მეორე-კი მახინჯი და ზარმაცი. მაგრამ დედას მახინჯი და ზარმაცი უფრო უყვარდა, რადგან ის მისი შვილი იყო და მეორე-კი გერი. ყველა საქმეს სახლში ეს მეორე აკეთებდა. ყოველ დღე ჭის პირას უნდა მჯდარიყო და ძაფი ერთო, ვიდრე თითებში სისხლი არ გამოედინებოდა. ერთხელ ნართი ერთიანად სისხლით მოესვარა, ჭისკენ გადიწია, რომ გაერეცხა, ამ დროს ნართი ხელიდან გაუვარდა და წყალში ჩაუვარდა.

ქალი ტირილით დედინაცვალისკენ გაიქცა და ყოველივე თავის უბედურება უამბო. დედინაცვალი სასტიკად გაუჯავრდა და შეუბრალებლად უთხრა:

— შენ ჩააგდე, ეხლავე შენვე ამოიღეო. ქალი ისევ დაბრუნდა და ჭასთან მივიდა; არ იცოდა, რა ექნა და მწუხარებისგან გაშმაგებული და გონება დაკარგული. პირდაპირ ჭაში ჩავარდა, რომ იქიდამ ნართი ამოეღო. როცა გონს მოვიდა, მშვენიერ ამწვანებულ მინდორზე იყო, სადაც მრავალი სხვა და სხვა ყვავილი მზის სხივებს შუქს ჰფენდა და ეალერსებოდა; ამ თვალუწვდენელ მინდორს დაადგა და წავიდა; გზაზედ შეხვდა ერთი გამომცხვარი პურით სავსე ფურნე. პურებმა დაუძახეს:

— ოჰ, გამოგვყარე, ჩქარა გამოგვყარე, თორემ დავიხრუკებით! რამდენი ხანია, უკვე გამომცხვრები ვართ!... ქალი ფურნეს მიუახლოვდა და პურები გამოიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ თავის გზას გაუდგა და ერთ ვაშლის ხეს მიადგა, რომელსაც დამწიფებულ ვაშლების სიმძიმით ტოტები დაეზნექოდა. ხემ შესძახა:

— ერთი მაგრად შემანძრიე, ერთი კარგად დამარხიე!.. ჩემი ნაყოფი დიდი ხანია დამწიფებულია! ქალმა ხე გაანძრია და ვაშლი წვიმასავით ცვივოდა მიწაზედ. არხია, სანამ მთლად ჩამოაყრევინა ვაშლი, ერთს ადგილას მოაგროვა და გზას დაადგა. შემდეგ ერთ პატარა სახლს მიადგა, საიდამაც ერთმა საშინელმა ღრჯოლებიანმა დედაბერმა გამოჰყო თავი და ხელი დაუქნია. ქალს ამ საშინელების დანახვაზედ ისე შეეშინდა, რომ გაქცევა დააპირა.

— რამ შეგაშინა, ჩემო მშვენიერო ბავშვო! მიაძახა ბებერმა. დარჩი ჩემთან; თუ ყოველიფერ საოჯახო საქმეს კარგად შემისრულებ, კარგად დაგაჯილდოვებ. ეცადე ლოგონი ყოველთვის რიგზედ და კარგად გამიშალო; ბალიში ისე მაგრად უნდა დამიბერტყო, რომ გერმა სცვიოდეს: ჩემი ბალიშიდგან თოვლს ხოლმე დედამიწაზედ: იქნება არ იცი, რომ ზამთარი ვარ.

დედაბერი ისეთი ალერსით ეგბაასებოდა, რომ ქალი დასთანხმდა და მოსამსახურედ დარჩა.

ის ცდილობდა ბებრის ყოველივე სურვილი შეესრულებინა. ბალიშს ისე მაგრად უბერტყავდა, რომ გერმა ნაკვეთ-ნაკვეთად სდიოდა თოვლივით. ქალს დედაბერ ზამთართან მართლა კარგი ცხოვრება ჰქონდა: არც ერთი ავი სიტყვა არ გაუგონია, კარგსა სჭამდა და კარგსა სვამდა.—გავიდა რამოდენიმე დრო, ქალს თავისიანები მოაგონდა და მოიწყინა. პირველად თითონაც არ იცოდა, რა აკლდა, მერე კი მიჰხვდა, რომ სამშობლოზედ და თავისიანებზედ სწუხდა. თუმცა აქ ათას წილად უკეთ იყო, ვიდრე სახლში, მაგრამ შინ წასვლა მაინც ძალიან უნდოდა, ბოლოს გაუტყდა დედაბერს:—მეტად დავნაღვლიანდი! თუმცა თქვენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ერთობ კარგად გახლავართ, მაინც მეტი დარჩენა არ შეგ-
მიძლიან; მე მინდა ზევით ავიდე—ჩემიანებთან. დედაბერ-
უგო:

— მე ძალიან მომწონს შენი განძრახვა. ყოჩაღ, რომ შინ წასვლა მოგწყურდა; და რადგან კარგად მემსახურებოდი, მე თითონ აგიყვან ზევით. ქალს ხელი მოჰკიდა და დიდ კარებთან მიიყვანა. კარები გაიღო. როცა ქალი გაღებულ კარების ქვეშ იდგა, წამოვიდა კოკის პირული ოქროს წვიმა, ოქრო ქალს მთელ ტანზედ მიეკრა, თითქო ოქროს ქალად გადიქცაო.

ბალიშს ისე მაგრა ბერტყავდა, რომ გეშმა ნაკვეთ-ნაკვეთად სდიოდა თოვლივით.

— ეს ოქრო შენია, რადგან ასე მუყაითად მემსახურებოდი, უთხრა დედაბერმა და ნართი დაუბრუნა, რომელიც ქალს ჭაში ჩაუვარდა. შემდეგ ამისა კარები თავის თავად დაიხურა და ქალი ზევით დარჩა, თავის სახლის ახლო. როცა ეზოში შევიდა, მამალმა, რომელიც ჭასთან, იჯდა ყივილი მორთო:

— ყიყლიყოო! ჩვენი ოქროს ქალი დაბრუნებულა!.. ქალი დედინაცვალთან შევიდა, იმან და მისმა ქალმაც კარგად მიიღეს, რადგან სულ ოქროთი იყო შემოსილი. ქალმა ყველივე უამბო. როცა დედინაცვალმა გაიგო, მისი გერი როგორ გამდიდრებულიყო, შეშურდა და თავისი ზარმაცი და ჯოჯო შვილისთვის მოინდომა ასეთივე სიმდიდრე და ბედნიერება. უბრძანა თავის ქალს ჭასთან ახლო დამჯდარიყო და ერთვა. ნართი რომ სისხლით დაესვარა, ეკლით თითი გაიკაწრა, მერე ნართი ჭაში ჩააგდო და შემდეგ თითონაც შიგ ჩახტა. იმავე მინდორზე გაჩნდა და იმ გზით წავიდა, რომლითაც იმის დას ევლო. როცა ფურნეს მიადგა, პურმა დაუყვირა:

— ოჰ ამოგვყარე, ჩქარა, ამოგვყარე! თორემ სულ დავიწვით! რამდენი ხანია უკვე გამომცხვარი ვართ. ზარმაცმა-კი ასე უპასუხა:

— ეგ არის, დიალ! მე თქვენთვის ხელს არ გავისვრი! და გზას გაუდგა. ჩქარა ვაშლის ხესთან მივიდა, რომელმაც შეჰყვირა:

— ერთი მაგრად შემანძრიე, ერთი ღონივრად დამარხიე! ჩემი ნაყოფი დიდი ხანია დამწიფებულია. ზარმაცმა ასე მიუგო:

— უი, შენს თიასა! გინდა-კი, შენი ვაშლები თავზედ დამეცნენ?.. ეს-ღა მაკლია, რაღა!.. და ისევ გზას გაუდგა. დედაბერის სახლთან მივიდა, სრულებით არ შეშინებია, რადგან იმისი ღრჯოლები უკვე გაგონილი ჰქონდა და მოსამსახურედ დაუდგა.

პირველ დღეს თავს ძალა დაატანა და მუყიათად მუშაობდა, ყოველისფერს ასრულებდა, რასაც-კი დედაბერი უბრძანებდა: სულ იმ აუარებელ ოქროზედ ფიქრობდა, რომელსაც ბებრისაგან საჩუქრად მოელოდა; მაგრამ მეორე დღეს უკვე ზარმაცობა დაიწყო; მესამე დღეს უფრო მეტად: მერე-კი დილით ადგომაც აღარ უნდოდა. დედაბერს ლოგინს არ უმზადებდა, ბალიში ისე არ გაუბერტყავს, რომ გერმა გამოსდენოდა. ამ გვარი სამსახური მოხუცებულს ჩქარა მოჰბეზრდა

და მოსამსახურე დაითხოვა. ზარმაცს ეს ძალიან იამა, ოქროსგან ეგონა, ეხლა-კი თავზედ აუარებელი ოქროს წვიმა-ლამუქა ყრებაო.

დედაბერმა ისიც იმგვარადვე მიიყვანა კარებთან, მაგრამ, როცა ქალი გაღებული კარების ქვეშ გაჩერდა, ოქროს ნაცვლად კუპრის წვიმა დაედინა.

— აი შენი საჩუქარი, შენი სამსახურისთვის! უთხრა დედაბერმა და კარები მიხურა. ზარმაცმა სახლისკენ გასწია, მაგრამ მთლად კუპრში იყო ამოვლებული. მამალმა, დაინახა თუ არა, შეჰყივლა:

— ყიყლიყოო! ჩვენი ზარმაცი მოდის კუპრში ამოგანგლული!

კუპრი ისე მაგრად ჩაჯდომოდა ზარმაცს, რომ თავის დღეში არ მოჰშორებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდი ყორანი.



ერთს კაცს შვიდი ვაჟი ჰყავდა და, თუმცა ძალიან უნდოდა, არც ერთი ქალი. ცოლ-ქმარს წადილი შეუსრულდათ: ცოლი ფეხმძიმედ შეიქნა და ეყოლა ქალი. მშობლებთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდათ, მაგრამ ქალი ისეთი ნაზი, სუსტი და პატარა იყო, რომ იძულებულნი გახდნენ, საჩქაროდ მოენათლათ.

მამამ ერთი შვილთაგანი საჩქაროდ წყაროზედ გაჰგზავნა, მაგრამ დანარჩენი ექვსნიც უკან დაედევნენ; რადგან ერთმანეთს ეცილებოდნენ წყლის წამოღებას, ჩხუბი მოუვიდათ და ვერც ერთი დროზედ სახლში ვერ დაბრუნდა. მამაკი მოუთმენლად ელოდა და ფიქრობდა:

ალბად რამე თამაშობაში გაერთვნენ და ბავშვის მოსანათლავი წყალი სულ გადაავიწყდათ.—ეშინოდა, ბავშვი მოუნათლავი არ მომიკვდესო და გულმოსულმა შეჰყვირა:

— აა, ის უკეთურნი ისინი!.. ყორნებადამც გაქციათ ღმერთმა, თქვე აბეზარნო! —წარმოსთქვა ეს სიტყვები თუ არა, ზევიდან ფრთების ტკაცუნი მოესმა და, რა აიხედა, დაინახა შვიდი ნახშირივით შავი ყორანი. რაღას იზამდა უბედური მამა? გულითა სწუხდა თავის შვიდი შვილის დაკარგვას და ნანობდა თავის გაბრაზებას.—ერთად ერთ ნუგეშად ქალი შერჩა, რომელიც დღითი დღე იზრდებოდა და თანაც ლამაზდებოდა.

დიდ ხანს არ იცოდა, პატარა ქალმა თუ მას ძმები ჰყვანდა, რადგან მშობლები აეკრძალა მასთან ლაპარაკს ერი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებოდნენ. ერთხელ ქალმა მოსამსახურეების ლაპარაკს მოჰკრა ყური:

— მართალია ქალი ძალიან კარგია, მაგრამ შვიდი ძმის დაკარგვის მიზეზი-კი მაინც ის არის. ქალს ეს ძალიან ეწყინა, თავის დედამამასთან მივიდა და ჰკითხა: მყავდა მე ძმები თუ არა, და თუ მყავდა, რა იქნენო?

მშობლებმა საიდუმლოს დამალვა ველარ გაბედეს და თანაც დაუმატეს,—შენ ბრალი არაფერში გაქვს, რაც მოხდა, ღვთის განგებით მოხდაო. მაგრამ ქალი მაინც თავის თავს უსაყვედურებდა და სულ თავის ძმების პოვნას ფიქრობდა; მოსვენება აღარა ჰქონდა. ბოლოს ადგა და გაიპარა თავის ძმების საძებნად, რაც მომივა, მომივა, უნდა ვიპოვნო და შინ მოვიყვანო ჩემი ძმებიო. თან ერთი ბეჭედი წაიღო დედ-მამის სახსოვრად, პურის ნატეხი, სიმშილის დასაკმაყოფილებლად, წყალი წყურვილის მოსაკლავად და პატარა სკამი შესასვენებლად.

ბავშვი თან და თან შორს წავიდა...

წავიდა. მიდის და მიდის. იარა, სანამ ქვეყნის მეორე ნაპირს. მიადგებოდა მივიდა მზესთან, მაგრამ ის ერთობ მხურვალე იყო და პატარა ბავშვებს უცბად სწვავდა. საჩქაროდ მთვარისკენ გაიქცა, მაგრამ მთვარე ერთობ ცივი, მძაფრი, თანაგრძნობას მოკლებული იყო და ქალი რიმ დაინახა, სთქვა,—უჰ, რა ადამიანის სუნი მოჰდის! რა საძაგლობაა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი მთვარეს მოშორდა და ვარსკლავებისკენ გაიქცა. ისინი-კი ალერსიანნი და კეთილნი იყვნენ. ყველანი ერთად ვიანთ ტახტზედ ბრძანდებოდნენ. გაუთიადის ვარსკლავი თავის საჯდომიდამ წამოდგა, ქალს პატარა გასაღები მისცა და უთხრა:

— უამისოდ ვერ ახვალ მიწის მთაზედ, სადაც შენი ძმები არიან. ქალმა გასაღები ხელცახოცში ლამაზად გაახვია, წავიდა და მიწის მთას მიადგა; წინ დაკეტილი კარები დაჰხვდა; ქალს გასაღების ამოღება უნდოდა, რომ კარები გაეღო, ცხვირსახოცი გახსნა, მაგრამ შიგ ვერაფერი ვერ ნახა, რადგან კეთილი ვარსკვლავის ნაჩუქარი გასაღები გზაში დაჰკარგოდა; არ იცოდა, რა ექნა? თავის ძმების გადარჩენა-კი მეტად სწყუროდა. აიღო

აიღო დანა, მოიჭრა ნეკი და კარი იმით გააღო...

დანა, მოიჭრა ნეკი და კარები იმით გააღო; როცა შიგ შევიდა, წინ ერთი ქიანდრის კაცი შემოეყარა და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გინდა აქ შენ, საყვარელო ბავშვო?

— მე ვეძებ ჩემს შვიდ ძმას, შვიდს ყორნებს.

ბატონი ყორნები სახლში არ ბრძანდებიან მაგრამ, თუ ინებებ და მოუცდი, მალე მოვლენ. ჰობრძანდი. ყორნებისთვის შვიდი თეფშით საჭმელი მოიტანა, აგრეთვე შვიდი ჭიქით სასმელი. ქალი მოუჯდა და ყველა ძმის კერძიდამ თითო ლუკმა შეჭამა; თითო ყლაპიც წყალი მოსვა ყველა ჭიქიდან. უკანასკნელ ჭიქაში თავისი ბეჭედი ჩაგდო. ამ დროს ჰაერში ფრთების ტკაცუნი მოისმა.—აი, ბატონი ყორნებიც მობრძანდებიან, სთქვა კაცუნამ. ყორნები შემოფრინდნენ, ჰნახეს თავიანთი თეფშები, ჭიქები და სუფრას მიუხსდნენ, მაგრამ ყველა ერთხმად ალაპარაკდნენ:

— ჩემი თეფშიდან ვილასაც უჭამია.

— ჩემი ჭიქიდან ვილასაც დაულევია!

— ადამიანი ყოფილა ალბად! როცა უმცროსმა თავისი ჭიქა წყალი დასცალა, შიგ ბეჭედი დაინახა. შეხედა თუ არა, მაშინვე იცნო თავის მშობლების ბეჭედი და სთქვა:

— ღმერთო, ნეტავი ჩვენი და აქ იყოს! მაშინვე გავთავისუფლდებით ყველანი! როცა კარებს უკან მიმალულმა ქალმა ეს გაიგონა, შევარდა ძმებთან და ყორნები იმ წამსვე ადამიანებად იქცნენ. ერთმანეთს გადაეხვივნენ, გადაჰკოცნეს და შინისკენ გაემგზავრნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წითელ-ქუდა

ყო და არა იყო რა, იყო ერთი მშვენიერი პატარა ქალი, რომელიც, ვინც-კი იცნობდა, ყველას უყვარდა. მაგრამ ყველაზე მეტად ბებიას უყვარდა და ძლიერაც ანებივრებდა. სულ იმას ფიქრობდა, თუ რა ნაირად და რით ესიამოვნებინა თავისი შვილის შვილი! ერთხელ ბებიამ წითელი ხავერდის ქუდი აჩუქა. ქუდი ბავშს ისე უხდებოდა, რომ ქალს იმის მეტი სხვა ქუდის ტარება არ იამებოდა და ამის შემდეგ სახელად წითელ-ქუდა დაარქვეს. ერთხელ დედამ წითელ-ქუდას უთხრა:

— შვილო, წადი და ბებიას ერთი ნაჭერი ხაჭაპური და ბოთლი ღვინო მიუტანე; ნაავადმყოფარია, სუსტად არის და იამება. ჩქარა წადი, სანამ დაცხებოდეს; ჭკვიანად იარე, ნელა, ნუ გაიქცევი, თორემ დაეცემი, ბოთლი გაგიტყდება და ბებიას რალას მიუტან? ოთახში რომ შეხვიდე, სალამის მიცემა არ დაგავიწყდეს.

— მე ყოველისფერს, ყოველისფერს შევასრულებ, დედა! სიტყვა მისცა წითელ-ქუდამ დედას.

ბებია ტყეში, ნახევარ საათის სავალზედ ცხოვრებდა. შევიდა თუ არა ტყეში, წინ მგელი შეჰხვდა. ბავშვმა არ იცოდა, რა საშიში იყო ის მხეცი და არც შეშინებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამარჯობა, წითელ-ქუდავ! უთხრა მგელმა.

— გაგიმარჯოს, მგელო! მიუგო ქალმა.

— ასე ადრე სად მიდიხარ?

— ბებიასთან.

— ფეშტამალის ქვეშ რა მიგაქვს.

— ხაჭაპური და ღვინო. ხაჭაპური გუშინ გამოვაცხეთ; ავადმყოფ ბებიას ძალიან იამება.

— ბებია შენი, წითელ-ქუდავ, სადა ცხოვრებს?

— ტყით ჯერ კიდევ კაი მანძილია; მისი პატარა სახლი სამ დიდ მუხის ქვეშა დგას, თხილის ღობე ავლია. შენც გეცოდინება, უთხრა წითელ-ქუდამ. მგელი-კი ფიქრობდა:

— რა ჩვილი, ტკბილი ხორცი ექნება ამ გოგნუცას! რა გემრიელი ლუკმაა; სად ბებრუხანა და სად ესა! მაგრამ ისე უნდა მოვახერხო, რომ ორივე შევჭამო. ცოტა ხანს წითელ-ქუდას გვერდით გაჩუმებული მიდიოდა, ბოლოს-კი უთხრა:

— აბა შეჰხედე წითელ-ქუდავ, რა მშვენიერი ყვავილებია! ნუ თუ არ გესმის მხიარულ ჩიტების გალობა და ჭიკჭიკი? შენ სულ პირდაპირ მიდიხარ, თითქო სკოლაში მიეშურებოდე. ამ მშვენიერებას-კი ყურადღებას არ აქცევ.

აბა მიიხედ-მოიხედე რა მშვენიერი ყვავილებია გარშემო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელ-ქუდამ თავი მაღლა აიღო. როცა დაინახა ტყის მშვენიერება, როცა დაინახა ფოთლებით შემოსილი ხეები, ბრი-
ის დილის მზის ქუჩრდულად ჩამოპარული სხივი და კოპწია, ლამაზი ტყის ყვავილები, ქალმა გულში გაივლო:

— რა თქმა უნდა, ბებიას იამება, ამ სურნელოვან ყვავილების თაიგული რომ მივუტანო; ჯერ მაინც ადრეა, კიდევ მოვასწრებ.

ამ სიტყვებით ქალმა გზას გადუხვია და ტყეში ყვავილების კრეფა დაიწყო. ერთს რომ მოსწყვეტდა, მეორე უკეთესად ეჩვენებოდა. ისე გაიტაცეს ყვავილებმა რომ ვერც-კი შეამჩნია, რომ შუა გულ ტყეში შესულიყო. მგელი-კი ამ დროს მოკლე გზით გარბოდა, ბებიას ქოხს მიუახლოვდა და კარი დაარაკუნა:

— ვინა ხარ? ჰკითხა ბებიამ.

— წითელ-ქუდა; ხაჭაპური და ღვინო მოგიტანე; კარი გამიღე.

— რაზას ხელი დააჭირე! დაუყვირა ბებიამ, მე ძალიან სუსტადა ვარ, ადგომა არ შემიძლია. მგელმა რაზას წინა ფეხი დააჭირა, კარი გაიღო და შევიდა. ხმა ამოუღებლად მიუახლოვდა ბებიას საწოლს და გადაყლაპა მოხუცებული. შემდეგ მისი ტანისამოსი ჩაიცვა, თავსახურავი მოიხურა, ლოგინში ჩაწვა და საბანი გადიფარა.

ამ დროს ყვავილების კრეფით დაქანცულ წითელ-ქუდას თავის ბებია მოაგონდა და მისკენ გაეშურა. იმდენი ყვავილები მოაგროვა, რომ ძლივს-ღა მიჰქონდა, მოუახლოვდა სახლს თუ არა, ძალიან გაუკვირდა, რომ სახლის კარი გაღებული დაჰხვდა. ბებიას ოთახში რომ შევიდა, რაღაც შიში მოერია.

— ღმერთო ჩემო! ნეტავი ვიცოდე რისა მეშინია! წინედ ბებიასთან ყოველთვის მხიარულად ვგრძნობდი თავს, დღეს რაღა დამემართა?—ბოლოს დაუძახა:

— დილა მშვიდობისა, ბებია! რაკი პასუხი ვერ მიიღო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგინთან მივიდა, საბანი ასწია: ლოგინში ბებია ეგდო, ვისი თავსახვევი ეხვია და როგორლაც უცნაურად გამოიყურებოდა.

— ბებიავ, რადა გაქვს ასეთი დიდი ყურები?

— იმიტომ, რომ შენი ხმა უფრო კარგად გავიგონო!

— ამისთანა დიდი თვალები რაღადა გაქვს?

— რომ უფრო კარგად დაგინახო.

— ამოდენა ხელები რაღადა გაქვს?

— რომ უფრო კარგად მოგეხვიო.

— ეს საშინელი დიდი პირი რაღად გაქვს, ბებიავ?

— იმიტომ, რომ უფრო ჩქარა შეგჭამო. სთქვა ეს სიტყვები მგელმა, ლოგინიდამ წამოვარდა და საცოდავი ბავშვი გადაყლაპა.

მგელმა დააკმაყოფილა თავისი სიმშილი, ისევ ლოგინში ჩაწვა, დაიძინა და საშინელი ხვრინვა ამოუშვა. სწორედ იმ დროს იქ ახლო მონადირე მიდიოდა; მგელის ხვრინვას ყური მოჰკრა და გაიკვირვა:

— რა საოცრად ხვრინავს ეს დედაბერი! ერთი შევიხედო, ხომ არა მოუვიდა-რა. შევიდა ოთახში, დაინახა ლოგინში მგელი.

— ჰხედავთ, სადა ყოფილა ეს წუპაკი ესა! დიდი ხანია მე შენ დაგეძებ. მონადირეს უნდოდა მაშინვე თოფით მოეკლა, მაგრამ ერთმა აზრმა გაუელვა: იქნება ბებერი შესჭამა, და კიდევ შეიძლებოდეს უბედურის გადარჩენაო. აიღო დანა და მძინარე მხეცს მუცელი გაუჭრა. გასჭრა ცოტა, წითელი ნაწილი ქუდისა გაეოჩნდა, გასჭრა უფრო მეტი და გამოხტა ქალი, რომელმაც შეჰყვირა:

— აჰ, როგორ შემეშინდა! რა რიგად ბნელა მგელის მუცელში! მერე მოხუცი ბებიაც გამოვიდა, ის კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ ძლივს-კი სუნთქავდა. წითელ-ქუდამ საჩქაროდ დიდრონი ქვები მოაგროვა და მგელს მუცელში ჩაუწყო. მგელმა გამოიღვიძა, უნდოდა საწოლიდამ ჩამომხტარიყო, მაგრამ ქვების სიმძიმემ ძირს დასცა და მოკვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად სამნივე კმაყოფილნი დარჩნენ: მონადირემ მგელს ტყავი გააძრო და შინ წავიდა, ბებიას ხაჭაპური და ღვინო იამა, წითელ-ქუდამ-კი ჭკუა ისწავლა, და ფიქრობდა:

— თუ-კი დედა დამიშლის, ჩემს დღეში მარტო ტყეში სირბილს აღარ დავიწყებ.

ამბობენ, ერთხელ კიდევ, როცა წითელ-ქუდას ბებიასთან მეორედ ხაჭაპური მიქონდა, სხვა მგელი შეჰხვდა, რომელიც არ-წმუნებდა, გზიდამ გადაუხვიე, ყვავილებით სავსეა იქაურობაო. მაგრამ წითელ-ქუდა, უკვე გამოცდილი იყო და პირდაპირ გზით წავიდა. მოვიდა თუ არა ბებიასთან, უამბო, მგელი შემხვდა, სალამი მომცა, მაგრამ ისეთი ბოროტი თვალებით შემომხედა, რომ ასეთი შარა გზა არ ყოფილიყო, უთუოდ შემჭამდაო.

— მაშ კარი დავკეტოთ, რომ აქ არ შემოვიდეს. შემ-დეგ ამისა დიდი ხანი არ გასულა, მგელი მართლა კარებს მოადგა და დაუძახა:

— კარი გამიღე, ბებიავ, შენი წითელ-ქუდა ვარ; ხაჭა-პური მომაქვს. მაგრამ იმათ პასუხიც არ მისცეს და არც კა-რი გაუღეს. ბებიამ და წითელ-ქუდამ მგლის ანთებული თვალები რამდენჯერმე დაინახეს ფანჯრიდამ, რადგან სახლს სულ გარშემო უვლიდა ბოლოს მგელი ბანზედ ავიდა და ლოდინი დაიწყო: წითელ ქუდა რომ სახლში წავა, ბნელა-ში დავიჭერ და შევჭამო. მაგრამ ბებია მიუხვდა. სახლის წინ დიდი აუზი ჰქონდა:

— აიღე, წითელ ქუდავ, ჩაფი და აუზში ძეხვის ნახარში წყალი ჩაასხიო. უბრძანა ბებიამ. წითელ-ქუდამ მართლა იმ-დენი წყალი ჩაასხა, რომ უშველებელი აუზი პირთამდე აავ-სო. მგელს ძეხვის სუნი ეცა და ჰაერში ცხვირით ყნოსვა და-იწყო, რადა გაეგო, საიდამ იყო ძეხვის სუნი? იმდენი იწია წინ, იმდენი, რომ თავი ველარ შეიმაგრა, ბანიდგან ძირს და-ეშვა, პირდა-პირ აუზში ჩავარდა, და შიგ ჩაიხრჩო. წითელ-ქუდა გახარებული წავიდა სახლში და მას შემდეგ მისთვის არავის რა უწყენინებია.

ბრემენელი მემუსიკენი



ერთს კაცს ერთი ვირი ჰყვანდა, რომელიც რამოდენიმე წელიწადი დაუღალავად ეზიდებოდა სავსე ტომრებს წისქვილში, მაგრამ ბოლოს ჯანმა უღალატა და სამუშაოდ არ ვარგოდა. პატრონმა გადასწყვიტა, ტყუილად-ღა ვაჭმევ ამ უვარგისსაო და ეზოდამ გააგდო; ვირმა იგრძნო თავისი უბედურება და გზას გაუდგა პირდაპირ ბრემენისკენ.

— იქ მუსიკა ძალიან უყვართ და უთუოდ გავხდები რასმეო. ცოტა ხანს შემდეგ გზაზედ მწოლარი მეძებარი დაინახა, რომელიც ძლივს-ღა სუნთქავდა, ეტყობოდა, ძალიან დაღალულ-დაქანცული იყო.

— რა დაგემართა, მურიავ? ჰკითხა ვირმა.

— ეეჰ, მიუგო ძაღლმა. დავბერდი, დღითი-დღე ღონე მელევა, სანადიროდ სიარული არ შემიძლია და ჩემმა პატრონმა მოკვლა მომინდომა; თუმცა გავიქეცი, მაგრამ, არ ვიცი, საით წავიდე, ან საჭმელი როგორ ვიშოვნო?

— მაშ იცი, რა გითხრა? უთხრა ვირმა; მე ბრემენში მივდივარ და იქ მინდა მემუსიკედ გავხდე. გინდა, ერთად წავიდეთ? განა შენ-კი არ გამოდგები! მე ფანტურს დავუკრავ, შენ-კი დოლი გქონდეს. ძაღლს გაეხარდა და ერთად გზას გაუდგნენ. ცოტა ხანს ერთად სიარულის შემდეგ, ერთი მოწყენილი და მეტად გამხდარი კატა შეხვდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა უბედურება გწევია, კატუნავ, რომ ასე მოწყენილი ხარ? ჰკითხა ვირმა.

— აბა ვის შეუძლია მხიარულად იყოს, როცა მისი სიკვდილ-სიცოცხლე ბეწვზედ ჰკიდია? მიუგო კატამ. დავბერდი, კბილები დამიჩლუნგდა და ბუხართან უფრო სიამოვნებით ვთბებოდი, ვიდრე თაგვებზედ ვნადიროობდი. დიასახლისმა-კი დახრჩობა მომინდომა. თავი დავახწიე როგორც იყო და ეხლა არ ვიცი მე ბედშავმა, რა გზას დავადგე?

— ჩვენთან წამოდი ბრემენში! შენ ღამის სერენადები კარგად იცი; შენ შეგიძლია იქ ქალაქის მესაკრავედ გახდე. კატას ეს წინადადება ძალიან მოეწონა და მათთან ერთად წავიდა. მოგზაურნი ერთ სახლს მიადგნენ, რომლის ალაყაფის კარებთან იჯდა მამალი და ყივოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა:

— შენ ისე ყვირი, თითქო ქვეყანა იქცევაო, უთხრა ვირმა. რა მოგსვლია?

— როგორ თუ რა მომსვლია?!. დიასახლისს კაი დარი ვუწინასწარმეტყველე, რადგან თავის ნათლულს საცვალი დაურეცხა და უნდა გაეშრო. მაგრამ, რა-კი ხვალ კვირაა და კაი დარი, სტუმრები მოვლენ, დიასახლისმა-კი მზარეულს უბრძანა, მამალი დაჭკალ და ხვალ ჩიხირთმა გააკეთეო. ეხლა უკანასკნელად, ვყივი, წუთისოფელს ვესალმები მე უბედური.

— ჰოო! ეხლა-კი მივხვდი, ჩემო წითელ-ბიბილოვანო, უთხრა ვირმა. სჯობია ჩვენთან წამოხვიდე! ჩვენ ბრემენში მივდივართ და იქ შენ სიკვდილზედ უკეთეს რასმე იპოვნი; შენ კაი ხმა გაქვს და ჩვენ თუ ერთად კონცერტი გავმართეთ, დიდ სახელს მოვიხვეჭთ. მამალს ეს წინადადება ჭკუაში მოუვიდა და ისიც იმათ გაჰყვა. მაგრამ იმავე დღეს ბრემენში მისვლა ვერ შეიძლეს და საღამოს ტყეში შევიდნენ დასაძინებლად. ვირი და ძაღლი დიდ ხის ძირს დაწვნენ, კატა და მამალი ტოტზედ ავიდნენ, მაგრამ მამალი ხის კენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წეროზედ მოექცა, სადაც მისთვის ყველაზედ უშიშარადგანწყობილი იყო. სანამ დაიძინებდა, მამალმა ოთხსავე მხარეს გადავხედა და დაინახა, რომ იქ ტყეში ცეცხლი ბჟუტავდა, ამხანაგებს დაუყვირა:

— აქ ახლოს სახლი უნდა იყოს, სადაც ადამიანი ცხოვრებს, რადგან ცეცხლი მოჩანს. ამაზედ ვირმა უპასუხა:

— მაშ სჯობს ავდგეთ და წავიდეთ, თორემ აქ ჩვენთვის საფრთხო თავშესაფარია. ძაღლმაც გაიფიქრა:—ცუდი არ იქნებოდა, გამოხრული ძვლები მაინც მეშოვნა! თქვა და ჰქონა ერთი იყო. მაშინვე წამოდგნენ და იქით გაემგზავრნენ, საიდანაც ცეცხლი მოჩანდა. დიდი ხანიარგასულა, ერთ კარგათ განათებულ სახლს მიადგნენ, რომელშიაც ყაჩაღები ცხოვრებდნენ. ვირი, როგორც ყველაზედ უფროსი, ფანჯარას მიუახლოვდა და სახლში შეიხედა.

— რას ჰხედავ, დიდყურავ? ჰკითხა მამალმა.

— რას ვხედავ? დაეკითხა ვირი. მშვენიერი საჭმელებით და სასმელებით სავსე გაშლილ სუფრას, რომელსაც ირგვლივ ყაჩაღები უსხედან და მადიანად შეექცევიან.

— ნეტავი იმათ ადგილას ჩვენ ვიყვეთ! სთქვა მამალმა.

— აჰ, მართლა და კარგი იქნებოდა, რომ იმათ ადგილას ყოფნა შეგვეძლოს.

აქ მემუსიკეთ თათბირი შეჰქნეს,—როგორ მოვიქცეთ, რომ ყაჩაღები გავრეკოთ? ბოლოს საშუალებასაც მიაგნეს: ვირი წინაფეხებით ფანჯარაზედ უნდა შემდგარიყო, ძაღლი მას ზურგზედ შეახტებოდა, კატა ძაღლს ზემოდამ დაასკუპდებოდა, ყველაზე მაღლა-კი მაჯალი აფრინდებოდა, რომელიც კატას დააჯდებოდა. როცა ყოველიფერი მზად იყო ოთხივემ ერთხმად მორთეს ღრიალი: ვირმა ყროყინი დაიწყო, ძაღლმა ყეფვა, კატამ კნავილი, მამალმა ყივილი; შემდეგ ისინი ფანჯარას ეცნენ, მინა ჩაამტვრიეს და ისეთი აურ-ზაური ასტეხეს, ადამიანს ეგონებოდა ანტიქრისტე ჩამოსულა და ცოდვილთ მოსაგროვებლად საყვირს უკრავსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა-კი ასეთი საშინელი ყვირილი მოისმა, ყაჩაღები უცბად წამოხტნენ, მოჩვენება ეგონათ და შიშით ტყეში ეცვნენ.

როცა ყოველისფერი მზად იყო, ოთხივემ ერთად მოართეს ღრიალი.

ოთხივე ამხანაგები მაშინვე სახლში შევიდნენ, სუფრას მიუსხდნენ და დიდი სიამოვნებით შეექცნენ. რა გინდა სულო და გულო, რომ იქ არა ყოფილიყო! ისე ილმურძლებოდნენ, თითქო შვიდი კვირის ნამარხულევი ყოფილიყვნენ. როცა მესაკრავენი გაძღნენ, ცეცხლი გააქრეს და ყველამ თავიანთ გემოისად აირჩია დასაძინებელი ადგილი. ვირი ეზოში მოგროვილ ნაგავზედ მიწვა, ძაღლი კარების წინ დაეგდო, კატამ კერასთან მოართო ღრუტუნი, მამალი-კი თავხეზედ შეფრინდა. რაკი ღღით, ნასიარულები დაქანცულნი იყვნენ, ჩქარა დაეძინათ. შუალამისას, ყაჩაღებმა შორიდან დაინახეს, რომ სახლში ცეცხლი არ ენთო, ეტყობოდა, ყოველიფერი დამშვიდებულიყო, ბელადმა სთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენ სულ უბრალოდ შევშინდით და გამოვიქეცი, ერთ ამხანაგს უთხრა, წასულიყო და სახლი დაეთვალიერებინა. გამოგზავნილი რაკი დარწმუნდა, რომ ყველგან სიწყნარე იყო, სამზარეულოში ცეცხლის ასანთებად შეეიდა. ნაკვერცხალივით მბზინავ კატის თვალებს, რომელიც ნამდვილი ნაკვერცხალი ეგონა, წუმწუმა მიადვა მოსაკიდებლად. მაგრამ კატას ხუმრობა არ უყვარდა, ეცა და სულ დააკაწრა სახე. ყაჩაღს შეეშინდა და მეორე კარებიდამ გაქცევა მოინდომა, მაგრამ იქვე კარებთან ძაღლი იწვა, ფეხებში ეცა და დაჰკბინა. როცა ეზოში მირბოდა, ვირმა ერთი თავისებური წიხლი უთავაზა. ამ ხმაურობაში მამაღლაც გამოეღვიძა, რომელმაც ხმა მაღლა ყვირილი მორთო: „ყიყლიყო“! ყაჩაღმა მოჰკურცხლა თავის ამხანაგებისკენ ⅆ გულის ფანცქალით უთხრა:

მამაღლმა ხმა-მაღლა მორთო „ყიყლიყოს“ ძახილი.

— ჩვენს სახლში ვიღაც ჯადო-ქარი დაბინავებულა: გრძელი ფრჩხილებით მთლად დამიკაწრა სახე; კართან დარაჯად დანით კაცი უდგას, მომწვდა და კინაღამ ფეხები დამჭრა. ეზოში საშინელი რაღაცა მხეცი უწევს, ისე მცემა ჯოხით, ისე, რომ... მაღლა, სახურავზედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსაჯული ზის და ყვირის: „მომიყვანეთ ეგ ყაჩაღი აქეთ! კი-
დევ კარგი გამოვექეცი, თორემ თქვენი მტერი, ბიბლიოთეკა
ვილა მნახავდა?! ამის შემდეგ ავაზაკები სახლში დაბრუნებას
ველარ ბედავდნენ. ჩვენი ბრემენის მემუსიკენი-კი ძალიან
მოეწყვნენ იმ სახლში და იქიდგან წასვლა ფიქრადაც არ
მოსდიოდათ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაბლა, ჯოჯრი და კომბალი

ყო და არა იყო, იყო ერთი მკერვალი, რომელსაც სამი ვაჟი ჰყავდა და ერთად ერთი თხა. რადგან ყველას თხა ასაზრდოვებდა თავის რძით, კარგი საქმელი უნდა ჰქონოდა, რაღა თქმა უნდა და ყოველ-დღე ბალახზედ გაჰყავდათ. ამ მოვალეობას რიგ-რიგათ ასრულებდნენ მკერვლის შვილები. ერთხელ უფროსმა ვაჟმა თხა სასაფლაოსკენ მშვენიერ ბალახზედ გაუშვა საძოვრად, საღამოზედ, როცა შინ უნდა დაბრუნებულიყვნენ, ყმაწვილმა ჰკითხა:

— ხომ გაძეხი, ბეკეკაო? თხამ უპასუხა:

ისე გავძელ, ძლივსღა ვსუნთქავ,
ნორჩ კვირტსაც ველარ გავკვნეტავ.
ბეე! ბეე!

— მაშ, წავიდეთ, უთხრა ყმაწვილმა. მიიყვანა შინ და გომში შეაგდო.

— რა ჰქენი, ჰკითხა მკერვალმა. ხომ კარგად გაძღა?

— ისე გაძღა, რომ ნორჩ კვირტსაც ველარ გაკვნეტავს, მიუგო შვილმა. მაგრამ მამას უნდოდა დარწმუნებულიყო, გომში შევიდა, თავის საყვარელ თხას ხელი გადაუსვა და ჰკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამაძღარი ხარ, ჩემო თხაო, თუ არა? თხამ მიუგო:

ბალახი არ მიჭამია,
აბა როგორ გავძღებოდი?
მწირ ხრიოკში, კლდე-ღრეებში
აქეთ-იქით დავძვრებოდი.
ბეე! ბეე!

— ეს რა მესმის! შეჰყვირა მკერვალმა და შვილს მიუბრუნდა:

— ოჰ შე ცრუვ, შენა! თხა ყელამდის გამძღარიაო მითხარი და თურმე, სიმშილით-კი მოგიკლავს! გაჯავრებულმა კედლიდამ ადლი ჩამოიღო და სულ ცემით გააგდო სახლიდან თავისი შვილი. ჯერი მიდგა მეორე შვილზედ. ორღობეში ერთ ადგილს მშვენიერი ბალახი იპოვნა, და მშვენივრად გააძღო. საღამოს, როცა სახლში დაბრუნების დრომ მოაწია, ჰკითხა:

— ხომ გაძეხი, ბეკეკაო? თხამ მიუგო:

ისე გავძეღ, ძლივსღა ვსუნთქავ,
ნორჩ კვირტსაც ვეღარ გავკვნეტავ.
ბეე! ბეე!

— მაშ წავიდეთ! ყრმამ თხა შინ მოიყვანა და გომში შეაგდო.

— რა ჰქენი? ჰკითხა მკერვალმა. თხა კარგად გაძღა?

— ჰო, ისე გაძღა, რომ ერთ ღერ ბალახსაც ვეღარ შესჭამს. მაგრამ მკერვალი მაინც შევიდა გომში და ჰკითხა:

— გამძღარი ხარ, ჩემო თხაო? თხამ უპასუხა:

ბალახი არ მიჭამია,
აბა როგორ გავძღებოდი?
მწირ-ხრიოკში, კლდე-ღრეებში,
აქეთ-იქით დავძვრებოდი.
ბეე! ბეე!

— ოჰ, შე გაიძვერავ! შე ულმერთო, შენა! შეჰყვირა მკერვალმა. სიმშილით ჰკლავ საცოდავ პირუტყვს, განა?...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივარდა შვილს და ადლით ისე სცემა, რომ საცოდავი, ძალიან ბული გახდა სახლიდან გაქცეულიყო. რიგი უმცროსი ... რომელსაც თავის მოვალეობა უნდოდა უფრო კარგად შეესრულებინა; ჩიგვნარი მოძებნა, სადაც ახალი, ნოყიერი ბალახი ბლომად იყო და თხა საძოვრად იქ გაუშვა. დადგა საღამო, დრო სახლში დაბრუნებისა. ყმაწვილმა ჰკითხა:—გაძეხი, თუ ვერა თხაო? თხამ უპასუხა:

ისე გავძეღ, ძლივსლა ვსუნთქავ,
ნორჩ კვირტსაც ველარ გავკვნეტავ.
ბეე! ბეე!

— მაშ წავიდეთ! მოიყვანა შინ და გომში შეაგდო.

— ხომ კარგად გააძღე, თხა? ჰკითხა მამამ.

— როგორ არა,—ის ისე გაძღა, რომ ერთ ღერ ბალახსაც ველარ შესჭამს: მკერვალმა არ დაუჯერა, გომში შევიდა და ჰკითხა:

— ჩემო თხაო, ხომ კარგადა ხარ გამძღარი?

ბოროტმა პირუტყვმა უპასუხა:

„ბალახი არ მიჭამია,
აბა როგორ გავძღებოდი?
მწირ-ხრიოკში, კლდე-ღრეებში,
აქეთ-იქით დავძვრებოდი.
ბეე! ბეე!

— ერთი დახედეთ ამ ბოროტს, საძაგელ მატყუარას? შეჰყვირა მკერვალმა. ერთი მეორეზედ უსვინიდისონი და უწყალონი! მასხარად მიგდებენ, თუ რა ამბავია?! მოთმინებიდამ გამოსული მკერვალი მივარდა შვილს და ადლით ისე სცემა, რომ ესეც კარში გავარდა და თავს უშველა. ეხლა თხასთან დარჩა მარტო მკერვალი. დილით მივიდა და თხას ალერსი დაუწყო:

— წავიდეთ, ჩემო საყვარელო თხაო, ეხლა მე თითონ წაგიყვან საძოვრად. თოკი მოაბა რქაზედ და ამწვანებულ ბალახზედ გაუშვა, რომელიც თხებს განსაკუთრებით უყვართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქ-კი კარგად გაძღები, უთხრა და სალამომდის იქ დატოვა. სალამოს ჰკითხა:

— გამძღარი ხარ, ჩემო თხაო?

ისე გავძეხ, ძლივსღა ვსუნთქავ,
ნორჩ კვირტსაც ველარ გავკვნეტავ.
ბეე! ბეე!—უპასუხა თხამ.

— მაშ წავიდეთ! მიიყვანა შინ და გომში შეაგდო. გამოსვლის დროს, მოხუცი მიუბრუნდა და ერთხელ კიდევ ჰკითხა:

— ეხლა ხომ გამძღარი ხარ ბეკეკაო? მაგრამ თხა უკეთ არც იმას მოექცა და მიაძახა:

ბალახი არ მიჭამია,
აბა როგორ გავძღებოდი?
მწირ-ხრიოკში, კლდე-ღრეებში
აქეთ-იქით დავძვრებოდი.
ბეე! ბეე!

რაკი ეს გაიგონა, მკერვალი დარწმუნდა, რომ თავისი შვილები სახლიდამ უმიზეზოდ გაერეკნა.

— დამაცადე, შე უმადურო პირუტყვო!

შეჰყვირა გულმოკლულმა მამამ.

შენ სახლიდამ გაგდებას არ გაკმარებ: ისეთ ნიშანს დაგადებ, რომ არც ერთმა პატიოსანმა მკერვალმა სახლში არ შეგიშვას. სამართებელი მოიტანა, თხას თავი დაუსაპნა და ისე გადაპარსა, რომ სულ გაატიტვლა. ადლის ღირსიც არ გახადა, შოლტი აიღო და ისე უწყალოდ სცემა, რომ თხა სულ ხტომით გამოვარდა და გაიქცა.

მკერვალი მარტოდ-მარტო დარჩა და თავის შვილებზედ დანალვლიანდა; მათი დაბრუნება ძალიან უნდოდა, მაგრამ არავინ იცოდა, რა იქნენ, ან სად წავიდნენ.

უფროსი შვილი დურგალს შაგირდად დაუდგა, და ძალიან მუყაითადაც მუშაობდა. როცა ყავლი გაუვიდა, და სახლში წასვლა მოისურვა, დურგალმა ერთი პატარა ხის ტაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა აჩუქა, გარეგნობით სულ უბრალო, მაგრამ საკვირველი ღირსებისა: როგორც დასდგამდი, და ეტყოდი:

— „ტაბლავ გაიშალეო“! ზედ მაშინვე წმინდა და სუფთა სუფრა გადაიშლებოდა, გაჩნდებოდა თეფშები, დანები, ჩანგლები, სხვა და სხვა გვარი საჭმელები, ჭიქები და საუკეთესო სასმელები. ახალგაზრდა დურგალი ფიქრობდა:

— აწი-კი მთელს ჩემს სიცოცხლეში აღარ მომშივა. დაიწყო მოგზაურობა და სრულებითაც არ ფიქრობდა,—სასტუმრო კარგი შეჰხვდებოდა, თუ ცუდი? იშოვებოდა იქ რამე საჭმელი, თუ არა? ხანდახან სასტუმროში სულაც არ შედიოდა, არამედ შესასვენებლად მინდორში ჩერდებოდა, ტყეში, მწვანეზედ, სადაც თვითონ მოინდომებდა; ზურგზედ მოკიდებულ ტაბლას წინ დაიდგამდა და ეტყოდა:

— „ტაბლავ, გაიშალეო“! და რა გინდა სულო და გულო, რომ ტაბლაზედ არ გაჩენილიყო. ბოლოს მამასთან დაბრუნება მოისურვა,—შეიძლება, უკვე დამშვიდდა და ისევ სიამოვნებით მიმიღოს, მით უმეტეს, რო ასეთი ტაბლა მაქვსო. მოგზაურობის დროს, დურგალს ერთ სასტუმროში მოუხდა დადგომა, სადაც ბევრი სტუმრები იყვნენ.

სტუმრებმა დურგალი მიიპატიჟეს და სთხოვეს მათთან რამე ეჭამა, რადგან აქ ეხლა, ადვილი შესაძლებელია, არასფერი საჭმელი არ იყოს. არა, მიუგო დურგალმა, თქვენ ისედაც ცოტა გაქვს, მე თქვენ არ შეგაწუხებთ, ისევ თქვენ მეწვიოთ, ის სჯობსო. იმათ სიცილი დაიწყეს, ეგონათ ხუმრობსო, მაგრამ დურგალმა თავის პატარა ტაბლა შუა ოთახში დასდგა და უთხრა:

— ტაბლავ გაიშალეო!

ტაბლა იმ წამსვე სხვა და სხვა საჭმელებით გაივსო, რომლის მსგავსი სასტუმროს პატრონს თავის დღეში არ ენახა; სტუმრებს საჭმელების სუნი პირში ნერწყვსა ჰგვრიდა.

— მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით! სთხოვდა დურგალი, თხოვნის განმეორება აღარ დასჭირდა, სტუმრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაბლას შემოუსხდნენ და მადიანად შეექცეოდნენ, სხვა და სხვა, ერთი მეორეზედ უკეთეს, საჭმელებს; ყველაზე ბევრს ეჭამდა ის უკვირდათ, რომ, როცა რომელიმე საჭმელი გათავდებოდა, მის ნაცვლად ისევ ახალი იმგვარივე საჭმელი ჩნდებოდა. სასტუმროს პატრონი აქვე იდგა და ყველაფერს ჰხედავდა.

რა გინდა სულო და გულო რომ მაგიდა ზედ არ გაჩნდა...

— რა კარგი იქნება, რომ ერთი ამგვარი მზარეული მეცა მყავდეს, ფიქრობდა სასტუმროს პატრონი.

დურგალი თავის სტუმრებით შუა ღამემდის ლხინსა და დროს გატარებაში იყო. ბოლოს ყველანი დაწვნენ. დურგალიც მიწვა და თავისი სასწაულთ-მომქმედი ტაბლა იქვე კედელს მიაყუდა. სასტუმროს პატრონს ძილი არ ეკარებოდა, სულ ჯადო-ტაბლა ეჩვენებოდა. ბოლოს მოაგონდა, რომ საკუჭნაოში ერთი ძველი ხის ტაბლა ჰქონდა, რომელიც დურგლისას ძალიან ჰგავდა. გამოიტანა და ჯადო-ტაბლას ნაცვლად დასდო კედელთან, ის-კი თითონ წაიღო. შეორე დღეს დურგალმა ლანახარჯი გადაუხადა, აიღო თავისი ტაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა და გზას გაუდგა. რა მოაგონებდა, თუ გამოცვლილა, — უბრალო ტაბლას-ღა წამოიკიდებდა ზურგზე? შუა დღე იქნებოდა, როცა თავის მამასთან მივიდა, რომელსაც შვილის დაბრუნება ძლიერ იამა.

— აბა, შვილო, მითხარ სად იყავ, რა შეისწავლე? ჰკითხა მამამ.

— დურგლობა ვისწავლე, მამავ!

— კარგი ხელობაა, მიუგო მოხუცმა. რა მომიტანე ამდენი ხნის მოგზაურობიდამ?

— ისეთი რამ მოგართვი, მამა, რომ უკეთესი არ იქნება! აი ეს პატარა ტაბლა. მკერვალმა ძალიან გაიკვირვა და სთქვა:

— ამ ტაბლაში მე ვერასფერს შესანიშნავს და საყურადღებოს ვერ ვხედავ. ეს სულ ძველი, უვარგისი ტაბლაა.

— „ტაბლა-გაიშალა“, მამა, რომ არ იცი! როცა-კი ვეტყვი: — ტაბლა გაიშალეო, იმისთანა სასმელ-საჭმელებით გაივსება, რომ სულსაც ახარებს და გულსაც. წადი, ყველა ჩვენი ნათესავები და ნაცნობები დაჰპატიჟე და ეს ტაბლა ყველას საკმაოო გაუმასპინძლდება. სტუმრები რომ მოგროვდნენ, დურგალმა თავისი ტაბლა შუა ოთახში დასდგა და უთხრა:

— ტაბლავ, გაიშალეო!

მაგრამ ტაბლა არც შენძრეულა; დარჩა ისე ცარიელი, როგორც, საზოგადოდ ყველა ტაბლა, რომელსაც ადამიანის სიტყვა არ ესმის. საცოდავი დურგალი ეხლა კი მიხვდა, რომ ტაბლა გამოცვლილი იყო, მაგრამ რას იზამდა და თავ-ჩაღუნული, შერცხვენილი, იდგა თავის ტაბლასთან. სტუმრებმა მრავალი დასცინეს და მშიერნი დაბრუნდნენ სახლში. მამამისევ თავის ხელობას მიჰყო ხელი, შვილი-კი მოჯამაგირედ დადგა.

მეორე შვილი მეწისქვილესთან შაგირდად დადგა. როცა ვადა გაუთავდა, პატრონმა უთხრა:

— რადგან შენ ჩემთან კარგად მუშაობდი, ერთ უცნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურ ჯორს გაჩუქებ; მაგრამ, იცოდე ვერც ტომრებს ჩიოდეს და ვერც ურემს.

— მაშ რა თავში ვიხლი? ჰკითხა ახალგაზრდა მეწისქვილემ.

— როცა-კი ზეწარზედ შეაყენებ და ეტყვი: „ოქ-ოქ“! სულ ბაჯაღლო ოქროს გადმოჰყრისო.

— მაგას რა სჯობს, სთქვა ჭაბუკმა, მეწისქვილეს მადლობა უთხრა და სამგზავროდ წავიდა.

ფული რომ დასჭირდებოდა, საკმაო იყო ჯორისთვის ეთქვა: „ოქ-ოქ“, და ოქრო წვიმასავით სდიოდა, აკრეფას ვერც-კი ასწრებდა. სადაც უნდა მისულიყო, ყოველთვის და ყველგან რაც უფრო ძვირი იყო, იმას თხოულობდა, რადგან ჯიბე მუდამ სავსე ჰქონდა. ცოტა ხანს იარა სხვა და სხვა ქვეყნებში და ბოლოს იფიქრა:

წავალ მამაჩემთან, ოქროს მყრელ ჯორს რომ დაინახავს, გული მოუბრუნდება და შემირიგდება.

ამასაც იმავე სასტუმროში მოუხდა გაჩერება, სადაც მის უფროს ძმას ტაბლა შეუცვალეს. სასტუმროს პატრონს უნდოდა ჯორი ჩამოერთმია და თავლაში დაება, მაგრამ მეწისქვილემ უთხრა:

— ნუ შესწუხდები, ჩემს ჯორს თავლაში მე თითონ დავაბამ; მინდა ვიცოდე, ამალამ სად იქნება! მასპინძელს ცოტა არ იყოს გაუკვირდა და სთქვა:

— ჯორს რომ თავის ხელით აბამს, ჯიბე ცარიელი ექნება აი! როცა ახალგაზრდა კაცმა ჯიბიდან ორი ოქროა ამოიღო და უბრძანა მიერთმია, რაც-კი საუკეთესო ჰქონდა, სასტუმროს პატრონი დატრიალდა და, თუ რამ კარგი გააჩნდა, წინ დაულაგა. ნასადილევს სტუმარმა ანგარიში მოითხოვა, და მასპინძელმაც მოართვა. მეწისქვილემ ჯიბეში ხელი ჩაიყო, მაგრამ მეტი აღარა ჰქონდა.

— ცოტა მომითმინეთ, ფულს ეხლავე მოვიტან.

წავიდა და თან ზეწარი წაიღო; მასპინძელი ცნობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყვარეობამ სძლია, მიეპარა და, რადგან სტუმარმა ბალიში კარი თან შეიხურა, ნაპრალში ცქერა დაიწყო. სტუმარმა ვირს ზეწარი დაუგო და დაუყვირა:

— ოქ-ოქ! იმავე წამს პირუტყვმა ორივე მხრიდან ოქროები გადმოყარა.

— დასწყევლოს ღმერთმან! სთქვა მასპინძელმა. რა სისწრაფით სჭრის ფულს? კარგი არ იქნება, ამისთანა ოქროს მადანი მეც მქონდეს!

სტუმარმა გადიხადა, რაც ერგებოდა და დასაძინებლად დაწვა. მასპინძელი ღამით თავლაში შეიპარა, გამოიყვანა ოქროს მყრელი ჯორი და იმის ნაცვლად სხვა მიაბა. მეორე დღეს მეწისქვილე თავის ჯორით გზას გაუდგა და ფიქრადაც არ მოსვლია, რომ მისი ჯორი შეცვლილი იყო. შუა დღე იქნებოდა, როცა თავის მამასთან მივიდა. მამას შვილის დანახვა ძალიან იამა.

— სად იყავ, რა ისწავლე, შვილო?—ჰკითხა მოხუცმა.

— მეწისქვილეობა, მამილო.

— მოგზაურობიდამ რა მომიტანე?

— ერთი კარგი ჯორი.

— ეჰ, ვირები და ჯორები აქაც ბევრია, მიუგო მამამ. არ სჯობდა, ერთი კაი თხა მოგეყვანა.

— უბრალო ჯორი-კი არ გეგონოს. ოქროს მყრელია, უთხრა შვილმა. როგორც ვეტყვი: „ოქ-ოქ“! ამ კეთილ პირუტყვს ყოველ მხრიდამ ოქროები სცვივა. მოიპატიჟე ჩვენი ნათესავები, მე იმათ ყველას გავამდიდრებ.

— ეჰ, ნეტავი აგრე! სთქვა მკერვალმა. ამის შემდეგ მაინც აღარ დამჭირდება ჩემი ნევსი და ძაფი! მაშინვე ნათესავების დასაძახებლად წავიდა. როცა ყველამ თავი მოიყარა, მეწისქვილემ სთხოვა, წრე გაეკეთებინაო, შუაში ზეწარი გაშალა და ზედ ჯორი დააყენა.

— აბა, უყურეთ! და შეჰყვირა თავის ჯორს:

— „ოქ-ოქ“! მაგრამ არც ერთი ოქროც არ ჩამოვარდა,

რადგან პირუტყვმა ოქროს გაკეთება სრულიადაც არ ეცოდინა და! ყველა ჯორს ხომ ერთნაირი ჭკუა და ნიჭი ხომ გასთავაზებია ყვება?

საცოდავი მეწისქვილე სახტად დარჩა, ეხლა-კი მიხვდა, რომ მოტყუებული იყო. ნათესავებთან ბოდიში მოიხადა, რომელნიც ისევე ღარიბათ დაბრუნდნენ, როგორათაც მოსულიყვნენ. მოხუცმა მკერვალმა ისევ ნემსსა და ძაფს მოჰკიდა ხელი, შვილი-კი მეწისქვილეს დაუდგა მოჯამაგირედ.

მესამე ძმა ხარატთან შეგირდად შევიდა. რადგან ეს ხელობა ყველაზე უფრო ძნელი შესასწავლი იყო, ყველა ძმებზედ მეტი დრო მოანდომა. ძმებმა წერილით შეატყობინეს, თუ როგორ დაისაკუთრა სასტუმროს პატრონმა მათი საუკეთესო ნივთები.

როცა ახალგაზრდა ხარატმა ხელობა შეისწავლა, სახლში წასვლა მოისურვა, ოსტატმა ერთი ტომარი აჩუქა და უთხრა:

— ამაში კომბალი დევს.

— ტომარა-კი შემიძლია ზურგზედ მოვიკიდო, ის კიდევ გამომადგება, მაგრამ ეს კომბალი რის მაქნისია? მეტი ტვირთია, და სხვა არაფერი სთქვა ახალგაზრდა ხარატმა.

— ყური დამიგდე,—მიუგო პატრონმა,—თუ ვინმემ შეურაცყოფა მოგაყენოს, ერთი-კი უთხარ:—დატრიალდი, კომბალო". კომბალი ამავე წამს ამოვარდება და შენი შეურაცხმყოფლების ზურგზედ იმისთანა ჟაპა ჟუპს ასტეხს, რომ ერთ კვირას გონს ველარ მოვლენ. სანამ არ დაუყვირებ: „კმარა, კომბალო"! თავს არ დაანებებს. ახალგაზრდა ხარატმა მადლობა გადაუხადა, ტომარა კომბალით ზურგზედ მოიკიდა და, გზას გაუდგა.

საღამოს ახალგაზრდა ხარატი იმ სასტუმროს მიადგა, სადაც მისი ძმები მოატყუეს. ხარატმა თავის ტომარი მაგიდაზედ დასდო და თითონ მოუყვა, თუ ქვეყანაზედ შესანიშნავი რა ენახა:

— რა თქმა უნდა, არის ტაბლა, რომელიც თავის თავად იშლება, ჯორი, რომელიც ოქროსა ჰყრის. რასაკვირვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია, ტაბლაც კარგია, ჯორიც, მაგრამ იმასთან-კი ვერ მოვა, რაც ამ ტომარაში მაქვს.

მასპინძელმა ყურები ცქვიტა.

— რა უნდა იყოს ამაში? გაიფიქრა მან. სჩანს ტომარა უძვირფასესი თვალ-მარგალიტებით არის სავსე. კარგი იქნებოდა, რომ ეს ტომარაც მე დამრჩენოდა, მაშინ, თვით ხელმწიფესაც ვემჯობინებოდი. დაძინებისას სტუმარი რომ დაწვა თავ ქვეშ, ბალიშის ნაცვლად, ტომარი ამოიდო. მასპინძელს ეგონა სტუმარი შუა ძილშიაო, მიეპარა და დიდი სიფრთხილით ტომრის გამოძრობა დაუწყო: უნდოდა გამოეცალა და მის ნაცვლად სხვა ამოედო. მაგრამ ხარატიც ფრთხილად იყო და უბრძანა:

— დატრიალდი კომბალო!“ ამოვარდა კომბალი ტომრიდამ და დაუწყო მასპინძელს ზურგზედ ბრაგა-ბრუგი.

ამოვარდა კომბალი ტომრიდან და დაუწყო მასპინძელს ზურგზე ბრაგა-ბრუგი.

საცოდავმა ხმა მაღლად ვეღრება დაუწყო, მაგრამ რაც მეტს ეხვეწებოდა, მით უფრო მედგრად ჰხვდებოდა. ბოლოს სასტუმროს პატრონი უგრძნობლად მიწაზედ დაეცა. მაშინ ხარატმა უთხრა: —თუ ეხლავე არ დამიბრუნე ტაბლაც, ოქროს მყრელი ჯორიც, კომბალს ისევ შევათამაშებ შენს ზურგზედაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, არა, არა! თუ ღმერთი გწამს! ძლივს წაიმოსთქვა სასტუმროს პატრონმა.— ეხლავე მოგართმევ, დიდი სიხარულით მოგართმევ, ოღონდ მაგ მავნე სულს უბრძანე ისევ ტომარაში ჩაშავდეს.

— კარგი, მიუგო ხარატმა, ეხლა-კი შეგიბრალებ, მაგრამ შემდეგისათვის-კი გაფრთხილდი: სხვისას ნურას ინდომებ. მერე შესძახა:

— კმარა, კომბალო!

მეორე დღეს ხარატმა თან წაიღო ტაბლა, წაიყვანა ოქროს მყრელი ჯორი და თავის მამისას მივიდა. მკერვალს ძალიან გაეხარდა უმცროსი შვილის დაბრუნება და ჰკითხა, სად იყავ, რა ისწავლე?

— ხარატობა ვისწავლე, საყვარელო მამა.

— კარგი ხელობაა, — უთხრა მამამ. მოგზაურობიდან რა მოგიტანე?

— ძლიერ ძვირფასი ნივთი, მამავ, უთხრა შვილმა.— ერთი კარგი კომბალი.

— რაო? ჰკითხა მამამ, — კომბალი? განა შრომად ღირდა! აქ-კი ვერ მოსჭრიდი!

— ამისთანას ვერა, მამავ. მე რომ ვეტყვი: „დატრიალდი, კომბალო“! მაშინათვე ამოვარდება ⁄ დაიწყებს ნავარდს იმის ზურგზედ, ვინც ჩემს შეურაცყოფას გაბედავს. იმდენსა სცემს, მანამ უგრძნობლად არ დაეცემა და ვედრებას არ დამიწყებს. ამ კომბალის შემწეობით დავიბრუნე, ჩემი ძმების ტაბლა და ოქროს მყრელი ჯორი, სასტუმროს პატრონისაგან. აქ დაუძახე ჩემ ძმებს, დაჰპატიჟე ნათესავები: კარგად გავაძღოთ, დავათროთ და ბაჯაღლო ოქროებით ჯიბეები გავუვსოთ. მოხუცებულ მკერვალს შვილის სიტყვები საეჭვოდ მიაჩნდა, მაგრამ მაინც ყველა ნათესავებს დაუძახა. ხარატმა შუა გულ ოთახში ზეწარი გაშალა, ზედ ჯორი შეაყენა და თავის ძმას უთხრა:

— აბა ძმაო, ერთი დაელაპარაკე, მაგის ენა შენ იცი.

მეწისქვილემ შესძახა:

— ოქ-ოქ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვიმასავით წამოვიდა ბაჯაღლო ოქროები ზეწარზე. ყველამ ჯიბეები და უბეები გაივსეს. (რა კარგი იყო, ეს ჩვენც იქ დავსწრებოდით!)

მერე ხარატმა ტაბლა გამოიტანა და უთხრა:

— აბა, საყვარელო ძმაო, ამას კიდევ შენ უბრძანე. დურგალმა ძლივს მოასწრო წარმოთქმა: „ტაბლავ, გაიშალეო!“ რომ გაიშალა სუფრა და ძვირფას სასმელ-საჭმელებით გაივსო. გაიმირთა ისეთი ლხინი და დროს გატარება, რომლის მსგავსი მკერვალის სახლში თავის დღეში არავის უნახავს.

სტუმრები საღამომდის დარჩნენ, საღამოს-კი სრული კმაყოფილნი და მხიარულნი წავიდნენ შინისკენ.

მკერვალმა სამუდამოდ მიჰმალა თავისი ნემსი, ძაფი, ადლი, უთოები და დაიწყო ბედნიერად და მდიდრად ცხოვრება თავის შვილებთან. მაგრამ რა იქნა თხა, მიზეზი მამისაგან სახლიდამ შვილების განდევნისა?

აი, მოგახსენებთ!

თხას შერცხვა, თავისი გადატვლეპილი თავი არავისთვის არ უნდოდა ეჩვენებინა, გაიქცა და მელიას სოროში შეძვრა. დაბრუნდა მელა თუ არა, დაინახა ბნელ სოროში თხის ორი დიდი ცეცხლებრ მოელვარე თვალი, შეეშინდა და გაიქცა. წინ შემოეყარა დათვი; დათვმა მელა რომ ასე შეშინებული დაინახა, ჰკითხა:

— რა დაგმართია, მელავ-კუდაგძელავ, რისთვის მოგიწყენია?

— ოჰ, მიუგო მელამ! ჩემს სოროში შესულა რაღაც საშიში მხეცი, რომლის თვალები ცეცხლივით ანთია.

— შენ ჯავრი ნუ გაქვს, იმას ეხლავ გავაძევებთ იქიდან! — უთხრა დათვმა.

მელასთან ერთად სოროსთან მივიდა და შიგ შეიხედა. მაგრამ თხის აღგზნებული თვალები რომ დაინახა, ისიც შიშის ზარმა აიტანა და ქვა ნაკრავივით მოჰკურცხლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზაზედ ფუტკარი შეეხვდა; შეამჩნია, რომ დათვი კარგად გუნებაზედ არ იყო და ჰკითხა:

— რა ამბავია, დათუნავ, რომ ასე მოწყენილი ხარ? სად გაქრა შენი ჩვეულებრივი სიმხიარულე?

— ეჰ, ნეტავი შენა! დაიწყო წუწუნი დათვმა—მელიას სოროში ერთი საშიში მხეცი ზის, რომელიც ვერა გზით ვერ გამოგვიდევნია!

— მეცოდები ჩემო დათუნავ, მიუგო ფუტკარმა. მე საწყალი სუსტი ქმნილება ვარ, რომელსაც ხანდახან შენ ვერცკი მამჩნევ, მაგრამ, იმედი მაქვს, დახმარება აღმოგიჩინო.

ფუტკარი შეფრინდა მელას სოროში, გადაპარსულ-გადატვლეპილ თხას თავზედ დააჯდა და ისე მწარედ უკბინა, რომ საცოდავი ბღავილით: ბეე! ბეე! გმოვარდა და გარედ გაიქცა.

მას შემდეგ იმ თხისა აღარავის რა გაუგონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულწარმტაცი

ამთარი იდგა, თოვლის ძენძი ღინღლივით ნაკვეთ-ნაკვეთად ცვივოდა ციდან; შავი ხის ჩარჩოიან ფანჯარას, უჯდა დედოფალი და რაღაცას ჰკერავდა. უცაბედათ, ფიქრში გართულმა, ნემსით თითი გაიკაწრა და სამი წვეთი სისხლი თოვლზედ დაეცა. სისხლიანი თოვლი მეტად მშვენიერად მოჩანდა და დედოფალმა გულში გაივლო:

— მე რომ შვილი მეყოლოს თეთრი, როგორც თოვლი, ლოყა წითელი, როგორც ეს სისხლი და თმა შავი, როგორც ამ ფანჯარის ჩარჩო, სახელად გულწარმტაცს დავარქმევდიო.

სურვილი შეუსრულდა, მაგრამ, ბავშვი დაიბადა და დედამ-კი თქვენი ჭირი წაიღო. წლის შემდეგ მეფემ მეორე ცოლი შეირთო, ძალიან ლამაზი, მაგრამ ამაყი, უკადრისი, და ყბედი, რომელიც ვერც აიტანდა და ვერც წარმოიდგენდა, თუ დედა მიწაზე იმაზედ ლამაზი იქნებოდა ვინმე. ერთი გრძნეული სარკე ჰქონდა, რომელსაც წინ დაიდგამდა და ჰკითხავდა ხოლმე:

სიცოცხლევ, ჩემო სარკეო,
მომახსენე სიმართლეო:
ქვეყანაზე ჩემებრ ტურფა
ნუ თუ სხვაც არის სადმეო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულწარმტაცი ყოველთვის კმაყოფილი
რჩებოდა ამ გვარი პასუხით...

სარკე კი უპასუხებდა:

შენებრ ტურფა, დედოფალო,
ცის მნათობო, ქვეყნის თვალო,
არვინ არის, მერწმუნეო,
და გული დაიმშვიდეო.

ამ პასუხით მუდამ კმაყოფილი რჩებოდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ სარკე მართალს ეუბნებოდა.

გულწარმტაცი ამასობაში წამოიზარდა და დღითი დღე ლამაზდებოდა. შვიდი წლისა რომ გახდა, მის სილამაზეს მზე და მთვარე შენატროდა; დედოფალს ბევრად სჯობდა. ერთხელ დედოფალი სარკესთან მივიდა და ჰკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სიცოცხლევ, ჩემო სარკეო,
მომახსენე სიმართლეო:
ქვეყანაზედ ჩემებრ ტურფა
ნუ თუ სხვაც არის სადმეო?

სარკემ უპასუხა:

ოჰ, ტურფა ხარ, დედოფალო,
ცის მნათობო ქვეყნის თვალო...
მაგრამ გულწარმტაცი გჯობსო,
შენს შვენებას ის აკრთობსო.

დედოფალი გაჯავრდა, მწვანე ფერი გადაეკრა, გაყვითლდა შურისგან. ამის შემდეგ, სადაც-კი შეჰხვდებოდა გულწარმტაცს, გული შურით ევსებოდა და უზომოდ იტანჯებოდა. დედოფლის შური, ზვიადობა დღითი-დღე იზრდებოდა და მოსვენებას არ აძლევდა. ბოლოს დაიბარა ერთი მონადირე და უთხრა:

— ჩემი გერი ტყეში წაიყვანე, მე მეტი აღარ შემიძლია! წაიყვანე, მოჰკალი და ჩემს დასარწმუნებლად იმისი გულ-ღვიძლი მომიტანე. მონადირემ დედოფლის ბრძანება შეასრულა, წაიყვანა ქალი ტყეში, ჯიბიდგან დანა ამოიღო და, ის იყო, უნდა მოეკლა, ქალმა ტირილით ვედრება დაუწყო:

— შენ გენაცვალე, მონადირევ! შემიბრალე, ღვთის გულისათვის!—ნუ მომკლავ! გამიშვი, აქ უდაბურ ტყეში ვივლი და შინ ჩემს დღეში არ დავბრუნდები. ამ დროს ისეთი მშვენიერი იყო, რომ მონადირეს შეებრალა და უთხრა:

— ძალიან კარგი, მაგრამ წადი აქედან, შე საცოდავო, შენა!

გულში-კი სხვასა ფიქრობდა: „სულ ერთია, დღესვე ნადირი წაახდენსო.

თითქო გულიდან დიდი ლოდი მოაშორესო, ისე მოეშვა, როცა ბავშვი ტყეში თავისუფლად გაუშვა. ამ დროს ეშვი დაინახა; მოჰკლა, გულ-ღვიძლი ამოართვა და დედოფალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიართვა. დედოფალმა-კი მზარეულს მისცა მოსახარშავად, რადგან ეგონა, გულწარმტაცის გულ-ღვიძლს შეეჭამდა.

საცოდავი ბავშვი დარჩა მარტოდ-მარტო ნადირთა სამეფოში. ფოთლის შრიალიც-კი შიშის ხარს ჰგვრიდა და არ იცოდა, რა ექნა, ან საით წასულიყო? დაიწყო სირბილი წვეტიან ქვებზედ და ეკლიან გზებზედ, ნადირი მრავლად ირეოდა, მაგრამ ბავშვს არას ერჩოდნენ. იმდენი ირბინა, სანამ ფეხებში ლონე შესწვდებოდა, ბოლოს დაინახა ერთი პატარა ქოხი და იქ შევიდა, რომ ცოტა შეესვენა.

ამ სახლში ყოველისფერი პაწია იყო, მასთან სუფთა და კარგი, თეთრი სუფთა სუფრა იყო გაშლილი, ზედ შვიდი თეფში ელაგა: თითოეულ თეფშს თითო კოვზი, დანა, ჩანგალი და ჭიქა ედვა გვერდით. კედელთან მწკრივად ჩარიგებული იყო შვიდი საწოლი, მშვენიერი, თოვლივით თეთრ საბნებ გადაფარებული.

გულწარმტაცს ფრიად შიოდა და სწუყუროდა, გაშლილ სუფრის დანახვამ ხომ მადა გაუორკეცა. არ გამიგონო, ყველა თეფშიდან თითო-ლუკმა პური და მწვანილი აიღო, ჭიქებიდან თითო ყლაპი ღვინო მოსვა, შემდეგ, რადგან ძალიან დაღლილი იყო, სცადა რომელსამე საწოლში ჩაწოლილიყო, მაგრამ არც ერთი მისი სარგო არ გამოდგა: ზოგი მოკლე იყო, ზოგი გრძელი, მხოლოდ უკანასკნელი მეშვიდე, მოუვიდა კარგად, თითქო მისთვის ყოფილიყოს გაკეთებული. ღმერთი ახსენა, დაწვდა და ტკბილად დაიძინა.

როცა დალამდა, მოვიდნენ სახლის პატრონები—შვიდი პითაკი, რომელნიც მთებზედ სხვა და სხვა ძვირფას ქვებს აგროვებდნენ.

სანთელი აანთეს. მაშინვე შენიშნეს, რომ ვილაც ყოფილიყო, რადგან თავის რიგზედ და ადგილას არაფერი დაჰხვდათ. პირველმა სთქვა:

— ჩემს საჯდომზედ ვილაც მჯდარა!

მეორემ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი თეფშიდან ვილაცას უჭამია!

მესამემ:

— ჩემი პურისთვის ვილაცას ხელი უხლია.

— ჩემი მწვანილი ვილაცას უჭამია, სთქვა მეოთხემ.

— ჩემი ჩანგალი ვილაცას სჭერია, დაუმატა მეხუთემ.

— ჩემი დანა ვილაცას უხმარია, სთქვა მეექვსემ.

— ჩემი ჭიქიდან ღვინო დაულევია, დასძინა მეშვიდემ.

შემდეგ პირველმა პითაკმა ყველა კუთხე დაათვალიერა და შეამჩნია, რომ ლოგინი არეული იყო.

— აქ ვინ წოლილა?

ყველანი მაშინვე თავ-თავიანთ საწოლთან გაჩნდნენ და ერთ-ხმად დაიძახეს:

— ჩემსაზედაც ვილაც წოლილა!

როცა მეშვიდე პითაკი თავის საწოლს მიუახლოვდა, დაინახა, რომ მის ლოგინში გულწარმტაცს ტკბილად ეძინა. თავის ამხანაგებს დაუძახა, რომელნიც სირბილით მოვიდნენ და ბავშვის სილამაზით გაკვირვებულთ ერთ ხმად წამოიძახეს:

— ღმერთო ჩემო! რა ტურფა რამ არის! გულწარმტაცის სტუმრობა მეტად ესიამოვნათ, იქვე ლოგინზე დატოვეს, რომ ძილი არ დაეფრთხოთ. ლოგინის პატრონი მეშვიდე პითაკი თავის ამხანაგებთან დაწვა და ყველასთან თითო საათი ეძინა. ასე გაიარა ღამემ.

დილით გულწარმტაცს გამოელვიძა და, როცა შვიდი პითაკი დაინახა, ძალიან შეეშინდა. მაგრამ პატარა კაცუნები ტკბილად მიესალმნენ და კითხვა დაუწყეს.

— რა გქვია სახელად?

— გულწარმტაცი.

— აქ რამ მოგიყვანა?

ისიც მოუყვა ყოველიფერს, დედინაცვალს უნდოდა ჩემი დაღუპვა, მაგრამ მონადირეს შეეცოდე და თავისუფლად დამტოვა ტყეში, მთელი დღე დავრბოდი, და ბოლოს ამ თქვენს პატარა სახლს მოვადექი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოდი, ჩვენი დიასახლისობა იკისრე, უთხრეს პითაკებმა: საქმელი გაგვიკეთე, დაგვირეცხე, შეგვიკერე და ... გვიქსოვეო? თუ კარგად მოგვიარე, ყოველისფერი სუფთად და რიგზედ შეგვინახე, დარჩი ჩვენთან და ჩვენ ღირსეულად გადაგიხდით. თანახმა ხარ?

— სულით და გულით! მიუგო გულწარმტაცმა. დარჩა მათთან, სახლს ძლიერ სუფთად და რიგზედ ინახავდა. დილით პითაკები მთებზედ მიდიოდნენ, ოქროს ბ სხვა მადნეულობის საძებრად; საღამოს ბრუნდებოდნენ სახლში. იმ დროსთვის სახლიც მოვლილი უნდა ყოფილიყო და საქმელიც მზად უნდა ჰქონოდათ.

გულწარმტაცი იმათთან დარჩა..

მთელი დღე მარტოდ მარტო რჩებოდა ქალი; პითაკები თავის დობილს აფრთხილებდნენ:

— გეშინოდეს შენი დედინაცვლისა: მალე გაიგებს შენს აქ ყოფნას და... იცოდე სახლში არავინ შემოუშვა!

დედოფალი დარწმუნებული იყო, თეთრ-თოვლას გულღვიძლი შევჭამეო და მხოლოდ იმაზედ-ღა ფიქრობდა, რომ ის ეხლა ყველაზე ტურფა და ლამაზი იყო. აი მივიდა სარკესთან და ჰკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლევ, ჩემო სარკეო,
მომახსენე სიმართლეო:
ქვეყანაზედ ჩემებრ ტურფა,
ნუ თუ სხვაც არის სადმეო?

სარკემ უპასუხა:

ოჰ, ტურფა ხარ, დედოფალო,
ცის მნათობო, ქვეყნის თვალო...
მაგრამ პიტაკთ სტუმარი გჯობს,
და შენს მშვენებას ის აკრთობსო.

დედოფალი საშინლად განრისხდა, რადგან იცოდა, რომ სარკე ყოველთვის სიმართლეს ამბობდა.

მიხვდა, რომ მონადირემ მოატყუა და გულწარმტაცი ისევ ცოცხალია. სულ იმაზედ ფიქრობდა, თუ რა მოეხერხებინა, როგორ დაეღუპა თავისი გერი. ვერა და ვერ მოენელებინა ის აზრი, რომ დედა-მიწაზედ იმაზედ ლამაზი სხვა ვინმე ყოფილიყოს! რატომ მე არ ვარ პირველი? რად უნდა მყავდეს მეტოქეო?

ბოლოს შემდეგი ხერხი იხმარა: პირი შეიღება, უბრალო დედაკაცის ტანისამოსი გარდაიცვა—ისე მოირთო, რომ იმისი ცნობა არავის შეეძლო. შვიდი მთა გადაიარა, მიადგა პითაკების სახლს, კარი დაარაკუნა და დაიძახა:

— კარგი საქონელი! ვის გინდათ კარგი საქონელი?

გულწარმტაცმა გამოყო ფანჯარაში თავი და გადმოსძახა:

— გამარჯობა შენი! რა გაქვს გასაყიდი?

— რაც შენს სულსა და გულსა ნებავდეს,—ფარჩეული, საწვრილმანო..

— პატიოსან დედაკაცს ჰგავს, ამის შემოშვება შეიძლება,—გაიფიქრა გულწარმტაცმა, კარი გაუღო, შემოუშვა და ცოტა რამ ივაჭრა.

— მოიტა, შვილო, ზონარს მე თვით შემოგარტყამ, უთხრა ბებერმა.

საცოდავ გულწარმტაცს აზრადაც არ მოსვლია, ეს ბა-
რამე ეშმაკობა იმალებოდა; დედაკაცმა საშინელ ბინ-
შემოარტყა ყელზედ ზონარი, და ისე მაგრად მოუჭირა რომ
საცოდავი ქალი სულს ვერ იბრუნებდა... აგერ უგრძნობ-
ლად დაეცა მკვდარივით იატაკზედ!

— ეგეც თქვენი მზის უნახავი და ყველაზედ ულამაზესი!
წარმოსთქვა ბებერმა დაცინვით და შინისკენ გასწია!

დიდ ხანს არ გაუვლია, დაბრუნდნენ პითაკები, იმათი
საყვარელი დობილი უგრძნობლად იატაკზედ ეგდო, რო-
გორც მკვდარი. კაცუნებს ძალიანი შეეშინდათ. ასწიეს თუ
არა, დაინახეს, რომ ვილაცას აბრეშუმის ზონარი მოუჭერია
კისერზედ; ზონარი იმწამსვე გაუჭრეს, გულწარმტაცმა სუნ-
თქვა დაიწყო და ნელ-ნელა გონზედ მოვიდა.

როცა უამბო ყველაფერი, პითაკებმა სთქვეს:

— ბებერი დედაკაცი-ის უსვინდისო დედოფალი იყო.
შემდეგისათვის მაინც ფრთხილად იყავ და უჩვენოდ სახლ-
ში არავინ შემოუშვა.

ამ დროს ბოროტი დედოფალიც დაბრუნდა სახლში, მი-
ვიდა სარკესთან და ჰკითხა:

— სიცოცხლევ, ჩემო სარკეო,
მომახსენე სიმართლეო:
ქვეყანაზედ ჩემებრ ტურფა,
ნუ თუ სხვაც არის სადმეო?

სარკემ უპასუხა:

— ოჰ, ტურფა ხარ, დედოფალო
ცის მნათობო, ქვეყნის თვალო,
მაგრამ 'ითაკთ სტუმარი გჯობს,
და შენს შვენებას ის აკრთობს

რა მოესმა დედოფალს ეს სიტყვები, სისხლი თავში აუ-
ვარდა,—ნუ თუ ჯერაც არ გამწყდარა იმის ხსენება და ნუ
თუ კიდევ გამისხლტა ხელიდგანაო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი! დამაცადოს! მაშ ქალი არ ვიყო, ეროვნული ბიბლიოთეკა
გადამრჩე!

და ჯადოს შემწეობით მოწამლული სავარცხელი გააკეთა. შემდეგ ძველი კაბა ჩაიცვა და სულ სხვა ბებრის სახე მიიღო. შვიდი მთა გადაიარა, პითაკების ბინას მიადგა, კარი დაარაკუნა და შესძახა:

— ხომ არა გინდათ რა? კარგი საქონელი მაქვს! კარგი, ძალიან კარგი!

გულწარმტაცმა გაიხედა ფანჯარიდგან და უთხრა:

— წადი, შენი გზა ნახე! მე არავის შემოშვება არ შემიძლია.

— საქონლის ნახვა ხომ შეგიძლია? უთხრა ბებერმა, ამოიღო მოწამლული სავარცხელი და აჩვენა. ეს სავარცხელი ქალს ისე მოეწონა, რომ დედაკაცი სახლში შეიყვანა.

— აბა თავი დაღუნე შვილო, უთხრა ბებერმა, ახალი სავარცხლით თავს დაგვარცხნიო. საწყალი გულწარმტაცი არავითარ ღალატს და სიბოროტეს არ ელოდა და თავი დაღუნა; მაგრამ მოწამლული სავარცხელი როგორც მიეკარა იმის თმებს, საწამლავმა მეყვსეულად იმოქმედა და ქალი უგრძნობლად იატაკზედ დაეცა.

— აბა, კალმით დახატელო მშვენიერებავ! სთქვა დედაბერმა. ეხლა-კი მოგიღე ბოლო! და შინისაკენ გასწია.

საბედნიეროდ საღამო მოწეული იყო და პითაკებიც მალე დაბრუნდნენ.

გულწარმტაცი უგრძნობლად ეგდო იატაკზედ, ეტვი დედინაცვალზედ მიიტანეს. ახედ-დახედეს და შეამჩნიეს მოწამლული სავარცხელი. როგორც ამოაძრეს თმებიდან, ქალი გონს მოვიდა და ყოველიფერი უამბო. პითაკებმა კიდევ გააფრთხილეს და სთხოვეს სახლში არავინ შემოუშვაო.

დედოფალი როგორც მივიდა სახლში, სარკეს წინ გაჩერდა და ჰკითხა:

— სიცოცხლევ, ჩემო სარკეო,
მომახსენე სიმართლეო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანაზედ ჩემებრ ტურფა
ნუ თუ სხვაც არის სადმეო?

სარკემ უპასუხა:

ოჰ, ტურფა ხარ, დედოფალო,
ცის მნათობო, ქვეყნის თვალო,
მაგრამ პითაკთ სტუმარი გჯობს,
და შენ შვენებას ის აკრთობსო.

მოესმა თუ არა დედოფალს ეს სიტყვები, სისხლი თავში აუვარდა და მეტის-მეტი აღელვებისაგან თრთოლა დაიწყო:

— გულწარმტაცი უნდა მოკვდეს,—წამოიძახა მან. უნდა მოკვდეს, თუნდა სიცოცხლედაც დამიჯდეს იმის სიკვდილი! განიმეორა ბოროტებით სავსე დედოფალმა. შემდეგ შევიდა ერთ საიდუმლო ოთახში, სადაც თავის დღეში არავინ შესულა და იქ მოამზადა მოწამლული ვაშლი. შესახედავ, თურაშეული ვაშლივით მშვენიერი იყო, ვისაც არ უნდა ენახა, ნდომის ნერწყვს მოჰგვრიდა, მაგრამ ერთი მოკმეჩაც საკმარი იყო, რომ კაცი იმავ წამს მოეკლა.

მოამზადა თუ არა ვაშლი, დედოფალმა პირი ისევ სხვა და სხვა წამლით გაითხუპნა, ძველი გლეხის დედაკაცის ტანისამოსი ჩაიცვა, მთები გადაიარა, კაცუნების ბინას მიადგა და კარი დაურაკუნა; გულწარმტაცმა ფანჯარიდგან თავი გადმოყო და უთხრა:

— მე არავის შემოშვება არ შემიძლია, პითაკებმა აღმიკრძალეს.

— ეგ სულ ერთია, უპასუხა დედაკაცმა.

ჩემი ვაშლები ისეთი კარგებია, არავის ხვეწნა არ დამჭირდება, მალე გავასაღებ! აი თუ გინდა, ნახე! ჯერ გემოდ ნახე და მერმე მელაპარაკე.

— არა, უთხრა გულწარმტაცმა მე აღკრძალული მაქვს და ვერავის რას გამოვართმევ.

— რისა გეშინია, შვილო? საწამლავი ხომ არ არის? ჰკითხა დედაბერმა. ვაშლია, გენაცვალე, უბრალო ვაშლი! აი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეაზედ გავეკრი, წითელი ნახევარი შენ მიირთვი, ეს ერთ-მე-ორე გიახლები... ვაშლი ისე იყო მომზადებული, რომ მარტო წითელი ნახევარი იყო მოწამლული. ვაშლის სილამაზემ შეაცდინა გულწარმტაცი: რაკი დაინახა, რომ დედაკაცი თავის ნახევარს მადიანად სჭამდა, იმანაც ვერ მოითმინა, თავის ნაწილს მიჰყო ხელი და ჭამა დაუწყო. ის იყო მოკმიჩა და მკვდარივით უსულოდ კი დაეცა. დედოფალმა გესლიანად შეხედა, ერთი გულიანად გადიხარხარა და სთქვა:

შენ წითელი გვერდი შეჭამე, მე კიდევ თეთრს შევჭამ...

—ესეც შენ, თოვლივით თეთრო, სისხლივით ლოყაწითელო და შავი ხესავით შავ-თვალ წარბავ! ეხლა-კი შენი კაცუნები ვერას გიშველიან და ვერც გაგაღვიძებენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაბრუნდა სახლში და სარკეს ჰკითხა:

— სიცოცხლევ, ჩემო სარკეო,
მომახსენე სიმართლეო:
ქვეყანაზედ ჩემებრ ტურფა
ნუ თუ სხვაც არის სადმეო?

სარკემ უპასუხა:

შენებრ ტურფა დედოფალო,
ცის მნათობო, ქვეყნის თვალო,
არავინ არის, მერწმუნეო
და გული დაიმშვიდეო!

ეხლა-კი დამშვიდდა და დაწყნარდა დედოფლის ბოროტებით სავსე გული.

როცა პითაკები საღამოს სახლში დაბრუნდნენ, თავიანთ საყვარელი დობილი ნახეს უსულოდ მიწაზე მდებარე. საცოდავს ძარღვიც აღარ უცემდა.

ხელში აიყვანეს, დაუწყეს ჩხრეკა, კიდევ რამე საწამლავი არ ჰქონდესო, თმა დაუვარცხნეს, წყალ-ღვინოთი დაბანეს, მაგრამ სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა, შემოუსხდნენ გარეშემო და სამი დღე და ღამე ჭირისუფლებივით დასტიროდნენ. შემდეგ დასაფლავება დააპირეს, მაგრამ გულწარმტაცი ისე ესვენა, თითქო ცოცხალიაო და სწორედ ვარდის ფერი ლოყები ჰქონდა.

— ამის დამარხვა ჩვენ არ შეგვიძლია, სთქვეს პითაკებმა, მინის კუბო გააკეთეს, საიდანაც ყოვლის მხრით სჩანდა, ქალი შიგ ჩაასვენეს და ზედ ოქროს ასოებით დააწერეს: აქ განისვენებს მეფის ქალი გულწარმტაცი,— კუბო ერთს ადგილას დადგეს და თითოეული მათგანი რიგ-რიგად სდარაჯობდა. მოფრინდნენ კუბოსთან ფრინველები და ცხარი ცრემლით დაიტირეს საბრალო ქალი. პირველად მოფრინდა ბუ, მერმე ყვავი და ბოლოს მტრედი.

დიდხანს იწვა გულწარმტაცი მინის კუბოში, მაგრამ მისი გვამი მაინც არ იხრწნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც-კი ნახავდა, ყველას ცოცხალი ეგონა, ეარეგანი თოვლივით თეთრი იყო, სისხლივით ლოყაწითელი და ხესავით, შავ თვალ-წარბა.

ერთხელ ერთი მეფის შვილი ტყეში მოგზაურობის დროს პითაკების სახლში დარჩა ღამე. დაინახა კუბო, რომელშიაც მშვენიერი ქალი იწვა. ოქროს ასოებით კუბოზედ წანაწერი წაიკითხა და პითაკებს მიმართა:

— დამითმეთ მე ეს კუბო და რასაცა მთხოვთ, მოგცემთ.

— მაგის დათმობა არ შეგვიძლია, მიუგეს კაცუნებმა.

— მაშ, კარგი! ისეთი პატივი მაინც მეცით, რომ მაჩუქეთ, რადგან უამისოდ მე ცხოვრება არ შემიძლია, მაჩუქეთ, რომ თაყვანი ვსცე და ჩემს საცოლოდ ვიგულისხმო.

უკანასკნელმა სიტყვებმა პითაკების სიბრალული გამოიწვია. და კუბო მეფის ვაჟს დაუთმეს. ვაჟმა თავის მხლებლებს უბრძანა—კუბო სასახლეში წაესვენებინათ.

მხლებელნი, რომელთაც კუბო მიჰქონდათ, წაბორძიკდნენ, კუბო შეინძრა და გულწარმტაცს ყელიდან მოწამლული ვაშლის ლუკმა გამოვარდა. ქალმა თვალი აახილა, კუბოს სახურავი ახადა, და წამოიწია.

— ღმერთო ჩემო! სადა ვარ?

— ჩემთან! მიუგო გახარებულმა ვაჟმა, რომელმაც ყოველისფერი უამბო, რაც-კი პითაკებისაგან იცოდა და დაუმატა:

— მიყვარხარ, ჩემო ღვთაებავ! წავიდეთ ჩემს სასახლეში, მაგა ჩემთან. შენ უნდა გახდე ჩემი დედოფალი!

გულწარმტაცი დაეთანხმა, სასახლეში მივიდნენ და ბრწყინვალე ქორწილი გადაიხადეს. ქორწილში გულწარმტაცის ბოროტი დედინაცვალიც იყო დაპატიჟებული.

დედინაცვალმა ჩაიცვა თავისი საუკეთესო კაბა და მივიდა თავის გრძნეულ სარკესთან:

სიცოცხლევ, ჩემო სარკეო,
მომახსენე სიმართლეო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანაზე ჩემებრ ტურფა
ნუ თუ სხვაც არის სადმეო?

სარკემ უპასუხა:

ოჰ, ტურფა ხარ, დედოფალო,
დღევანდლამდე ქვეყნის თვალო!
დღეს-კი ნორჩი პატარძალი
ბრწყინავს, როგორც ნატრის თვალი!

ბოროტებით სავსე დედოფალი ამ სიტყვების გაგონებაზედ ისე განრისხდა, რომ თავის გაჩენის დღესა სწყევლიდა.

ქორწილში არ უნდოდა წასვლა, მაგრამ სიბოროტე და სიამაყე მოსვენებას არ აძლევდა: უნდოდა ენახა ახალი დედოფალი, მეტოქე მისი სილამაზისა.

შევიდა თუ არა დარბაზში, იცნო გულწარმტაცი და ისეთმა შიშის ზარმა შეიპყრო, რომ ადგილიდან ველარ დაინძრა.

ამ დროს ერთი წყვილი, მეტის მეტი, გახურებული, რკინის ქოში მოიტანეს, დედინაცვალს ჩააცვეს და იმდენი აცეკვეს, სანამ მკვდარი არ დაეცა იატაკზედ.

ოქროს ფრთიანი ჩიტი

ერთი მეფე იყო, რომლის სასახლეს უკან მშვენიერი ბაღი ჰქონდა, ბაღში ვაშლის ხე იდგა, ოქროს ვაშლებს ისხამდა. როცა ვაშლები დამწიფდებოდა, დითვლიდნენ, მაგრამ თითო ვაშლი ყოველ ღამ აკლდებოდა. ეს რომ მეფეს მოახსენეს, ბრძანა—ყოველ ღამე უდარაჯეთო.

მეფეს სამი შვილი ჰყავდა; დაღამდა თუ არა გაჰგზავნა უფროსი ვაჟი სადარაჯოდ. მოაწია შუაღამემ, მეფის ვაჟმა ძილი ვერ სძლია, ჩასთვლიმა... მეორე დღეს ერთი ვაშლი კიდევ აკლდა.

მეორე ღამეს რიგი საშუალ შვილს მიადგა, მაგრამ იმასაც იგივე დაემართა: დაჰკრა თუ არა 12-მა საათმა, ჩაეძინა და დილას ერთი ვაშლით ნაკლები იყო ხეზედ. დადგა რიგი უმცროსი შვილისა და მოემზადა კიდეც წასასვლელად, თუმცა მეფეს ყველაზე ნაკლები იმედი ამისი ჰქონდა. მეფე დარწმუნებული იყო, რომ ის თავის ძმებზედ უარესად შეასრულებდა თავის მოვალეობას, მაგრამ მაინც გაისტუმრა.

ვაჟი ხის ძირას წამოწვა და დაიწყო დარაჯობა. ბევრი ეცადა ძილი, რომ ჩვენი დარაჯი დაეძლია, მაგრამ ვერა გააწყო რა. 12 საათი იქნებოდა, როდესაც ჰაერში რაღაც ხმაურობა გაისმა; მეფის ვაჟმა მთვარის სინათლეზე დაინახა ფრინველი, რომელსაც ოქროს ფრთები ესხა. ფრინველი ხეზე შემოჯდა და ის იყო ვაშლს ჭამა დაუწყო, ვაჟმა ისარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესროლა; ფრინველი თუმცა გაფრინდა, მაგრამ ისარი ტყეში მოხვდა და ერთი ბუმბული დააგდებინა.

ვაჟმა აიღო ბუმბული, მეფეს მიართვა და ყოველისფერი მოახსენა, რაც იმ ღამეს მოხდა.

მეფემ მთელი საბჭო შეკრიბა; გასინჯეს უცნაური ფრინველის ბუმბული და გადასწყვიტეს, ეს ერთი ბუმბული მთელ სამეფოდ ღირსო.

— თუ ეს ბუმბული ასეთი ძვირფასია, ბრძანა მეფემ, მაშ მთელი ფრინველი რად ღირება? მე მსურს მთელი ფრინველის პატრონი გავხდე.

პირველად წავიდა უფროსი ვაჟი; მეტად დაიმედებული იყო თავის ჭკუა-გამოცდილებით და ეგონა, ფრინველს მალე მოსძებნიდა.

დიდი ხნის სიარულის შემდეგ მიადგა ერთს ტყეს; დაინახა მელა, ნიშანში ამოიღო და უნდა ‘ოეკლა. მაგრამ მელამ უცბად შესძახა; — ოღონდ ნუ მესვრი და მე კარგ რჩევას მოგცემ. შენ ოქროს ფრთიანის ძებნის დროს ერთს სოფელში შეხვალ, სადაც ორი სასტუმროა ერთი მეორის პირდაპირ. ერთი კარგად მორთულია განათებული, და დიდად მხიარული. ხოლო მეორე ყველა ამაებს მოკლებულია, მაგრამ შენ მაინც გირჩევ უარესში დადგე.

— სულელმა ნადირმა რა რჩევა უნდა მომცეს, გაივლო გულში მეფის ვაჟმა და ესროლა ისარი. მაგრამ აუცდა, მელა კუდ-აბზეკით გაიქცა და ტყეში დაიმალა.

მეფის ვაჟი-კი გზას გაუდგა და საღამოს იმ სოფელში შევიდა, სადაც ორი სასტუმრო იდგა; ერთიდან ისმოდა სიმღეროა და ცეკვა, მეორეში-კი მოწყენილი სილარიბე ბრძანდებოდა.

— მართლა სულელი ვიქნებოდი, სთქვა ვაჟმა, რომ ამ მხიარულებით სავსე, სუფთა და განათებულ სასტუმროს ნაცვლად მეორეში დავმდგარიყავი.

ადგა და მხიარულ და მდიდარ სასტუმროში ჩამოხტა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო ქვეფი და სულ დაავიწყდა თავის მამა ფრთიანი სირი.

გავიდა ხანი, უფროსი ვაჟი არსაიდ ჩანდა და გზას მეორე ძმა გაუდგა ახლა.

იმასაც, როგორც უფროსს შემოეყარა მელა, რომელმაც სასარგებლო რჩევა მისცა; მაგრამ არც იმან მიაქცია ყურადღება. მივიდა ორ სასტუმროსთან, დაინახა თავისი უფროსი ძმა რომ ქეიფობდა, მოისმოდა სიმღერა, სიცილი და მხიარულების ხმა. ძმამ რომ დაუძახა, ვერ მოითმინა და უკეთეს სასტუმროში შევიდა. აქ ის სიამოვნების მორევმა ჩაითრია და ყოვლიფერი დავიწყებას მისცა.

გავიდა კიდევ ხანი, არც ერთი არ ბრუნდებოდა. მაშინ უმცროსმა მეფის ვაჟმა განიძრახა ბედის ცდა, მაგრამ მამა არ უშვებდა:

— ეეჰ, შენ-კი ტყუილად მიდიხარ!—უთხრა მამამ.—თუ შენმა ძმებმა ვერ იპოვეს, შენ მით უმეტეს ვერას გახდები. რამე რომ შეგემთხვეს, თავს ვერ დაახწევ. ჭკუა შენ არა გაქვს და მოხერხება!

მაგრამ შვილი ისე ჩააცივდა მამას, რომ უკანასკნელი იძულებული შეიქნა წასვლის ნება მიეცა.

ტყის პირას იჯდა ჩვენი ნაცნობი მელია: დაუწყო ვედრება მისთვის სიცოცხლე ეჩუქებინა და ნაცვლად სასარგებლო რჩევა მისცა. უმცროსი ვაჟი გულკეთილი იყო და უთხრა:

— დამშვიდდი, ჩემო მელიავ, მე შენ არას გერჩი.

— სანანურად არ დაგრჩება, იცოდე, მიუგო მელამ, მაგრამ თუგინდა, რომ დანიშნულ ადგილს დროზედ მიხვიდე, კუდზედ დამაჯექი და უცბად იქ ვაგაჩენ.

დააჯდა, თუ არა მეფის ვაჟი, მელა ისეთი სისწრაფით გაქანდა ქვებზედ და ბეგობზედ, კაცი თვალს ვერ ასწრებდა.

როცა სოფელში შევიდნენ, ვაჟი მელიას კუდიდან ჩამოვიდა, იმისი რჩევა მოიხსენა და მყუდრო სასტუმროში დაიდვა ბინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს მინდორზედ გავიდა; იქ დახვდა მელა, რომ-
მელმაც უთხრა:

— მე უნდა აგიხსნა როგორ და რანაირად ... ეხლა წახვალ და სულ პირდაპირ ივლი, სანამ სასახლემდის მიხვიდოდე, რომლის წინ დაგხვდება მრავალი დაწოლილი ჯარის კაცი. მაგრამ ფიქრი ნუ გაქვს: იმათ ეძინებათ! უშიშრად გაუარე და პირდაპირ სასახლეში შედი; ყველა ოთახები გაიარე. ბოლოს შეხვალ ერთ პატარა ოთახში, სადაც ხის უბრალო გალიაში ოქროს ფრთიანი ჩიტი ზის. იქვე გვერდით დაინახავ მშვენიერ ცარიელ ოქროს გალიას; მაგრამ გაფრთხილდი, ოქროს ჩიტი თავის უბოლო ხის გალიიდან არ გამოიყვანო! თუ ოქროს გალიაში შესვი, ცუდად მოგივა საქმე!..

შეჯდა თუ არა მეფის შვილი, მელიამ ელვის სისწრაფით გააქანა...

სთქვა ეს თუ არა, მელამ თავისი ჟუდი გაუშალა, ვაჟი შეისვა და ელვის სისწრაფით გააქანა.

როცა სასახლეს მიუახლოვდნენ, ვაჟმა ყოვლისფერი ისე ნახა, როგორც მელამ უთხრა. შევიდა ოთახში, სადაც უბრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო ხის გალიაში ოქროს ფრინველი ეკიდა, იქვე ახლოს
მშვენიერი ოქროს გალია. ამ ოთახში ელაგა სული—ოქროს
ვაშლი. მეფის ვაჟმა იფიქრა: სისულელე არ იქნება, რომ ასეთი
მშვენიერი ფრინველი ამგვარ უშნო, უბრალო გალიაში დავ-
ტოვო? გააღო გალიას კარები, ამოიყვანა ფრინველი და ოქ-
როს გალიაში გადასვა. ძლივს მოასწრო ამის გაკეთება, რომ
ფრინველმა ერთი საშინლად დაიწივლა. ჯარის-კაცებს გამოე-
ღვიძა, ოთახში შეცვივნდნენ და მეფის ვაჟს ციხეში ამოაყო-
ფინეს თავი.

მეორე დღეს მეფის ვაჟი სამსჯავროს წარუდგინეს. ის
ყოველისფერში გატყდა და მსაჯულთ სიკვდილით დასჯა გა-
დაუწყვიტეს. მაგრამ მეფემ უთხრა, გაპატიებ, თუ ოქროს
ცხენს მიშოვნი, რომელიც ქარზე უფრო სწრაფი არისო. გარ-
და იმისა რომ სასჯელს გაპატიებ, ოქროს ფრთიანსაც გაჩუ-
ქებო.

მეფის ვაჟი გზას დაადგა; ძალიან ნაღვლიანად იყო და
ხშირად ოხრავდა, რადგან არ იცოდა, თუ საიდან ეშოვნა
ოქროს ცხენი—ქარივით მალი.

ამ დროს თავისი მეგობარი მელია, დაინახა რომელიც გზის
პირას დასკუპებულიყო.

— აჰა! ხომ ხედავ, რა მოგივიდა?—უთხრა მელიამ.—
სულ შენი ბრალია, რადგან არ გამიგონე.—მაგრამ ნუ სწუ-
ხარ, მე შეგეწევი და გაშოვნინებ ოქროს ცხენს. წადი სულ
პირდაპირ იარე; მიხვალ ერთ სასახლესთან, რომლის თავ-
ლაში ის ოქროს ცხენი აბია. თავლის წინ მეჯინიბეები წვა-
ნან, მაგრამ იმათ ძალზედ ეძინებათ. შენ სულ თავისუფლად
შეგიძლია წამოიყვანო ოქროს ცხენი. მაგრამ ერთში გაგაფ-
რთხილებ: ცხენი ძველი უბრალო ხის და ტყავის უნაგირით
შეკაზმე და არას გზით არ წამოიღო ოქროს უნაგირი, რო-
მელიც იქვე ჰკიდია, თორემ დიდი უბედურება შეგემთხვევა!..

აქ მელამ გაუწია თავისი კუდი, ვაჟი შეაჯდა და მინ-
დორზედ და ქვიან ადგილზედ ქარივით მიქროდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველიფერი ისე ნახა, როგორც მელიამ უთხრა; ჯინიბოში შევიდა, სადაც ოქროს ცხენი ება, მაგრამ ცხენი უბრალო უნაგირით შეკაზმა მოინდომა, სთქვა:

— ცოდო არ არის, ამისთანა მშვენიერ ცხენს კარგი უნაგირი არ დაადგას კაცმა? მაგრამ დაადგა თუ არა ოქროს ცხენს უნაგირი, ცხენმა ძალზედ ჭიხვინი მორთო. მეჯინიბეთ გაიღვიძეს, შემოცვივდნენ თავლაში, სტაცეს ვაჟს ხელი და ციხეში ჩასვეს.

მეორე დღეს სიკვდილი გადუწყვიტეს, მაგრამ იქაური მეფე პატივებას დაჰპირდა და უთხრა:—ოქროს ცხენს მოგცემ, თუ რომ ოქროს კოშკიდან მეფის ქალს მომგვრიო.

ვაჟი გზას გაუდგა, თუმცა ძალიან ჯავრობდა, ხშირადაც ოხრავდა, რადგან არ იცოდა, როგორ შეესრულებინა მეფის ბრძანება. ამ დროს შემოეყარა თავისი ერთგული მელია.

— თავი უნდა დამენებებინა შენთვის შენი ურჩობის გამო-და ლირსიცა ხარ!—უთხრა მელიამ, მაგრამ რა გიყო, კიდევ მეცოდები და უნდა შეგეწიო: პირ და პირ ამ გზით წახვალ და მიადგები ოქროს სასახლეს; მიხვალ იქ საღამოს, როცა ყოველი მხრით სიჩუმე იქნება. ამ დროს მეფის ქალი საბანაოდ მიდის, როცა აუზში შევა, უცბად შეუვარდი წყალში და აკოცე; რაკი აკოცებ, ყველგან გამოგყვება და საცა გინდა, იქ წაიყვან. კიდევ გაფრთხილებ:—თუ არ გინდა ხიფათს შეჰხვდე, ქალს ნება არ მისცე მშობლებს გამოეთხოვოს. მელამ გაუშვირა თავისი კუდი. და ქარი-შხალივით გაქანდნენ.

მიუახლოვდნენ თუ არა ოქროს სასახლეს, ვაჟმა ყოველიფერი ისე ნახა, როგორც მელამ უთხრა. შუალამემდის დაიცადა. როცა მიწყნარდა იქაურობა, მშვენიერი ქალი აუზისაკენ გაემგზავრა. ვაჟი გაექანა მისკენ და უცბად აკოცა. ქალი დიდი კმაყოფილებით დასთანხმდა თან გაჰყოლოდა, მხოლოდ ევედრებოდა, ნება მომეცი მშობლებს გამოვეთხოვო. ვაჟი არ თანხმდებოდა, მაგრამ ქალის ცრემლით დი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლმოყრით თხოვნამ გული მოულბო და იძულებული შეიქნა ნება მიეცა.

მეფის ქალი მიუახლოვდა თუ არა თავის მამის საწოლს, —მეფე და მთელი სასახლის ამალა ფეხზედ დადგა, სტაცეს ვაჟს ხელი და ციხეში შეაგდეს.

მეორე დღეს მეფემ უთხრა:

— შენ თუმცა სიკვდილით დასჯა გაქვს გადაწყვეტილი, მაგრამ თუ რვა დღის განმავლობაში ამ მთას მოსთხრი და აქედან გადაიტან, რადგან ჩემს ფანჯარასთან აყუდებულია და სინათლეს არ უშვებს, სასჯელსაც გაპატიებ და ზედნადებად ჩემს ქალსაც მოგცემ ცოლად.

ვაჟი შეუდგა მუშაობას. შეუსვენებლად სთხრიდა და ჰყრიდა მიწას, მაგრამ, როცა შვიდი დღის ნამუშავარს თვალი გადაავლო, თითქოს არაფერი გაუკეთებიაო. ის იყო ყოველი იმედი დაჰკარგა, გული შეუწუხდა და ოხვრა დაიწყო. ამ დროს გამოჩნდა მისი გაჭირვებიდან მხსნელი, კუდაგძელა და უთხრა:

— კიდევ გიმეორებ—შენ ლირსი არა ხარ ჩემი ზრუნვისა! მაგრამ რა გიყო? წადი, დაიძინე, შენს მაგივრად მე გავუძღვები საქმეს.

მეორე დღეს, როცა გამოიღვიძა მეფის ვაჟმა, დაინახა, რომ მთელი ეს უზარმაზარი მთა გამქრალიყო, თითქო დედამიწამ გადაჰყლაპაო. ვაჟი სიხარულით მეფესთან გაიქცა და მოახსენა,—ნაბრძანები უკვე შევასრულეო. მეფე იძულებული შეიქნა თავისი სიტყვაც შეესრულებინა და მისცა თავისი ქალი.

მეფის ვაჟმა ქალი თან წაიყვანა, გზაზედ შემოეყარა თავის ერთგული მელა.

— ხომ ხედავ, რაც-კი უკეთესია ქვეყანაზედ, შენ იშოვნე. მაგრამ ოქროს სახლიდან წამოყვანილ მეფის ქალს, შეჰფერის ოქროს ცხენი.

— კი მაგრამ, როგორ მოვახერხო იმის შოვნა? ჰკითხა ვაჟმა.

— აი, ყური დამიგდე, —უთხრა მელიამ. პირველად შენ მეფის ქალს სასახლემდის მიაცილებ— მეფეს მიუყვანე [illegible] მელმაც შენ გამოგგზავნა; ქალის დანახვა ისე გაუხარდება,— რომ სიამოვნებით მოგცემს ოქროს ცხენს; მაშინვე შეჯექი, ყველას გამოეთხოვე, ხელი ჩამოართვი და სულ ბოლოს მიდი ქალთან, ხელი მაგრად მოჰკიდე, ცხენზედ მსწრაფლად შემოისვი და და გასწი! უკან არ მიიხედო! ვერავინ მოგეწევა, რადგან ოქროს ცხენი ქარზედ უსწრაფესია.

მელიის დარიგება ეხლაც ყოველიფერი ბეჯითად შეასრულა ვაჟმა და შორს, შორს გაიყვანა მეფის ქალი ოქროს ცხენით. ამ დროს შემოეყარა თავის კეთილი მელია და უთხრა:

— ეხლა-კი აგიხსნი, თუ როგორ უნდა მოახერხო ოქროს ფრთიანის ხელში ჩაგდება. სასახლეს მიუახლოვდები თუ არა, სადაც ოქროს ფრინველია, ქალი ცხენიდან ჩამოსვი და ჩემს მფარველობის ქვეშ დასტოვე. მერე გაქანდი ოქროს ცხენით, სასახლის ეზოში შედი. ოქროს ცხენის დანახვა ყველას ისე სასიხარულოდ დაურჩება, იმავე წამს ოქროს ფრინველს გამოგიყვანენ და გაჩუქებენ. როგორც აიღებ ხელში გალიას, აღარ შეჩერდე, ჩემსკენ გამოქანდი, მეფის ქალი შემოისვი და შენს გზას გაუდექი.

— ესეც კარგად შეასრულა ვაჟმა და შინისკენ უნდა წასულიყო, მაგრამ მელიამ უთხრა:

ეხლა მეც დამასაჩუქრეო, ამდენ დახმარების და რჩევისათვის.

— რა შემიძლია?.. ოლონდ მითხარი და მზადა ვარ! მიუგო ვაჟმა.

— როცა ტყეში შევალთ, მომკალი, თავი და ფეხები მომჭერი, მეტი არა მინდა-რა.

— კარგი მადლობის გადახდაა! გაიკვირვა ვაჟმა. არა, მე ეგ არ შემიძლია!

— მაშ კარგი, რაკი შენ ამ თხოვნის შესრულება არ შეგიძლია, მე თავს დაგანებებ, მაგრამ ერთ სასარგებლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩევას კიდევ მოგცემ:—ერიდე სახრჩობელიდგან ვისიმე გათავისუფლებას და ჭის პირას ჯდომას.

სთქვა მელიამ, ტყეში შევიდა და მიიმალა.

მეფის ვაჟმა თავის გულში გაივლო:

— ეს რა სულელური რჩევა მომცა ჩემმა კუდაგძელამ ვინ სულელი იქნება, რომ სასიკვდილოდ განწირული დამნაშავე გაათავისუფლოს, ან ჭის პირას დაჯდეს?

შეისვა მეფის ქალი ოქროს ცხენზედ და წაიყვანა...

სთქვა ეს და თავის გზას გაუდგა. მივიდა იმ სოფელში, სადაც მისი ძმები დარჩნენ. შევიდა თუ არა სოფელში, მოესმა საშინელი ყვირილი, ერთი ალიაქოთი და აურ-ზაური იდგა. იკითხა—ეს რა ხმაურობაა? უპასუხეს—დღეს ორი კაცი უნდა ჩამოახჩონო. მიუახლოვდა იმ ადგილს, საითაც ხმაურობა იყო, და დაინახა, — სიკვდილით დასჯილნი თავისი ძმები, რომელნიც, თურმე ცუდად იქცეოდნენ, თავიანთი მამული ყოველიფერი გაეფლანგათ, ვალები დასდებოდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ახლა ჯალათებს სახრჩობელასკენ მიჰყავდათ. მეფის ვაჟმა იკითხა: — შეიძლება, თუ არა როგორმე მათი გამოსვიდეს ფლებაო?

— შეიძლება, თუ იმათ ვალებს თქვენ გადაიხდით. მაგრამ რად იწუხებთ თავს? განა ამათთანა საზიზღარის დახსნა ცოდვა არ არის?

მეფის ვაჟი ერთს წამსაც არ დაფიქრებულა, ისე გადაიხადა იმათი ვალები და გაათავისუფლა ძმები. სამივემ ერთად გასწიეს შინისკენ. აგერ მიადგნენ იმ ტყის პირს, სადაც პირველად შეხვდათ მელია. საშინელი სიცხე იდგა, ტყეში-კი სიგრილე იყო. მაშინ ძმებმა სთქვეს:

— მოდი ამ ტყეში, ჭის პირას ცოტა შევისვენოთ და ვისაუზმოთო.

უმცროსი ძმაც დაეთანხმა. ლაპარაკში გართულს აზრადაც არ მოსვლია რამე ცუდი. მელიის რჩევა სულ გადააავიწყდა და ჭის პირას დაჯდა.

ამ დროს ძმებმა ხელი ჭკრეს და ჭაში ჩაუძახეს. მოიტაცეს მეფის ქალი, ცხენი, ოქროს ფრინველი და გზას გაუდგნენ.

— ჩვენ არა მარტო ოქროს ფრინველი მოგიყვანეთ, მამავ, უთხრეს შვილებმა, არამედ ოქროს ცხენი და ეს მშვენიერი მეფის ქალი, ოქროს სასახლიდან გამოყვანილი.

გაიმართა საერთო მხიარულება, მხოლოდ ოქროს ცხენი არაფერს არ სჭამდა, ოქროს ფრინველი არა გალობდა, მეფის ქალი-კი ცხარე ცრემლით ტიროდა.

მაგრამ არც უმცროსი ძმა დაღუპულა. მისდა საბედნიეროდ ჭა ამომშრალი აღმოჩნდა და ხავს მოკიდებული; რბილზედ დაეცა უვნებლად, თუმცა იქიდან ამოსვლა არას გზით არ შეეძლო.

არც ამ გაჭირვებაში დასტოვა მისმა ერთგულმა მელამ: ჩახტა ჭაში, ერთი კარგად გამოლანძღა, რომ მისი რჩევა ვერ შეასრულა, და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაინც თავს არ დაგანებებ და ამოგიყვანო-კი დევ დაინახო ქვეყნის სინათლე.

უბრძანა—კუდზედ ხელი ჩამავლეო, და უცბად-კი ამოიყვანა ჭიდან.

— მიუხედავად ამისა შენ კიდევ დიდი საფრთხე მოგელის,—უთხრა მელიამ. შენმა ძმებმა ტყის გარეშემო დარაჯები დააყენეს, რომელთაც ნაბრძანები აქვთ, თუ-კი ცოცხალი გამოჩნდი, მაშინვე მოგკლან.

გზაზედ ერთი მათხოვარი იჯდა, რომელსაც მეფის ვაჟმა ტანისამოსი გაუცვალა და ამ რიგად თავი დაახწია დარაჯებს.

როცა თავის მამის სასახლეში მივიდა, ვერავინ ვერ იცნო, მხოლოდ ფრინველმა გალობა მორთო, ცხენმა ჭამა დაიწყო, მეფის ქალს-კი ტირილის ნაცვლად სიმხიარულე დაეტყო. მეფეს ძალიან გაუკვირდა და ჰკითხა:

— ეს რას ნიშნავს?

მაშინ მეფის ქალმა მოახსენა:

— რა მოგახსენოთ, აქამდე მოწყენილი გახლდით, ახლა-კი ისეთ კარგ გუნებაზედ ვარ, თითქო ჩემი ნამდვილი საქმრო დაბრუნებულიყოსო!

აქ ქალმა ყოველისფერი დაწვრილებით უამბო, თუმცა უფროსი ძმები სიკვდილს ემუქრებოდნენ, თუ მათ საიდუმლოებას გაამხელდა. მეფემ მთელ თავის ამალას დაუძახა. სხვებთან ერთად შემოვიდა მათხოვრად გადაცმული უმცროსი შვილი, მთლად დაფლეთილ-დახეულ ტანისამოსით, მაგრამ ქალმა იმ წამსვე იცნო, მივარდა და კისერზე მოეხვია. ბოროტ ძმებს სტაცეს ხელი და იქვე დაახრჩეს; უმცროს ვაჟს-კი მშვენიერ მეფის ქალზედ ჯვარი დასწერეს და ტახტის მემკვიდრედ გახადეს.

მელას რაღა მოუვიდა?

კარგმა ხანმა გაიარა; მეფის ვაჟს ერთხელ ტყეში შესვლა მოუხდა, სადაც ნახა თავისი მეგობარი მელია, რომელმაც უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეხლა შენ ყოველივე გაქვს, რაც საჭიროა ადამიანის ბედნიერებისათვის, ჩემს მწუხარებას და უბედურებას ბოლო არ მოელო, ჩანს დასასრული არ ექნება; მარტო შენ, შენ შეგიძლია გამათავისუფლო ამ ტანჯვისაგან.

და დაუწყო ვედრება მეფის ვაჟს-მომკალ და თავ-ფეხი მომაჭერო. ვაჟი ბოლოს დასთანხმდა და მოიყვანა თუ არა სისრულეში მელიის წადილი, ეს უკანასკნელი უცბად ადამიანად იქცა, რომელიც ჩვენი მზის უნახავი მეფის ქალის ძმა გამოდგა—ჯადო-ქარისგან მელად ქცეული.

ამის შემდეგ ისინი ერთად ცხოვრებდნენ და სრულ ბედნიერებით სტკბებოდნენ.

ძაღლი და ბელურა

ძაღლს მეტად ძუნწი პატრონი ჰყავდა, რომელიც საცოდავ მურას სიმშილით ჰკლავდა. ველარ გაუძლო მურამ, თავი დაანება თავის მტანჯველ პატრონს, და გაიქცა—იქნება სიმშილით არც სხვაგან მოვკვდეო! გზაზედ ბელურა შემოეყარა და ჰკითხა:

— რადა ხარ ასე მოწყენილი?

— მშია და საჭმელი-კი არაფერი მაქვს,—მიუგო ძაღლმა.

— ეჰ, ჩემო მურავ! მაგაზედ როგორ მოვიწყენ? ქალაქში წავიდეთ და ისე გაგაძღობ... შევიდნენ ქალაქში. როცა საყასბოს მიუახლოვდნენ, ბელურამ უთხრა:

— შენ აქ მომიცადე, მე შევალ და ერთ ნაჭერ ხორცს მოვიტაცებ.

ბელურა დუქანში შეფრინდა, გაიხედ-გამოიხედა, ხომ არავინ მიყურებსო, ერთ ნაჭერ ხორცს, რომელიც ნაპირას იდვა, ჩააფრინდა და იმდენი სწია, სანამ ძირს არ ჩამოაგდო, სტაცა ძაღლმა პირი, გარედ გააცუხცუხა და შეჭამა.

— ახლა მეორე დუქანში წავიდეთ, იქაც გიშოვნი რასმე.

მეორე ნაჭერი ხორცი რომ შეჭამა ძაღლმა, ბელურამ ჰკითხა:

— აბა, ჩემო საყვარელო მურავ, ეხლა ხომ გაძღე?

— ხორცი მეტი არ მინდა, მაგრამ პურს-კი შევჭამდი, რომ იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალიან კარგი!—მიუგო ბელურამ. წავიდეთ, ბატონო გიშოვნი.

ძაღლი ხაბაზთან მიიყვანა და წყვილი პური მოჰპარა. რაკი ამით ვერ გააძღო მურა ძაღლი, შეორე ხაბაზთან მიიყვანა და იქაც ეგრეევე მოიქცა. შეჭამა ძაღლმა პური და ბელურამ ჰკითხა:

— რას იტყვი, მეგობარო? გამძღარი ხარ, თუ არა?

— სწორედ რომ გამძღარი ვარ,—მიუგო მურამ.—წავიდეთ, ქალაქი დავათვალიეროთ.

წავიდნენ, ცოტა ხანი იარეს, მაგრამ, რადგან ძლიერ სიცხე იყო, ძაღლმა მოსვენება მოინდომა:

— ძალიან დავიღალე და სიამოვნებით მივწვებოდი სადმე.

— მერე რა გაბრკოლებს?—მიუგო ბელურამ.—დაწე და დაიძინე. მე აქვე ტოტზედ ჩამოვჯდები.

ძაღლი ზედ შუა გზაზედ გაიშხლართა და დაიძინა. ამ დროს გამოჩნდა ურემი, რომელსაც ყევარი ხარი ება და ორი რუმბი ღვინო ედო. მეურმეს პირ და პირ მძინარე ძაღლისკენ მიჰქონდა ურემი, გადაუვლის სრულებითაც არ ფიქრობდა. ბელურამ შეჰყვირა:

— ეი, შენ! რას სჩადიხარ? ვერა ხედავ, მანდ ძაღლს სძინავს? იქით გადუხვიე, არა ავნო-რა, თორემ ინანებ!

მეურმეს სასაცილოდ არ ეყო ბელურას სიტყვა: იქნება შენ მანანო. ვნახოთ! ბრძანა მეურმემ, ხარებს შოლტი გაუტყლაშუნა, ძაღლს ზედ გადაუარა და გასრისა.

— მაშ აგრე! შეუტია ბელურამ. შენ გასრისე ჩემი მეგობარი მურა! მაშ ნახავ, თუ არ განანო!

— რაებს მიჰქარავ!—სთქვა მეურმემ.—რა უნდა მიყო, არ მეტყვი! და თავის გზას გაუდგა. ბელურა რუმბს მიაჯდა და ნისკარტით იმდენი კორტნა, იმდენი, მანამ გახვრიტა. მთელი რუმბი ღვინო დაიღვარა. მეურმემ მაშინ დაინახა თავისი უბედურება, როცა უკანასკნელი წვეთები-ღა სდიოდა რუმბს.

— ვაი გამიწყრა ღმერთი!—წამოიყვირა მეურმემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჯერ სადა ხარ?! — შესძახა ბელურამ. — დამაცადეს ნეკერი დევ ცოტაა!

სთქვა, ერთ ხარს თავზედ დააფრინდა და თვალი ამოსთხარა. ბრაზ მორეულმა მეურმემ წამოავლო ცულს ხელი, მოუქნია ხარის თავზედ მჯდომ ბელურას, მაგრამ ჩიტი აფრინდა და ხარს შიგ შუბლში ჩაჰკრა. ხარმა იქვე სული დალია.

— ღმერთო ჩემო, ეს რა უბედურება მომივიდა! წამოიყვირა კვლავ მეურმემ.

— ეს კიდევ ცოტაა — შესძახა ბელურამ და ახლა მეორე ხარი მოაკვლევინა. მეურმე ერთი ულლით-ღა გაუდგა გზას. ბელურა-კი ახლა მეორე რუმბს შეუჯდა, ისიც გახვრიტა და დაუცალა. მეურმემ თავში შემოირტყა:

— რა შეგცოდე, ღმერთო?..

— ესეც ცოტაა შენთვის! — შესძახა ჩიტმა.

დააფრინდა თავზედ ხარს და იმასაც თვალი ამოსჩიჩქნა. მოთმინებიდან გამოსულმა მეურმემ ცული მოუქნია, ბელურა გაფრინდა და პაწია ფრინველისთვის მომზადებული ცული საცოდავ პირუტყვს მოხვდა თავში და სული გაანთხევინა.

— ოჰ, რა უბედური ვარ! — კვნესოდა მეურმე.

— ჯერ სადა ხარ, მიუგო ბელურამ, ახლა მეოთხე ხარს დააფრინდა და იმასაც თვალი ამოუკორტნა. გააფთრდა მეურმე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოუქნია ცული, მაგრამ ბელურის ნაცვლად კიდევ საცოდავ ხარს დაჰკრა და იქვე გააგორა.

— ვაიმე, დაღუპულო ცოლ-შვილო!..

— ჯერ სადა ხარ, მიუგო ჩიტმა და გაფრინდა.

მეტი რა ჩარა ჰქონდა, ურემი აქვე დასტოვა და დაღონებულ დაძმარებული წავიდა შინისკენ.

— აჰ, რა უბედურება შემემთხვა, რომ იცოდე! უთხრა თავის ცოლს, ორი რუმბი ღვინო დამეღვარა და ხარები, ოთხივე დამეხოცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვუი, დამიდგა თვალი! შენ რაღა დაგემართა? — კვირვა ცოლმა. დაგვეხვია, საცა-კი ფრინველი იყო, ისე აკენკეს ჩვენი ძნა, მარცვალი არ შეგვარჩინეს.

მეურმე თავის კალოზედ გავიდა ჯ ურიცხვი ფრინველი ნახა, რომელნიც პურსა და ხორბალს აჩანაგებდნენ. ფრინველთა შორის თავისი ნაცნობი ბელურა ნახა და შეჰყვირა:

— ღმერთო, ნუ თუ კიდევ მწვევია უბედურება?

— ჯერ სადა ხარ! - უთხრა ბელურამ: ჩემი მეგობარი ღვთის გაჩენილი არ იყო, რომ ისე შეუბრალებლად მოჰკალი. ბელურა გაფრინდა.

დაჰკარგა მეურმემ ყოველისფერი ქონება, შევიდა ცარიელ სახლში და ბუხართან დაჯდა. ბელურა ფანჯარაზე შემოჯდა და დაიწყო ყვირილი:

— შენი საქციელი განანე თუ ვერა, მეურმევ?

აქ-კი მთლად გახელდა მეურმე. გიჟივით მივარდა ცულს და ბელურას ესროლა, მაგრამ მის ნაცვლად ფანჯარას მოხვდა და ერთიანად ჩალეწა. ბელურა, შიგ ოთახში შეფრინდა და ბუხარზე შემოჯდა. ეე, განანე, თუ არაო? მეურმეს აღარ გაეგებოდა, რას შვრებოდა. ცულით ბუხარი დაანგრია, მერმე მისდგა და ერთიანად დალეწა ჭურჭელი, ავეჯეულობა და ბოლოს თვით სახლის კედლები, მაგრამ ჩიტს-კი მაინც ვერა უყო რა..

ბედნიერი ივანე

მსახურა ივანე ბატონს შვიდი წელიწადი და ბოლოს მოახსენა:

— დღეს ყავლი გახლავთ ჩემი სამსახურისა, მინდა დედასთან გიახლოთ; მიბოძეთ, რაც მერგება და გამისტუმრეთ. — ბატონმა მიუგო:

— კარგი და პატიოსანი! შენ კარგად და ერთგულად მემსახურე და შესაფერი ჯილდოც გერგება.

ამოიღო და მისცა გოგრის სიდიდე ოქრო. ივანემ ოქრო ხელსახოცში გაახვია, მხარზედ გადიდო და შინისკენ გასწია.

მიდის ივანე ნელი ნაბიჯით. წინ შემოეყარა მხედარი; მხიარულად იჯდა ცხენზედ და მიღიღინებდა.

— ახ, რა კარგია ცხენით სიარული, ხმა მაღლა წამოიძახა ივანემ. ზიხარ შენთვის, თითქო სავარძელში იჯდე: არც ქვას წაჰკრავ ფეხს, არც ფეხსაცმელი გაგიცვდება! თან შეუმჩნეველად და ჩქარაც მიდიხარ-და მიდიხარ!

მხედარმა გაიგონა, შეჩერდა და უთხრა:

— მერე ქვეითად რისთვის მიდიხარ?

— მეტი რა ჩარაა?—მიუგო ივანემ;—ხედავ, რა ტვირთი მიმაქვს? შინ უნდა მივიტანო, რომ არ წავიდე, მაშ [illegible] ეს ოქროა, მისმა სიმძიმემ ლამის წელი მომწყვიტოს.

— იცი რა? უთხრა მხედარმა,--მოდი გავცვალოთ: მე მოგცემ ცხენს, შენ კიდევ შენი ოქრო მომეცი.

— ძალიან-ძალიან მოხარული ვიქნები,—მიუგო ივანემ.

— მაგრამ უნდა გაგაფრთხილო, დაუმატა ივანემ, ძალიან ნელი ნაბიჯით მოგიხდება სიარული ოქროს სიმძიმის გამო და, ეცადე, არ დაგიგვიანდეს!

მხედარი ცხენიდან ჩამოხტა, გამოართვა ოქრო, ივანე ცხენზე შესვა, ხელში აღვირი მისცა და უთხრა:

— როცა სწრაფი სიარული მოისურვო, შეუტიე,—აჩუ! აჩუ-თქო! ⁄ ქარივით წავა. ივანე სიხარულით ცას დაეწია; ცხენ-

ცხენი გაქანდა და თვალის დახამხამებაზე
ივანე თხრილში გადააგდო...

ზე იჯდა და სრულიად უშრომლად მიდიოდა. გაიარა რამოდენიმე ხანი, ჩქარი სიარული მოუნდა, და შეუტია თავის რაშს:

— აჩუ! აჩუ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენი ისეთი სისწრაფით გაქანდა, რომ სანამ ივანე გონს მოვიდოდა, უკვე თხრილში გორავდა, რომელიც ბილიკზე რას იყო გაყვანილი. ცხენი შორს გაიქცევოდა, რომ წინ გლეხი არ შეჰხვედროდა, რომელსაც ძროხა მოჰყავდა.

ივანე წამოდგა, გასწორდა, მაგრამ ძალიან ცუდ გუნებაზედ-კი იყო, ეტყობოდა.

— რა საშიში ყოფილა ცხენით სიარული! მით უმეტეს, თუ ამგვარი გიჟი ცხენი შეგხვდა, რომელიც პირდაპირ თხრილში ჩაგაგდებს. ამის შემდეგ ჩემს დღეში ცხენზედ აღარ შევჯდები! როგორ არ ვაქო შენი ძროხა: მიდიხარ შენთვის გულდამშვიდებით და ნელ-ნელა მიერეკები; გარდა ამისა ყოველ დღე მზა-მზარეულადა გაქვს რძე, ერბო, ყველი. რას არ მივცემდი, რომ ერთი კარგი ძროხა მეცა მყოლოდა!

გლეხკაცი მოახტა ცხენს და გაჰქუსლა შინისკენ...

— მაშ კარგი, — მიუგო გლეხმა, — თუ-კი აგრე ძლიერ გინდა, მე შემიძლია ცხენში ძროხა მოგცე!

ივანე დიდი სიამოვნებით დასთანხმდა, გლეხი უცბად ცხენს შემოაჯდა და შინისკენ გააჭენა.

ივანემ-კი თავისი ძროხა წინ გაიგდო და სულ[illegible] ქრობდა,—ძალიან მოვიგე, რომ ცხენის ნაცვლად ძროხა ვი-შოვნეო.

— თუ ერთი ლუკმა პური არ გამომელია,—და მგონია, ჩემს დღეში არ გამიჭიროს ღმერთმა საქმე,—ყოველთვის შე-მიძლია კარაქი შევატანო, ან მაწონი, ან ყველი; მომწყურ-დება და, მოვწველი ჩემს ძროხას და რძეს დავლევ. მეტი რა უნდა მინდოდეს?

ცოტა ხანს შემდეგ მიადგა ერთს სასტუმროს, სადაც შესასვენებლად გაჩერდა; რაც-კი ჰქონდა, მადიანად შეექცა: უკანასკნელი შაურისა ერთი ჭიქა ლუდი მოითხოვა, გადაჰ-კრა და შემდეგ სოფლისკენ გასწია, სადაც დედა მისი ცხო-ვრებდა.

შუადღისას, როცა მზემ მეტად დააჭირა ქვეყანას, ივა-ნესაც დასცხა, წყურვილი აუვარდა ხახა გაუშრა და არ იცო-და, რა ექნა?

— სწორედ კაი დროა, ჩემს ძროხას მოვწველი და რძით ყელს ჩავისველებ, გაივლო გულში ივანემ.

ძროხა ხეზედ მიაბა, თავისი ტყავის ქუდი ძროხის ჯი-ქანს დაუპირდაპირა, რადგან სხვა ჭურჭელი არა ჰქონდა, და წველა დაუწყო.

მიუხედავად ყოველივე მეცადინეობისა, ერთი წვეთი რძეც ვერ გამოსწველა ჩვენმა ბრძენმა,—რადგან ამ საქმეში ის ერთობ გამოუცდელი იყო და საზოგადოდ მოუხეშავი; ძროხა მეტად შეაწუხა და იმანაც ისეთი წიხლი სდრუზა, რომ საცოდავი ივანე ღრიალით პირქვე წაიქცა და რამოდე-ნიმე ხანი უგონოდ ეგდო. ამ დროს მისდა საბედნიეროდ გა-მოიარა ყასაბმა, რომელსაც საკლავად ღორი მიჰყავდა.

— რა მოგივიდა, ძმობილო? ჰკითხა ივანეს, უშველა და ფეხზედ წამოაყენა.

ივანემ ყოველიფერი უამბო. ყასაბმა ერთი ბოთლი ღვი-ნო შესთავაზა და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგად დალიე და გონზედ მოხვალ. ეს ძროხა შენ რძეს ვერ მოგცემს, ერთობ ბებერია და მარტო ბალიოლა გამოდგება.

ივანე პირქვე დაეცა და რამოდენიმე ხანი გონზედ ველარ მოვიდა...

— აი, აი, აი!—ერთი შეხედეთ, თქვენი ჭირიმე! სთქვა ივანემ და თავში შემოირტყა. ამას როგორ წარმოვიდგენდი! მაგრამ არა უშავს-რა! ხორცი მაინც ბლომად ექნება. მართალია, ძროხის ხორცი არ მიყვარს, მაგრამ რა გაეწყობა?! რა სჯობს ლორის ხორცს! გემრიელიც არის და ძეხვადაც ხომ უკეთესი არა იქნება-რა!

— იცი რა გითხრა, ძმობილო? უთხრა ყასაბმა, შენი დიდი პატივისცემა მაქვს და ამიტომ გაგიცვლი, თუ გინდა: შენს ძროხას მე წავიყვან და ნაცვლად ლორს მოგცემ.

— ღმერთმან სამაგიერო გადაგიხადოს ამგვარ სიკეთისათვის!—უთხრა ივანემ და მისცა ყასაბს თავისი ძროხა, თვითონ-კი ურმიდან ლორი გადმოიყვანა და გზას გაუდგა. მიდის ჩვენი ივანე და გზა-გზა სულ იმასა ფიქრობს, თუ როგორ ადვილად ახწევს თავს ამოდენა დაბრკოლებას და უბედურებას. ცოტა ხანს შემდეგ ერთ ბიჭს დაეწია, რომელსაც იღლიაში კარგი თეთრი ბატი ამოეჩარა. დაიწყეს მუსაიფი, ივანემ უამბო თავის თავ-გადასავალი: ასე მოგებით ვცვლიდი ყოველიფერს ყოველთვის. ჭაბუკმა-კი თავის ბატს დაუწყო ქება:

— ერთი ნახე, ნახე! ერთი ასწიე, რა მძიმეა! რვა ფუთი ვასუქებდით. ისეთი მსუქანია, რომ ვისაც მისი ჭამა უნდა, ბა, ყოველ წამს ტუჩებიდან ქონი უნდა იწმინდოს.

— სწორედ-რომ მართალია, სთქვა ივანემ და ბატს სინჯვა დაუწყო. მძიმეა, მართალია, მაგრამ არც ჩემი ღორია მჭლე.

ჭაბუკმა გაიხედ-გამოიხედა, მრავალ-აზროვნად თავი გააქნია და სთქვა:

— მსუქანი-კი მსუქანია შენი ღორი, მაგრამ სახიფათოა. იმ სოფელში, სადაც ჩვენ გავლა მოგვიხდება, წუხელ ერთი ღორი მოუპარავთ, და, მართალი უნდა გითხრა, ძალიან მეშინია, ვაი თუ სწორედ ის ღორი ჩაგაჩეჩა იმ კაცმა ხელში. სოფლიდან ბევრია წამოსული საძებრად და ხუმრობა კი არ არის, ღმერთმა დაგიფაროს, თუ შენს ხელში ნახეს!

ივანეც, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდა.

— ღმერთო ჩემო! — დაიღრიალა მან. მიშველე, თუ ღმერთი გწამს, და დამიხსენი ამ უბედურებიდგან! მომაცილე ეს ღორი და ბატი მომეცი.

— რა ვქნა, უნდა დაგთანხმდე; ხომ იცი, ძმა ძმისთვისაო...

სთქვა თუ არა, წაავლო ღორს ხელი და წაიყვანა; ივანემაც რა კი ხიფათს თავი დაახწია, ბატი ამოიღლიავა და შინისკენ გასწია.

— კარგად რომ გავსინჯოთ, აქაც მოგებული ვარ, თქვა ივანემ, — მშვენიერია შემწვარი ბატი! ამასთან საკმაოდ ქონი და ბალიშისთვის ბუმბული! რანაირად გაეხარდება დედა ჩემს! შინამდე ერთი სოფელი-ღა ჰქონდა გასავლელი; შევიდა სოფელში, ნახა გამლესი, რომელიც ბორბალს მხიარულად ატრიალებდა და ღიღინებდა:

ბორბალს ავატრიალებ,
დანას გავლესავო!

ივანე შეჩერდა, გაშტერებით ჩააცქერდა და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენი საქმე ალბად ძალიან კარგად მიდის, ბატონო, მხიარულად ხარ?

— რატომ არა?—მიუგო გამლესმა. ჩემი ხელობა ოქროა, ოქრო! კარგ გამლესს ფული მუდამ ბლომადა აქვს. —სად იყიდე ასეთი კარგი ბატი?

— არ მიყიდია, ლორზე გავცვალე.

— ლორი ვინ მოგცა?

— ძროხაზედ გავცვალე.

— ძროხა?

— ცხენის სამაგივროდ მივიღე.

— ცხენი?

— ცხენში მივეცი ჩემი თავის სიმსხო ოქრო.

— ოქრო ვილამ მოგცა?

— ბატონმა მომცა შვიდი წლის სამსახურის ჯილდოდ.

— ძალიან მოხერხებული კაცი ყოფილხარ, რომ ყოველთვის და ყოველგან აგრე გამარჯვებით გივლია—უთხრა გამლესმა—მხოლოდ თუ ისე მოაწყე შენი საქმე, რომ ჯიბეში ფული გამოულეველი გქონდეს, შენს ბედს ძალი არ დაჰყეფავს!

— აბა, როგორ მოვახერხო?—ჰკითხა ივანემ.

— დიდი რამ-კი არ უნდა. ისეთივე გამლესი უნდა გახდე, როგორიც მე ვარ. ამისთვის არაფერია საჭირო, გარდა სალესი ქვისა; დანარჩენი ყველაფერი თვით გაჩნდება. მე მაქვს ქვა, მართალია, ცოტა ძველია, მაგრამ მაინც გამოდგება. შენს ბატს თუ მომცემ, შემიძლია ჩემი ქვა დაგითმო. გინდა თუ არა?

— რაღა კითხვა გინდა,—მიუგო ივანემ მე უბედნიერესი კაცი ვიქნები დედამიწაზედ, თუ ჯიბეში გამოულეველი ფული მექნა; სხვა რაღა უნდა ვინატრო?

მისცა გამლესს ბატი და გამოართვა სალესი ქვა.

— აი,—უთხრა გამლესმა, ესეც ზედნადები, რომელზედაც შეგიძლია მოზნექილი ლუსმნები გაასწორო; აიღო ერთი უბრალო რიყის ქვა და მისცა ივანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანემ გამოართვა ქვა და ძლიერ კმაყოფილმა გაუგზავნა თავის გზას.

— სწორედ ქუდბედითა ვარ დაბადებული! წამოიძახა ივანემ.— მიკვირს ღმერთმანი ჩემი ბედი!

ყველა ჩემი სურვილი სრულდება.

მაგრამ, რადგან მთელი დღე მუხლი არ მოეკეცა, დაღლილობა იგრძნო; სიმშილმა მუცელს თავის მუხრუჭი მოუჭირა, სიმშილსა და დაღლილობას თან მიემატა ქვების სიმძიმე. ბოლოს რა გაუჭირდა, იმას ღა ფიქრობდა, რომ ამ ქვების სიმძიმისგან გათავისუფლებულიყო როგორმე.

ამ ფიქრებში გართულმა ძლივს მიახწია ერთ ჭამდის, სადაც, გადაწყვიტა ცოტა შეესვენა და წყალიც დაელია. ქვები იქვე ჭის პირას დაალაგა. მერე დაიხარა, რომ წყალი ამოელო და დაელია, თავისდა უნებურად ქვებს ხელი წაჰკრა და შიგ წყალში-კი გადუძახა. რაკი დარწმუნდა, რომ ქვებმა ჭის ძირში ამოყვეს თავი, გახარებულმა თავისუფლად ამოისუნთქა. და მუხლის მოყრით ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ამ მძიმე ტვირთს ასე ადვილად გადაარჩინა.

— ჩემისთანა ბედნიერს სხვას ვერ იპოვნი დედა-მიწაზედ— წამოიძახა ივანემ.

კმაყოფილი და თავისუფალი ყოველივე ტვირთისაგან წამოხტა ფეხზედ და შინისკენ გასწია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭკვიანი გლეხის გოგო

ყო და არა იყო, რა იყო ერთი გლეხი. არა გააჩნდა-რა, გარდა ერთი პატარა ქოხისა და ერთად ერთი ქალისა.

ერთხელ ქალმა ურჩია:

— მამილო, ვთხოვოთ მეფეს, პატარა ნაჭერი მიწა გვიბოძოს, ვიმუშავებთ და ვიცხოვრებთო.

როცა მეფემ სიღარიბე გაიგო, ცოტა მამული უწყალობა. მამა-შვილი გულდასმით მუშაობდნენ, ჰბარავდნენ, დასათესად ამზადებდნენ. ბარვის დროს ერთი ოქროს როდინი იპოვნეს.

— იცი, შვილო, რა გითხრა, — დაიწყო მამამ, რადგან მეფე ასე მოწყალედ მოგვექცა და მამულიც გვიწყალობა, ეს როდინი მეფეს მივართვათ.

ქალი არ დასთანხმდა და უთხრა:

— როდინი რის მაქნისია, როცა ქვა არა აქვს? ჩემი აზრით, სჯობს ამ როდინზედ ჯერ-ჯეროობით ხმასაც ნუ ამოვიღებთ.

მაგრამ მამამ არ გაუგონა, როდინი მეფეს მიართვა და მოახსენა, შენს ბოძებულ მიწაში ვიპოვნეთ. მეფემ როდინი მიიღო და ჰკითხა:

— სხვა ხომ არაფერი გინახავს ამასთან?

— არა, — მიუგო გლეხმა, — მეტი არა მინახავს-რა.

მაგრამ მეფემ არ დაუჯერა და უბრძანა, როდინის ქვაც მომიტანეთ; ბევრი იფიცა გლეხმა, მაგრამ მეფემ არ დაუჯერა და ბრძანება გასცა, — გლეხი ციხეში დაემწყვდიათ და იქ ჰყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდათ, სანამ როდინის ქვასაც არ გამოაჩენდა. მეფის მსახურებ ყოველ დღე პური და წყალი მოჰქონდათ გლეხთან, რომელიც ყოველთვის ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

— ახია ჩემზედ, რატომ არ გავუგონე ჩემს ქალს!

მსახურთ ეს ყოველიფერი მეფეს მოახსენეს, მეფემ უბრძანა, გლეხი მომიყვანეთო.

როცა მიუყვანეს, ჰკითხა:

— რას ნიშნავს შენი სიტყვები: „რატომ არ გავუგონე ჩემს ქალსაო?“ — რა გითხრა ისეთი შენმა ქალმა, რომ სანანებლად დაგრჩა?

— მირჩია — სანამ ქვას არ იპოვნი, ნურც როდინს მიართმევო. ეხლა დავრწმუნდი, რომ მართალს მეუბნებოდა, მაგრამ გვიანლაა!

— რაკი აგეთი ჭკვიანი ქალი გყოლია, უთხრა მეფემ, წადი და აქ მომიყვანე; მინდა, ვნახო.

მიიყვანეს მეფესთან გლეხის გოგო. მეფემ უბრძანა, — გამოცანას უცხოს გეტყვი, თუ გამოიცნობ, ჩემს დედოფლად გაგხდიო. ქალი დასთანხმდა და მეფემ შემდეგი გამოცანა მისცა:

— მოდი ჩემთან არც ტიტველი, არც ჩაცმული, არც ცხენით, არც ეტლით, არც გზით და არც უგზოდ. თუ ამას შეასრულებ, ჩემი ცოლი იქნებიო.

ქალმა გაიხადა და ბადეში გაეხვია, ასე რომ არც ჩაცმული იყო და არც ტიტველი. ბადე ვირს მიაბა კუდზედ, და ამგვარად მეფესთან არც ცხენით მივიდოდა, არც ეტლით. ვირს ისე უნდა წაეთრია ქალი, რომ ის მარტო ცერით დაჰკარებოდა გზას, რადა მეფის ყველა პირობები შეესრულებინა.

როცა ამ რიგად ქალი სასახლეში მივიდა, მეფემ შეაქო ქალი და ბრძანა, — მეც შევასრულებ ჩემს პირობასაო. უბრძანა, ქალის მამა ციხიდან გაეთავისუფლებინათ და ქალზედ ჯვარი დაიწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიდა ხანი.

ერთხელ რამოდენიმე გლეხებს გასაყიდად შეშა მიჰქონდათ და შესასვენებლად სასახლის წინ გაჩერდნენ. ზოგის ურემს ცხენები ება, ზოგისას-კი ხარები. ერთს გლეხს სამი ცხენი ება; ერთს იმათგანს კვიცი ეყოლა, რომელიც წავიდა და ორ ხარს შუა ჩაწვა. გლეხები აყაყანდნენ, მოუვიდათ ჩხუბი და მორთეს ყვირილი: ხარების პატრონი ამბობდა,—კვიცი ჩემიაო, ცხენების პატრონი ამტკიცებდა—არა, ჩემიაო. საქმემ მეფის კარამდის მიახწია; მეფემ ასე გაასამართლა მომჩივანნი:

კვიცი წავიდა და ორ ხარ შუა ჩაწვა...

— ვის ურმის მახლობლადაც ნახეს, კვიციც იმას ეკუთვნის.

ნამდვილი პატრონი ძლიერ უკმაყოფილოდ დარჩა ამგვარ განაჩენისა და დაიწყო ტირილი. იცოდა, დედოფალი ერთობ გულკეთილი და სათნოებით სავსეა, განსაკუთრებით ებრალება დაბალი წოდების ხალხი, რადგან თვითონაც უბრალო გლეხის ქალიაო. მივიდა და დაუწყო ვედრება, მიშველე რამე, კვიცი დამიბრუნეო.

— კარგი,—უთხრა დედოფალმა,—მე შეგეწევი, მხოლოდ პირობა მომეცი, რომ არ გამცემ. ხვალ წადი და, როცა მეფე სასეირნოდ გამობრძანდება, შუა ქუჩაში გაჩერდი, სადაც ის გაივლის, აიღე ბადე და თევზაობა დაიწყე. ისე მოაჩვენე თავი, ვითომ თევზს იჭერ.

ამასთან დედოფალმა ისიც ასწავლა, თუ რა პასუხი მიგგო მეფისთვის, თუ ჰკითხავდა რასმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს გლეხმა დაიწყო ქუჩაში თევზაობა. როცა მეფემ გამოიარა და ეს სურათი დაინახა, მსახური გაგზავნა და უბრძანა, —გაეგო, რას აკეთებდა გლეხი?

— თევზს ვიჭერ,—მიუგო გლეხმა მეფის მხლებელს.

მეფის გამოგზავნილს გაუკვირდა, — როგორ შეიძლება ხმელეთზედ თევზის დაჭერაო. გლეხმა უპასუხა:

— თუ-კი ხარებს შეიძლება კვიცი ეყოლოს, რატომ ხმელეთზედ თევზის დაჭერა არ შეიძლება?

მხლებელი დაბრუნდა მეფესთან და ეს პასუხი მოახსენა. მეფემ დაიბარა გლეხი და კითხვა დაუწყო, ვინ გასწავლა ასეთი პასუხიო? დარწმუნებული იყო, რომ ამას გლეხი თითონ ვერ მოიგონებდა. გლეხი ჯერ უარზედ იდგა და არწმუნებდა, არავის-რა უსწავლებიაო, მაგრამ ამაოდ: მეფეს იმისი არა სჯეროდა. ბოლოს მეფის ბრძანებით გლეხი გააწვინეს და იმდენი სცემეს, მანამ არ გამოტყდა და არა სთქვა,—დედოფალმა მასწავლაო.

დაბრუნდა თუ არა სასახლეში, მეფემ უთხრა დედოფალს:

— რადგან ასე მომატყუე, ამას იქით ჩვენი ცოლ-ქმრობა შეუძლებელია. მიბრძანდი ისევ შენს ძველ ქოხში.

გამოთხოვებისას მეფემ დედოფალს ნება მისცა,—თან წაიღე, რაც ყველაზედ მეტად გიყვარსო.

— კარგი,—მიუგო ცოლმა, ამ მოწყალებისთვისაც მადლობელი ვარ!

სთქვა ეს თუ არა, მივარდა მეფეს, კისერზე მოეხვია, აკოცა და სთხოვა გამოთხოვებისას ერთად თითო ჭიქა ღვინო მაინც დაელიათ. მეფე დასთანხმდა, დედოფალმა დასაძინებელი შარბათი მოიტანა, მეფეს დაალევინა და თითონაც ცოტა მოსვა. მეფეს მაგრა ჩაეძინა; მაშინ დედოფალმა ზეწარში გაახვია თავისი ქმარი, მსახურთ დაუძახა, უბრძანა გაეტანათ და ეტლში ჩაეწვინათ, რომელიც კარებთან იყო გაჩერებული. ამ გვარად დედოფალმა მეფე წაიყვანა თავის მამის ქოხში და თავის საწოლზედ დააწვინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოელვიძა მეფეს, გაოცდა და წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო, ეს სადა ვარ?

დაუძახა მოსამსახურეებს, მაგრამ არავინ არ ჩანდა. საწოლთან მივიდა მისი ცოლი და უთხრა:

— მეფევ, შენ ნება მიბოძე, თან წამომველო, რაც ყველაზე მეტად მიყვარს... რადგან შენზედ უსაყვარლესი და უძვირფასესი ჩემთვის არა არის რა, ეს არჩევანი შენა გხვდა და, იმედია, არ შემრისხავ.

მეფეს თვალები ცრემლით აევსო და სთქვა:

— საყვარელო და ღირსეულო ჩემო მეუღლევ, ჩვენ დღეის იქით სიკვდილის მეტი ვერა გაგვყრის-რა. მეფემ დედოფალი ისევ სასახლეში წაიყვანა; კვლავ ერთად დაიწყეს ცხოვრება და დღემდის ბედნიერად ცხოვრობენ.

მოხერხებული თერძი

ერთი დედოფალი იყო, მეტის მეტად ამაყი და უკადრისი. ბევრნი თხოულობდნენ, მაგრამ ყველას თითო გამოცანას ეუბნებოდა და, რადგან ვერ გამოიცნობდნენ ხოლმე, სასაცილოდ იგდებდა.

ბოლოს საქვეყნოდ გამოაცხადა,—ვინც ჩემს გამოცანას გამოიცნობს, ცოლად გავყვებიო და ყველას მისცა ნება,—ბედი ეცადათ.

გამოჩნდა სამი თერძი. ორი უფროსი ასე ფიქრობდა:

— ასე სუფთა და წმინდა გვირისტის მცოდნეთ, ნუ თუ სხვა რამე უნდა გაგვიჭირდეს ქვეყანაზედაო?

მესამემ თავისი ხელობა ძალიან სუსტად იცოდა და იმედოვნებდა, იქნება გამოცანებში მაინც გამილიმოს ბედმაო.

უფროსები სტუქსავდნენ:

— აბა, სად მიხვალ, შე უბედურო? ნევსის ხმარება არ იცის და ესეც მარაქაში ერევა.. სახლში იჯდე, ის გირჩევნია.

მაგრამ ის ყურადღებასაც არ აქცევდა:

— მე ჩემი ჭკუა მაქვს, ჩემს თავს მე თვით მოვუვლი, არავის დარიგება არა მჭირია.

უფროსი თერძები პირდაპირ დედოფალთან წავიდნენ; დედოფალს მოახსენეს მათი მოსვლა.

— ძალიან პატიოსანი და მეცადინე ადამიანები არიან, ნემსსაც ძლიერ მარდად ხმარობენო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედოფალმა უთხრა:

— მე თავზედ ორი ფერი თმა მაქვს. აბა გამოიცანი, ესაა ფერისაა ჩემი თმა?

— თუ მარტო ამაშია საქმე,—მიუგო პირველმა, რა თქმა უნდა შავი და თეთრი, როგორც თეთრ ზოლებიანი შავი ბალღადი.

— არა,—მიუგო დედოფალმა ვერ მიხვდი; აბა, მეორემ სცადოს.

მეორემ ამაყად მოახსენა:

— რა კი თქვენი თმა თეთრ-ნარევი შავი არ არის, რა თქმა თუნდა,—ქერა და წაბლის ფერი იქნება.

— სრულიადაც არა, დაცინვით უთხრა დედოფალმა და გულიანად გაიხარხარა. დეე, მესამემ გამოიცნოს: თვალებში ეტყობა, რომ უკვე გამოცნობილიცა აქვს.

მესამე თერძი წინ წარსდგა და მოახსენა:

— დედოფალს ოქროსი და ვერცხლის თმა აქვს. ეს გახლავს სწორედ ორი სხვა და სხვა ფერი.

დედოფალს თრთოლვა დაეწყებინა, კინაღამ გული წაუვიდა, რადგან მესამე თერძმა მართალი პასუხი მოახსენა. ქალი-კი დარწმუნებული იყო, მთელს ქვეყანაში ამის გამოცნობა არავის შეუძლიაო.

როცა გონს მოვიდა, სთქვა:

— მოიცა, მოიცა! ამით საქმე როდი გათავებულა.— შენ მთელი ღამე საჯინობოში უნდა დაჰყო დამწყვდეულ დათვთან; თუ ხვალ ცოცხალს გნახავ, შენი ცოლი გავხდები.

დედოფალი დარწმუნებული იყო, რომ ამგვარად თერძის ცოლობას გადარჩებოდა, რადგან დათვს ჯერ არავინ ცოცხალი არ გამოეშვა. მაგრამ მკერვალი არამც თუ შეშინდა, პირ იქით მხიარულად მიუგო:

— ამაზედაც თანახმა გახლავარ! ცდა ბედის მონახევრეაო.

როცა დაღამდა, მკერვალი დათვს მიჰგვარეს და ერთად დაამწყვდიეს. დათვს იმავე წამს უნდოდა თათები მოეხვია და თავის გულში მაგრა ჩაეკრა, მაგრამ მკერვალმა უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოითმინე, მოითმინე! ჯერ ეს ხილი მიირთვე.

ამოიღო ჯიბიდან კაკალი, კბილებით დაამტვრია და ჭამა დაუწყო. ამის დანახვაზე დათვსაც აეშალა საღეროელი და ნიგვზის ჭამის მადა გაეხსნა. მკერვალმა მეორე ჯიბეში ჩაიყო ხელი და კენჭებით სავსე მუჭი ამოიღო. დათვმა ერთი კენჭი პირში ჩაიდო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხვრა დაუწყო, მაგრამ ვერას გახდა.

დათვმა ერთი კენჭი პირში ჩაიდო...

— ერიჰაა,—გაივლო მან გულში.— ეს რა მეცმართება? ნუ თუ კაკალსაც ვერ ვამტვრევ!

მიუბრუნდა თერძს და უთხრა:

— აბა, ცოტა კიდევ გამიმტვრიე.

— წამხდარა შენი საქმე, დათუნავ,—დაცინვით უთხრა თერძმა.—რამსიდიდე პირი და კბილები გაქვს და პატარა კაკალსაც ვერ ერევი?

გამოაროვა კენჭი, უცბად კაკალი იკრა პირში, და შუაზედ გასტეხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთს კიდევ ვცდი,—სთქვა დათვმა.—შენ ჯერ ... ყურებ, სულ მგონია,—მეც მოვერევი მეთქი.

თერძმა ისევ კენჭი მისცა; დათვმა პირში ჩაიგდო, ბევრი ეწვალა, მაგრამ მაინც ვერას გახდა.

შემდეგ ამისა თერძმა კალთის ქვეშიდან ამოიღო ჭიანური და მშვენივრად დაუკრა. მუსიკის გაგონებაზედ დათვმა თავი ვერ შეიმაგრა და დაიწყო ძუნძული და ხტუნვა. ჭიანურის ხმა ძლიერ მოეწონა, მიუბრუნდა თერძს და ჰკითხა:

— ძნელია ჭიანურის დაკვრა?

— სულ ადვილია! აი მარცხენა ხელში აიღებ ჭანურს, მარჯვენით სიმზედ ქამანჩას გაუსვამ და დაუკრავ.

— მეც მინდა ვისწავლო ჭიანურის დაკვრა,—უთხრა დათვმა,—რომ, როცა ცეკვა მომინდება, დაკვრა შემეძლოს. ყური მიგდე, არ შეგიძლია, მასწავლო?

— დიდი სიამოვნებით,—მიუგო თერძმა, თუ მაგის ნიჭს გამოიჩენ, მე ჩემს ცდას არ მოგაკლებ; მაგრამ ჯერ თათები მაჩვენე.

— ერი-ჰაა! ეს მეტის მეტი გრძელებია! ფრჩხილები უთუოდ უნდა მოგჭრა.

აიღო ჭახრაკი, დათვს თათები შიგ ჩაადებინა და მუხრუჭი მოუჭირა.

— შენ აქ მომიცადე და მე მაკრატელს მოვიტან. დათვი საცოდავად რაღასაც ბურტყუნებდა, ჩვენი მკერვალი-კი კუთხეში თივაზე მიწვა და არხეინად დაიძინა.

დედოფალს, რომელსაც დათვის ღრიალი მთელი ღამე ეშმოდა, ეგონა მკერვალმა უკვე ჩემი ქირი წაიღოო. დილით ადგა, ჩაიცვა, შუშაბანდიდან გაიხედა და საჯინიბოს კარებთან დაინახა მხიარული და კარგად გამოძინებული თერძი.

რაღა ძალა ჰქონდა? მისი აღთქმა ყველამ იცოდა და მეუღემ ბრძანა, დახურული ეტლით წაიყვანეთ დედოფალი და თერძი ჯვარის დასაწერადაო.

დანარჩენ ორ თერძს შეშურდა ამხანაგის ბედნიერება, საჯინიბოსკენ წავიდნენ და დათვი გამოუშვეს. გააფთრებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხეცი დაედევნა ეტლს. როცა დათვის ღრიალს და ბმალობას დედოფალმა ყური მოჰკრა, შეეშინდა და მორთო ყვირილი:

— არიქა, გვიშველეთ, გვიხსენით დათვისგან! — თერძმა თავის მოხერხება და უხარი აქაც გამოიჩინა: წამოდგა, ყირამალა დადგა, ფეხები ფანჯარაში გამოჰყო და შეჰყვირა:

— ამ ჭახრაკს ჰხედავ, თუ არა? ეხლავ წაშავდი, თორემ, ისევ ამ მუხრუჭებში ამოგაყოფინებ თათებს! — დათვს ამის გაგონებაზედ კინალამ გული შეუწუხდა, ციბრუტივით უკან გაბრუნდა და ცხრა მთას იქით გადაიკარგა.

მკერვალი ყირამალა დადგა, შეჰყო ფეხები ფანჯარაში და შესძახა...

თერძი ამის შემდეგ გულ დამშვიდებით ეკლესიაში გაემგზავრა, დედოფალზედ ჯვარი დაიწერა და დაიწყეს ბედნიერი და ტოროლასავით უდარდელი ცხოვრება.

თუ არ მოგწონს, ყურს ნუ უგდებ; სიცრუის თქმას-კი ნუ მიშლიო.

ცალთვალა, ორთვალა და სამთვალა

ყო ერთი დედა-კაცი, რომელსაც ჰყავდა სამი ქალი; უფროსს ერქვა ცალ-თვალა, რადგან მხოლოდ ერთი თვალი ჰქონდა შუა შუბლზედ; საშუალოს—ორთვალა: ამას, როგორც ყველა ადამიანს, ჰქონდა თავის ადგილას ორი თვალი; უმცროსს-კი—სამთვალა: მესამე თვალი შუა შუბლზედ ჰქონდა ჩამჯდარი.

რადგან ორთვალა არაფრით არ განსხვავდებოდა დანარჩენ ადამიანებისაგან, დედას და დებს საშინლად ეჯავრებოდა და ხშირადაც სტუქსავდნენ:

— შენ სრულიადაც ჩვენთაგანი არა ხარ, შენი ორი თვალით არაფრით განირჩევი სხვებისაგან.

ყოველთვის შეურაცყოფას აყენებდნენ, თავიანთ გამონაცვალს, ძველ ტანისამოსს მიუგდებდნენ, საჭმელად ნასუფრალს მიუყრიდნენ და ასეთ სატანჯველში ჰყავდათ.

საბრალო ორ-თვალა იძულებული იყო ყოველ დღე მინდვრად თხა გაეყვანა საძოვრად. ერთხელ სულ მშიერს მოუხდა წასვლა, რადგან დებმა არაფერი აჭამეს. დაჯდა მიჯნაზედ და სიმშილისაგან გამწარებულმა ისეთი გულ-ამოსკვნილი ტირილი დაიწყო, რომ მის ცრემლისგან შემდგარი ნაკადული ზღვას ერთოდა; უცბად თავი მაღლა აიღო და დაინახა ვილაც ქალი, რომელმაც ჰკითხა:

— რისთვის ტირი, ორ-თვალავ?

— როგორ არ ვიტირო,—მიუგო ორ-თვალამ.—დედასა და დებს საშინლად ვეჯავრები. რადგან სხვებსავით ორი თვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მაქვს; მუდამ მცემენ, დამცინიან, ერთი კუთხიდან მეორეში მიმაგდებენ, თავიანთ გამონაცვალს მაცმევენ, ნაცვალს სუფრალს, ნახორხალს მაჭმევენ ძალლსავით; დღეს ისე ცოტა მაჭამეს, რომ სიმშილით ვკვდები.

— დამშვიდდი, ჩემო ორ-თვალავ, —უთხრა უცნობმა,—მე შენ გასწავლი, როგორ მოიქცე, რომ შენს დღეში არ მოგშივდეს. საკმარისია ეს ლექსი სთქვა:

ციკი, ციკი, ბეო,
სუფრა გაშალეო...

და შენ წინ გაიშლება ტაბლა, საუკეთესო საჭმელებით სავსე და შეგიძლია, რამოდენიც გინდა სჭამო. როცა გაძღები და მეტი შენთვის საჭირო არ იქნება, ისევ ეტყვი:

ციკი, ციკი, ბეო,
სუფრა აიღეო...

და მაშინვე გაქრება.

უთხრა ეს და ქალი უჩინარი შეიქნა.

ორთვალამ იფიქრა:

— რა იქნება, ეხლავე ვცადო, მართალი სთქვა იმ დეკა-კაცმა, თუ არა? ხომ საშინლად მშიან და! უნდა ვსცადო უთუოდ! და დაიძახა:

ციკი, ციკი, ბეო,
სუფრა გაშალეო...

წარმოსთქვა ეს სიტყვები და მის წინ იმავე წამს გაჩნდა ტაბლა, სუფთა სუფრა გადაფარებული, მაზედ თეფში, დანა-ჩანგალი და ვერცხლის კოვზი. მთელი ტაბლა საუკეთესო საჭმელებით აივსო, რომელთაც ოშხივარი ასდიოდა, თითქო ეს არის ცეცხლიდგან გადმოდგესო. ორთვალამ ერთი უუმოკლესი ლოცვა სთქვა:

— ღმერთო, შენ იყავი ჩვენი შემწე აწ და მარადის და უკუნისამდე, ამინ.

ჯერ არც-კი გათავებინა ეს სიტყვები, რომ უცბად
იმის წინ ტაბლა გაიშალა...

მიუჯდა ტაბლას და კარგად გაძღა. სიმშილი დააკმაყოფილა თუ არა უბრძანა, როგორც უცრობმა ასწავლა:

ციკი, ციკი, ბეო,
სუფრა აიღეო...

ტაბლა თავის ჭურჭელით და ყოველივე საჭმელებით იმ წამსვე გაქრა,

—გმადლობ შენ, ღმერთო! ეხლა ყოველთვის მაძღარი ვიქნები,—სთქვა კმაყოფილმა და ბედნიერმა ორთვალამ.

საღამოს სახლში დაბრუნდა, დაინახა თეფშზედ ნასუფრალი, რომელიც მის დებს ორთვალასთვის შეენახათ, მაგრამ ზედაც არ შეხედა. მეორე დღეს ორთვალა თავის თხით ისევ მინდვრისკენ გაემგზავრა; მისთვის შენახულ ნახორხალს ხელიც არ ახლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი დღე დები ამ გარემოებას ყურადღებს არ აქცევდნენ; მაგრამ, ბოლოს-კი შენიშნეს:

— ეს რას ნიშნავს, რომ ორთვალა თავის საჭმელს ხელუხლებლად სტოვებს?—ადრე ყოველიფერს სჭამდა და არასა სტოვებდა. აქ რაღაც საიდუმლოება უნდა იყოს!

რომ გაეგოთ, რაში იყო საქმე, გადასწყვიტეს:—მეორე დღეს ცალ თვალა უნდა წასულიყო ორთვალასთან და ედარაჯნა, ხომ არავინ უზიდავდა მის დას საჭმელს.

როცა ორთვალა წასასვლელად მოემზადა, ცალთვალა მივიდა და უთხრა:

— მე მინდა შენთან ერთად მინდორში წამოვიდე,—რომ ვნახო, კარგად აძოვებ თხას, თუ არა?.

ორთვალა იმ წამსვე მიხვდა ცალთვალას განზრახვას, თხა მინდორში გაიყვანა და დას მიუბრუნდა:

— წავიდეთ, ცალვალა, და იქ ხის ძირში მივჯდეთ, შენ ხომ გინდა მოსვენება? მე გვერდით მოგიჯდები და ლექსებს გიმღერ.

ცალთვალა დაიქანცა, რადგან სიარულს ნაჩვევი არ იყო, მასთან მზეც თავის სხივებს უხვად ჰფანტავდა, და სიამოვნებით დაეთანხმა ორთვალას, რომელმაც დაიწყო სიმღერა:

— ჩემო დაო, დაიძინე,
ცალთვალაო, დაიძინე!

ცალთვალამ დახუჭა თავისი თვალი და დაიძინა. როცა ორთვალა დარწმუნდა, რომ მის დას უკვე სძინავს, დაიძახა:

ციკი, ციკი, ბეო,
სუფრა გაშალეო...

გაჩნდა მშვენიერი საჭმელებით სავსე ტაბლა, მიუჯდა ორთვალა და მადიანად მიაძღა. მერე ისევ უთხრა:

ციკი, ციკი, ბეო,
სუფრა აიღეო...

იმავე წამს ყოველიფერი გაქრა, მაშინ ორთვალამ გააღვიძა ცალთვალა და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ გინდოდა, თხა გეწყემსა და ნაცვლად ძალიან მადიანად-კი გეძინა! კარგი, რომ მე ვიყავი, თორეს თხა საძებრად გაგვიხდებოდა. აბა, ადე, ეხლა-კი სახლში წავიდეთ.

ორივენი სახლში დაბრუნდნენ. ორთვალამ არც-კი შეხედა მისთვის მომზადებულ ნახორხალს. ცალთვალამ ამის მიზეზი ვერაფერი მოიყვანა, მხოლოდ თავის გასამართლებლად ესა სთქვა:

— მე იქ დამეძინა და არა მინახავს-რა! მეორე დღეს დედამ სამთვალას უთხრა:

— ეხლა შენ უნდა წახვიდე ორთვალასთან და თვალი კარგად უნდა ადევნო, ხომ არავინ უზიდავს სასმელ-საჭმელს? სულიწმინდა ხომ არ არის, რომ უჭმელ-უსმელი სძლებდეს?!

სამთვალამ უთხრა თავის დას:

— მე წამოვალ შენთან და ვნახავ, კარგად აძოვებ თხას, თუ არა?

ორთვალა მაშინვე მიხვდა, თუ რა ჰქონდა აზრად მის დას, თხა საძოვრად გაიყვანა. როცა მინდორში გავიდა, დას წინადადება მისცა:

— აქ დავჯდეთ, სამთავალავ,—მე შენ სიმღერას გეტყვი

სამთვალა დაეთანხმა,— მეტად დაღლილი იყო სიარულისა და სიცხისაგან; ორთვალამ-კი დაიწყო სიმღერა:

— ჩემო დაო, დაიძინე... მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ემღერა: „სამთვალაო“—დაამღერა:

ორთვალაო, დაიძინე.

ფიქრებში გართულმა რამოდენჯერმე განიმეორა:

— ჩემო დაო, დაიძინე,
ორთვალაო, დაიძინე!

ამ ნანინამ სამთვალას მარტო ორი თვალი დაუხუჭა, მესამე მღვიძარი ჰქონდა, რადგან ორთვალას ის არ დაუძინებია.

მაგრამ მესამე თვალიც დახუჭა, თუმცა ყოველიფერს ხედავდა. ორთვალას-კი ეგონა, მაგრად დაიძინაო და დაუძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციკი, ციკი ბეო,
სუფრა გაშალეო...

როცა, რამოდენიც უნდოდა სჭამა და დალია, უბრძანა ტაბლა გამჭრალიყო და სთქვა:

ციკი, ციკი, ბეო,
სუფრა აიღეო..

სამთვალა ყოველივე ამას უყურებდა. ბოლოს ორთვალა მივიდა დასთან და უთხრა:

— აბა, ამას უყურე, არ დასძინებია? კარგად-კი აძოვებდი თხას! სჯობს სახლში წავიდეთ. მივიდნენ სახლში, ორთვალა არაფერს მიჰკარებია. აქ სამთვალამ უთხრა დედას:

— ეხლა-კი ვიცი, ქალბატონი რატომ არასა სჭამ'; თხას ეუბნება:

ციკი, ციკი, ბეო,
სუფრა გაშალეო...

და მის წინ იმ წამსვე ჩნდება ტაბლა სავსე ყოველგვარ სხვა და სხვა სასმელ-საჭმელით, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო უკეთესით, ვიდრე ჩვენა გვაქვს. როცა გაძღება ეტყვის:

ციკო, ციკო, ბეო,
სუფრა აიღეო...

და მაშინვე ყოველიფერი ქრება. რასაც ვამბობ, ყოველივე გარკვევით დავინახე. თავის სიმღერით ცბიერმა მარტო ორი თვალით დამაძინა, მაგრამ მე, ჩემდა საბედნიეროდ, შუბლზედ მესამე თვალიცა მაქვს. აი ამ თვალით მე ყოველიფერს ვხედავდი

დედას საშინელი შურის ძიების სურვილი დაებადა, მიუბრუნდა ორთვალას და მიაყვირა:

— მაშ აგრე! შენ გინდა, რომ ყოველიფერი ჩვენზედ უკეთესი გქონდეს? ვერ მოგართვი, ქალბატონო! მე შენ ჩაგიკლავ და ჩაგაშხამებ შენს სურვილს!

აიღო დიდი დანა, თხას შიგ გულში დასცა და იქვე სული გააგდებინა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის დანახვაზედ ორთვალა ისევ მინდვრად გავიდა, ბალ-ჯნაზედ დაჯდა და გული საწვავად ტირილი დაიწყო.

უცბად მის წინ მისიჟნაცნობი გაჩნდა და ჰკითხა:

— რა გატირებს, ორთვალავ?

— როგორ არ ვიტირო?—მიუგო ქალმა.—დედა-ჩემმა ჩემზე გამოჯავრებულმა, თხა მოკლა, რომელიც, როგორც-კი თქვენგან ნასწავლებ სიტყვებს ვეტყოდი, იმავე წამს ყოველ-გვარ სასმელ-საჭმელით სავსე ტაბლას მიშლიდა. აწი რა მე-შველება? სიმშილის მსხვერპლი შევიქნები, მე უბედური!

უცნობმა უთხრა:

— ნუ ტირი, ჩემო ორ-თვალავ, მე შენ კარგ რჩევას მოგცემ: დედა შენს სთხოვე მოკლული თხის შიგნეული და ეზოში სახლის კარების წინ დაფალ. ბედნიერი ქალი შეიქ-ნები, იცოდე.

უთხრა ეს და უცბად გაქრა. ორ-თვალა სახლში დაბრუნდა და თავის დებს თხოვნა დაუწყო:

— ძვირფასო და საყვარელო დებო, მომეცით რაშე ჩემი თხის სახსოვრად. მე კარგ რასმე არა გთხოვთ; თუ გინდათ, მისი შიგნეული მომეცით; ამისიც დიდი კმაყოფილი და მად-ლობელი ვიქნები.

დებმა სიცილი დაიწყეს და უთხრეს:

— შიგნეული თამამად შეგიძლია წაიღო, რადგან ამას-კი არავინ შეგეცილება. მიიღო ძვირფასი საჩუქარი თავის დები-საგან, გაიქცა და, როგორც უცნობმა ქალმა უთხრა, სახლის კარების წინ მიწაში დამარხა.

მეორე დილას, როცა ყველას გამოეღვიძა, ეზოში კა-რების წინ დაინახეს შესანიშნავი ხე, რომელსაც ვერცხლის ფოთლები და ოქროს ვაშლები ესხა. ამ ხეზე უმშვენიერეს და უძვირფასეს ადამიანი ქვეყანაზედ ვერას ნახავდა. ვერავინ მიხვდა, საიდან და რა ნა[illegible]ად გაჩნდა ასეთი ხე; მარტო ორ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვალამ იცოდა, რადგან ხე სწორედ იმ ადგილას ამოვიდა, სადაც თხის შიგნეული იყო დამარხული.

ორთვალამ წაიღო შიგნეული და სალამოზე მიწაში ჩაფლა...

ედამ ცალთვალას უთხრა:

— ადი, შვილო, ხეზედ და ცოტა ვაშლი დაგვიკრიფე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალთვალა ავიდა ხეზედ, მაგრამ რამდენსაც მისწვდებოდა ოქროს ვაშლს მოსაწყვეტად, ხილი ხელიდან უსხლტებოდა; ამ გვარად, თუმცა ბევრი ეცადა, ვერც ერთი ვაშლი ვერ მოსწყვიტა. მაშინ დედამ უთხრა:

— სამთვალავ, აბა შენ სცადე, ადი ხეზე, შენ შენი სამი თვალით ერთ თვალზედ უკეთ დაინახავ და უთუოდ დაგვიკრეფ ვაშლს.

ცალთვალა ძირს ჩამოვიდა, სამაგიეროდ სამთვალა ავიდა ხეზე, მაგრამ ვერც ამან გამოიჩინა თავის დაზედ უკეთესი ნიჭი და უნარი. თუმცა ის სამის თვალით ოქროს ვაშლებს მშვენივრად ჰხედავდა, მაგრამ ერთიც ვერ მოსწყვიტა; მიაკარებდა ხელებს ვაშლს თუ არა, ნაყოფი ხელიდან უსხლტებოდა.

დედამ ყოველივე იმედი და მოთმინება დაკარგა, თვით ადოფხდა ხეზედ, მაგრამ ამაოდ: ვაშლის მოსაწყვეტად გაშვერილი ხელი ცარიელ ადგილას ხვდებოდა, თითქო ჰაერს იჭერსო.

— ერთი მეც ვსინჯო,—სთქვა ორთვალამ, ვინ იცის, იქნება მე რამე გავაწყო!

დედამ და დებმა ერთხმად შეჰყვირეს: ერთი ამას შეჰხედეთ! შენ სადღა მიძვრები? შენ რა უნდა გაგვირიგო, როცა ჩვენ ვერა გავაწყეთ რა?

ორთვალა მაინც ავიდა ხეზედ; ოქროს ვაშლები არამც თუ ხელიდან უსხლტებოდა, პირიქით თავის-თავად მოდიოდა და პირდაპირ ხელში უვარდებოდა. ფეშტამალი გაივსო ვაშლებით, თუმცა დედამ ყველა ჩამოართვა.

ამის შემდეგ, მადლობის ნაცვლად, დედას და დებს ორთვალა სანახავად ეჯავრებოდათ, რადგან ოქროს ვაშლების მოკრეფა მარტო იმას შეეძლო. ორთვალასადმი მათ სიძულვილს საზღვარი არა ჰქონდა.

ერთხელ, როცა ყველა ერთად თავმოყრილი ვაშლის ხის ახლო იდგნენ, დაინახეს მათკენ მომავალი მხედარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩქარა დაიმალე, ორთვალავ, ჩქარა! ერთბაშად შეგეყარა
რეს დებმა, თორემ შენი გამოჩენა სიცოცხვილია!

და მარდად ჩააგდეს იქვე გდებულ ცარიელ ქვევრში. როცა მხედარი, რომელიც დიდი კაცის შვილი გამოდგა, მიუახლოვდა მათ, მეტად მოეწონა ვაშლის ხე, რომლის სიმშვენიერემ რაინდი აღტაცებაში მოიყვანა, და ჰკითხა:

— ვის ეკუთვნის ეს მშვენიერი ხე? მე მზადა ვარ ყოველიფერი ვუძღვნა იმას, ვინც ამ ხის ტოტს მომიტეხს.

ცალთვალამ და სამთვალამ მიუგეს, ეს ხე ჩვენი საკუთრება არის. თქვენს სურვილს დიდი სიამოვნებით შევასრულებთ, ტოტს ვაშლით ეხლავე მოგართმევთო.

ძალიან ცდილობდნენ, მაგრამ რაინდის სურვილი ვერც ერთმა ვერ დააკმაყოფილა, რადგან ვერც ერთმა ხელში ვერ ჩაიგდო ტოტი.

— საკვირველია! — უთხრა მხედარმა, თქვენ ამბობთ, ხე ჩვენიაო, და ერთი ვაშლის მოწყვეტაც ვერ შეიძელით. ეს რას ნიშნავს?

დები-კი თავისას არ იშლიდნენ და არწმუნებდნენ, ხე ჩვენ გვეკუთვნისო. ამ დროს იქვე ქვევრში მჯდარმა ორთვალამ ორი ოქროს ვაშლი მხედრისკენ გამოაგორა.

უჩინ-მაჩინის ქუდიდან გამომძვრალმა ვაშლებმა მხედრის ყურადღება მიიზიდეს და ძალიანაც გააკვირვეს. ნეტავ, საიდან არის ეს ვაშლებიო?

აქ ცალთვალა და სამთვალა მხედარს გაუტყდნენ და უთხრეს, ჩვენ ერთი მესამე დაცა გვყავს, მაგრამ იმის ჩვენება ვერ გაგვიბედნია, რადგან, როგორც ყველა ადამიანს, ორი თვალი აქვსო. რაინდმა სურვილი გამოაცხადა ორთვალას ნახვისა და თვითონაც დაუძახა:

— აქეთ გამოდი, ორთვალავ!

ორთვალა ქვევრიდან გამოძვრა. მხედარი მისმა სილამაზემ აღტაცებაში მოიყვანა და ჰკითხა:

შეგიძლია ამ ხიდან ერთი ვაშლი მომიწყვიტო თავის ტოტით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ არა,—მიუგო ორთვალამ, შემიძლია, რადგან ეს ხე მე მეკუთვნის.

სთქვა, სიჩქარით ხეზედ ავიდა, ერტი შტო ლამაზი და ნაზი ვერცხლის ფოთლიანი და ოქროს ვაშლიანი მოსწყვიტა და მხედარს მოწიწებით მიართვა.

— რას მთხოვ სამაგიეროს, ჩემო ტურფავ? სათხოვარი დიდი მაქვს, ჩემო ბატონო,—დილიდან დაღამებამდის ტანჯვა-წამებაში ვარ, სიმშილს და წყურვილს ვითმენ. გეველრები, ამ სატანჯველიდან მიხსენ, თან წამიყვანე და ჩემიანებს მომაშორე. მეტი სათხოვარი არა მაქვს, ჩემთვის ესეც დიდი ბედნიერება და მოწყალება იქნება.

მხედარმა ორთვალა იმ წამსვე ცხენზე შემოისვა და სასახლეში თავის მამასთან მიიყვანა.

მოხდენილი და ძვირფასი ტანისამოსი ჩააცვა, დიდ პატივში ჰყავდა და, რადგან ძალიან მოსწონდა, ცოტა ხანს უკან მდიდარი და მხიარული ქორწილიც გადაიხადა.

მხედარმა რომ ორთვალა წაიყვანა, დები უფრო შურით აივსნენ და მის ბედნიერება გულს უკლავდა ორს და და იმათ დედას.—კიდევ კარგი, რომ ეს მშვენიერი და სასწაულთ მომქმედი ხე ჩვენ დაგვრჩა. თუმცა ჩვენ მაგის ნაყოფით ვერ ვსარგებლობთ, მაგრამ ისიც ბედნიერებაა, რომ ასეთი ხე ჩვენი სახლის წინა დგას: ყოველი გამვლელი შეჩერდება ამის დასათვალიერებლად და,—და ვინ იცის!—შეიძლება, ბედმა ჩვენც გაგვიღიმოს.

მაგრამ მეორე დილას ეს ამათი სიაქაყე და სიმდიდრე ხე გაქრა და მასთან მათი იმედიც: დილას ორთვალამ ფანჯრიდან რომ გაიხედა, მისდა სასიხარულოდ, დაინახა მისი სასწაულთმომქმედი ხე, რომელიც თან დასდევნებოდა.

დიდხანს ცხოვრობდა ორთვალა ყოვლად ბედნიერი და კმაყოფილი. ერთხელ იმის კოშკში ორი მთხოვარი დედაკაცი შევიდა. ჩააცქერდა ორთვალა და იცნო თავისი დები: ცალთვალა და სამთვალა, რომელნიც ისეთ სიღარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეში ჩაცვივნულიყვნენ, რომ კარ და კარ დადიოდნენ, ერ-
ყალების სათხოვნელად. ორთვალამ სახლში შეიყვანა და ბი-
ნა და საწოლი გაუჩინა. დებმაც მოინანიეს თავიანთი ცოდ-
ვა, გრძნობდნენ, რომ სიყმაწვილეში იმდენი ბოროტება
უდანაშაულოდ მიაყენეს ორთვალას.

ოქრო-ვარსკვლავები

ერთი პატარა ქალი იყო, რომელსაც მშობლები დაეხოცნენ და დარჩა მარტოდ-მარტო. ძალიან ღარიბი იყო, ისეთი ღარიბი, რომ არსად თავშესაფარი არა ჰქონდა.

ტანისამოსი, რაც ტანზე ეცვა ის ჰქონდა და ერთი ნაჭერიც პური, რომელიც ვილაც გულ-კეთილმა მისცა.

მაგრამ ქალი ძალიან კეთილი და გულ-შემატკივარი იყო ყველასაგან დავიწყებულს ერთად ერთი იმედი-ღა ჰქონდა ღვთისა და სასოებას არ ჰკარგავდა. გავიდა მინდვრად. იქ ერთი საწყალი ღარიბი კაცი შეხვდა, რომელმაც უთხრა:

— ღვთის გულისათვის მოიღე მოწყალეება და მაჭამე რამე: რამოდენიმე დღეა არაფერი მიჭამია, ლამის მოვკვდე სიმშილით.

ქალმა მთელი თავისი პური იმას მისცა და უთხრა:

ღმერთი იყოს შენი შემწე!

გაიარა ცოტა და ახლა თავშიშველი ბავშვი შეხვდა, რომელიც გულამოსკვნით ტიროდა და იხვეწებოდა:

— თავზედ საშინლად მცივა, არ შეიძლება, მაჩუქოთ რამე და ამ ტანჯვისაგან მიხსნათ!

ქალმა მოიხადა თავისი ქუდი და ბავშვს დაჰხურა. ცოტა ხნის შემდეგ შეხვდა ერთი ბავშვი, რომელსაც სათბუნებელი არა ჰქონდა რა და სიცივისაგან კანკალებდა; გულკეთილმა ქალმა თავის წამოსასხამი იმას აჩუქა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა სხვა ბავშვი მივიდა და სთხოვა კაბა; გაიხადა და
იმას ჩააცვა თავისი კაბა.

ბოლოს, როცა ქალი ტყეში შევიდა, სულ დაბნელდა.
აქაც გაუჩნდა ერთი ბავშვი, რომელმაც სთხოვა, მთლად ტი-
ტველი ვარ და ერთი პერანგი მაინც მაჩუქეო. სათნოებით
სავსე ბავშვმა სთქვა თავისთვის:

— ხომ ღამეა და ვერავინ დამინახავს, მივცემ ამ საცო-
დავს ჩემს პერანგს! გაიხადა პერანგი და გადააცვა მთხოვნელს;
თვით-კი სრულიად ტიტველი დარჩა... ამ დროს ციდან ვარ-
სკვლავები ჩამოცვივდა... ჩამოვარდნილი ვარსკლავები სულ
ბაჯაღლო ოქროებად იქცნენ. აქვე ქალმა იპოვნა ახალი მშვე-
ნიერი პერანგი. პერანგი ჩაიცვა და მასთან იმდენი ოქრო მო-
აგროვა, რომ მთელი თავისი სიცოცხლე მდიდრად და უდა-
რდელად ცხოვრებდა.

თეთრთოვლა და ვარდო

ერთი ღარიბი ქვრივი ცხოვრობდა თავისთვის განცალკევებულ ქოხში. პატარა ბაღი ჰქონდა ორი ძირი ვარდის ბუჩქით დამშვენებული. ერთი ისხამდა თეთრ ვარდებს, მეორე-კი ალისფერს. ქვრივს ორი ქალი ჰყავდა, ორივე ვარდის ყვავილების მსგავსი; პირველს ერქვა სახელად თეთრთოვლა, მეორეს ვარდო.

ორივ ისეთი კეთილი, ღვთისნიერი, შრომის მოყვარული და გამგონენი იყვნენ, როგორიც-კი შეიძლება იყოს ადამიანი, მაგრამ თეთრთოვლა ვარდოზე წყნარი და გამგონი იყო. ვარდოს ძალიან უყვარდა მინდორში ხტუნვა-სირბილი, ყვავილებს ჰკრეფდა, თაიგულს აკეთებდა და ჩიტებსა სდევდა. თეთრთოვლა-კი სახლში დედის გვერდით რჩებოდა, საქმეში ეხმარებოდა, ან, თუ დრო ნებას აძლევდა, ხმა მაღლა წიგნებს უკითხავდა.

დებს ისე უყვარდათ ერთმანეთი, სულ ხელ-გადახვეულნი დადიოდნენ და თეთრთოვლა რომ ეტყოდა:

— ნუ მოვშორდებით ერთმანეთსაო!

ვარდო დაუმატებდა:

— ღმერთმა დაგვიფაროს!

დედაც კვერს უკრავდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაც გექნებათ, შვილებო, ყოველიფერი შუაზედ უნ- და გაიყოთ.

ხშირად მარტოდ-მარტო დარბოდნენ ბავშვები ტყეში, აგროვებდნენ მარწყვს, და ტყის ნადირს მათთვის თავის დღეში არაფერი უვნია; პირიქით ყველა ნადირი თავაზიანად, დიდი სიყვარულით ეპყრობოდა: კურდღელი მათი ხელებიდან კომბოსტოს სჭამდა, ქურციკი იმათ გვერდით ბალახს კორტნიდა; ირემი მხიარულად დახტოდა; ჩიტები-კი იქვე შტოზე ჩამოჯდებოდნენ და სხვა-და-სხვა ჰანგზედ გალობდნენ. ტყეში ბავშვებს არაფერი უბედურება არ შემთხვევიათ.

ბავშვები ხშირად ხელი-ხელ გადახვეული მარტო დარბოდნენ ტყეში...

როცა ტყეში დაუგვიანდებოდათ ან დაულამდებოდათ, სრულიად დამშვიდებულნი ხავსიან ადგილს მოსძებნიდნენ, მიწვებოდნენ და დილამდის ტკბილად ეძინათ.

დედა დარწმუნებული იყო, რომ იმათ არაფერი დაუშავდებოდათ და სრულიად დამშვიდებული იყო თავის ქოხში.

ერთხელ, როგორღაც თეთრთოვლას და ვარდოს ტყეში მოუხდათ ღამით დარჩენა. რომ გამოეღვიძათ, ბავშვის გვერდით დაინახეს მშვენიერი ბავშვი,—ბრწყინვალე თეთრ ტანისამოსით. ბავშვი წამოდგა, ალერსიანად გადაჰხედა და ხმის ამოუღებლივ ტყეში შეიმალა. თეთრ თოვლამ და ვარდომ თვალები დააჭყიტეს; ნახეს, უფსკრულის პირას წოლილ იყვნენ, ერთი ნაბიჯით რომ კიდევ წინ წაწეულიყვნენ, უფსკრულში ჩავარდებოდნენ, დაიღუპებოდნენ. როცა დებმა ეს ამბავი დედას უთხრეს, დედამ აუხსნა, ის ბავშვი თქვენი მფარველი ანგელოზი იყო, თქვენ გიდარაჯებდათ, რომ უფსკრულში არ ჩაცვივნულიყავით, რადგან კეთილი ბავშვები ხართო.

თეთრთოვლა და ვარდო ისე კარგად და სუფთად ალაგებდნენ თავიანთ ქოხს, რომ უკეთესი არ შეიძლება. ზაფხულობით ვარდო ასუფთავებდა და ალაგებდა სახლს; ყოველ დილას, სანამ დედა გამოღვიძებდა, ორი ვარდის ბუჩქიდან მოწყვეტილ ყვავილებისას მშვენიერ თაიგულს აკეთებდა და დედას თავით უდგამდა.

ზამთრობით თეთრთოვლა უვლიდა სახლს: ცეცხლს დაანთებდა, ჩამოჰკიდებდა ქვაბს, რომელიც, თუმცა სპილენძის იყო, ისე სუფთად იყო შენახული, რომ ოქროსავით ბრწყინავდა.

საღამოობით, როცა თოვლი ბამბასავით ეფინებოდა დედამიწას, კერას მიუსხდებოდნენ სამივენი.

დედა სათვალეებს იკეთებდა და დიდ წიგნს უკითხავდა; ქალები-კი გვერდით უსხდნენ, ართავდნენ და ყურს უგდებდნენ. იქვე იატაკზედ იწვა პატარა ხბო, ქანდარაზედ თეთრი მტრედი იჯდა, რომელსაც ფრთის ქვეშ ამოედო თავი და ისე ეძინა.

ერთხელ-საღამოს, როცა ამ რიგად ყველა თავ-თავის ალაგას იყო, ვილამაც კარი დაარაკუნა, თითქო შემოსვლა უნდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ადექ, შვილო ვარდო, ჩქარა კარი გაუღე, — უთხრა დედამ, მგზავრია ალბად, თავშესაფარს თხოულობს.

ვარდო მარდად კარებს მივარდა, ურდული ასწია, ეგონა კარებთან ადამიანს დაინახავდა, მაგრამ ადამიანის ნაცვლად დათვი დახვდა, რომელსაც კარებში თავისი მსხვილი და შავი თავი შემოეყო. ვარდომ შეჰყვირა და კარებს მოშორდა, ხბომ ბღავილი მორთო, მტრედმა ფრთა ფრთას შემოჰკრა, თეთრთოვლა დედის ლოგინში შეძვრა. ამ დროს დათვმა დაუძახა:

— ნუ გეშინიანთ, მე არავის რას ვერჩი, საშინლად შემცივდა, ლამის გამყინოს და მინდა ცოტა გავთბე ცეცხლთან.

— საცოდავო დათუნავ! — სთქვა დედამ, — შემოდი და კერას მოუწექი — ცეცხლთან ახლოს, მხოლოდ გაფრთხილდიკი, ჯუბა არ დაიწვა.

შემდეგ ბავშვებს დაუძახა:

— თეთრთოვლავ, ვარდო, აქ გამოდით, შვილებო, თქვენ გენაცვალოს დედა თქვენი, დათვი თქვენ არას გერჩით, ნუ გეშინიანთ.

ქალები გამოვიდნენ; ისინი ნელ-ნელა მიუახლოვდნენ დათვს; აღარც ხბო და მტრედი გრძნობდნენ შიშს. მაშინ დათვმა უთხრა:

— აბა, ბავშვებო, ქურქი გამიბერტყეთ.

ცოცხი მონახეს და დათვის თავიდან თოვლი ჩამოჰყარეს; შემდეგ დათვი არხეინად კერას გვერდით გაგორდა და სიამოვნებისაგან ბურდყუნი დაიწყო.

ცოტა ხნის შემდეგ ყველა ისე შეეჩვია დათუნას, რომ ეთამაშებოდნენ კიდეც: თეთრთოვლა და ვარდო თავიანთ ბაწია ხელებით ბალანს ვარცხნიდნენ, ფეხითა სცემდნენ, წკეპლას ურტყამდნენ და ათასნაირად აწვალებდნენ; როცა დათვი ბუტბუტს მოჰყვებოდა, ქალები სიცილს მორთავდნენ.

დათვი ყოველივე ამას სიამოვნებით ითმენდა, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსხვილ შეშაზედ ჩვენი საჭმელი დაიწვის. ჩვენი საჭმელი-იმ საჭმელს-კი არა ჰგავს, რომელსაც თქვენ ადამიანები-ურჩევთ და გაუმაძღრად ულაპავთ ლორეებივით! სოლი ჩავარჭე მაგრამ ის წყეული ლიპი გამოდგა, ამოიტა, ნაპრალი მიეკრა, ეს მშვენიერი, ჩემი დამამშვენებელი წვერი შიგ ჩამრჩა და ველარ ამომიღია. თქვენ-კი იცინით, საზიზღრებო, რძით გასუქებულო გომბიოებო! რა საძაგლები და ფეთხუმები ხართ, რომ იცოდეთ!—თეთრთოვლამ და ვარდომ თავიანთი ცდა არ დააკლეს, მაგრამ პითაკის წვერი ტყვეობისაგან ვერ გაათავისუფლეს, ისე მაგრად იყო ჩაჭედილი.

მიუახლოვდნენ და დაინახეს ქონდრის კაცი..

— იცი, რა გითხრა, კაცუნავ? გავიქცევი და ხალხს დავუძახებ,—სთქვა ვარდომ.

— საცოდავი! ხომ არ შეშლილხარ, შე ცხვრის თავო! რაებს როშავ? შეჰყვირა პითაკმა.—ჩემთვის თქვენ ორნიც ბევრნი ხართ! ნუ თუ სხვა ხერხი ვერა მოგიგონიათ-რა?

— ცოტა მომითმინე,—უთხრა თეთრთოვლამ,—დამშვიდდი, ეხლავე გაგათავისუფლებ. ამოიღო ჯიბიდან თავისი პატარა მაკრატელი, წვერი მოსჭრა და გაათავისუფლა პითაკი. გათავისუფლდა თუ არა, პითაკმა ასწია ოქროთი სავსე ტომარა, რომელიც იქვე ხის მახლობლად ეგდო, მხარზედ გადიგდო, ბავშვებისთვის არც-კი შეუხედავს, და ტყისკენ მოჰკურცხლა, თანაც მიბუტბუტებდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, თქვე უზრდელებო, თქვენა! ხედავთ, როგორ წამჭრეს ეს მშვენიერი წვერი! ეშმაკმა გადაგიხადოთ სამაგიერო, თქვე მართლა და ქაჯებო, თქვენა!

ცოტა ხნის შემდეგ თეთრთოვლა და ვარდო გაემგზავრნენ სათევზაოდ. ერთ ტბას მიადგნენ; ნახეს, წყლის პირას ჭრიჭინას მსგავსი რაღაცა ხტოდა. მიირბინეს ახლო და იცნეს პითაკი.

— აქ რას აკეთებ, — ჰკითხა ვარდომ? ხომ არ გინდა, თავი დაიხრჩო?

— სულელი ხომ არა ვარ, თავი დავიხრჩო! — შეუტია კაცუნამ. — განა ვერ ხედავთ, რომ წყეული თევზი მიმათრევს? პითაკი თურმე წყლის პირას იჯდა და თევზაობდა. ქარს იმისი წვერის თმები და ანკესის ძუა ერთმანეთში გადაეხლართა; როცა ანკესს დიდი თევზი მოება, საცოდავმა კაცუნამ ვერც თევზის გაძოყვანა შესძლო და ვერც თავისი წვერი გაათავისუფლა; თევზი წყლის სიღრმეში იწევდა და თან საბრალო პითაკს მიათრევდა. ის ძლივს იმაგრებდა თავს, ხან წყლის პირას ამოსულ ჩირგვს ავლებდა ხელს, ხან ლერწამს, მაგრამ არც ერთი არ შველიდა; ის თევზის მოძრაობაზედ იყო დამოკიდებული და ან ეხლა ჩაითრევდა თევზი წყალში, ან ეხლა. ქალებმა სწორედ დროზედ მიუსწრეს. მაგრად ჩაეფრინდნენ პითაკს, ცდილობდნენ მისი წვერი ანკესის ძუისაგან გაეთავისუფლებინათ, მაგრამ ამაოდ: წვერი ერთობ მაგრად გადაჰხლართოდა ძუას. სხვა საშუალება არა იყო რა, ისევ მაკრატელს მიმართა თეთრთოვლამ და მოაჭრა პითაკს წვერი. დაინახა ეს პითაკმა და შეჰყვირა:

— რა საძაგელი ჩვეულება გჭირსთ!, მაშინათვე მაკრატელს უნდა ეცეთ! ვერ ხედავთ, როგორ დამიმახინჯეთ სახე! ის არ გეყოთ, რომ იმდღეს შემომჭერით წვერი! ეხლა უარესი მიყავით, როგორღა ვეჩვენო ხალხს, თქვე შეჩვენებულებო, თქვენა!

აიღო ტომარა, მარგალიტით სავსე, რომელიც ლერწამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ჰქონდა დამალული და ერთიც არ მოუხედავს ქალებისკენ, თვის, თავის გზას გაუდგა.

არ გასულა ამის შემდეგ დიდი ხანი, დედამ ქალები ბაზარში გაჰგზავნა ნემსის, ქინძისთავის, ზონარის და სხვა ხელსაქმისთვის საჭირო მასალის საყიდლად. უნდა გაეარათ უდაბური წყლის ნაპირი, რომელსაც ზევიდან უზარმაზარი ტიტველი კლდე გადმოჰყურებდა.

უეცრივ უშველებელი ფრინველი დაინახეს, რომელიც ჰაერში დიდ წრეს უვლიდა და ახალგაზდა ქალებს თავს დასტრიალებდა. ბოლოს ეს ფრინველი იმათ მახლობლად დაეშვა და ამავე დროს მოესმათ საშინელი, გულშემზარავი ყვირილი; მიირბინეს თეთრთოვლამ და ვარდომ, დაინახეს თავიანთი ძველი ნაცნობი პითაკი, რომლისთვის არწივს კლანჭები ჩაევლო, უნდოდა ქვეყნიერებისთვის გამოესალმებინა და დედა მიწისთვის მოეშორებინა. გულშემატკივარმა და სათნოებით სავსე ქალებმა კაცუნას მაგრად ჩაავლეს ხელები და იმდენი ებრძოლეს ფრინველთა მეფეს, სანამ თავის მსხვერპლი არ გააგდებინეს.

როცა გონს მოვიდა, პითაკმა თავის წრიპინა ხმით შეჰყვირა:

— განა არ შეგეძლოთ უფრო წყნარად მომპყრობოდით, რომ კინალამ მკლავები დამამტვრიეთ? ისე ჩამომეკიდნენ აბრეშუმის ახალუხის კალთაზედ, თითქო ტომრის ტილო იყოსო. —ხედავ, სად გაუხევიათ?—ოჰ თქვე გაუთლელებო, მოუხეშავებო თქვენა?!

აიღო თავისი ტომარა, ძვირფასი თვალ-მარგალიტით სავსე და კლდეში მიიმალა.

ახალგაზდა ქალები დაჩვეულნი იყვნენ მის უმადურებას, ყურადღებაც არ მიუქცევიათ, თავიანთ გზას გაუდგნენ და, დედისაგან დაბარებული ყოველ-ფერი იყიდეს.

სახლში ისევე იმ გზით დაბრუნდნენ და იმავე კლდის პირას დაინახეს თავიანთი ნაცნობი პითაკი, რომელიც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოელოდა, თუ ამ დროს, ამგვარ ყრუ და უდაბურ ადგილს, ვინმე გამოივლიდა; თავისი ძვირფასი ქვები ტომრიდან ამოიყარა ლაგებინა და ზედ დაჰხაროდა. როცა ჩამავალის მზის სხივები ძვირფას ქვებს მოხვდა, ათას სხვა და სხვა ფერად აალაპლაპა და ცისარტყელას მსგავსი სალტე შემოარტყა იმ ადგილას, სადაც ნივთეულობა ეყარა. ქალები შეჩერდნენ და გაშტერებით ცქერა დაუწყეს.

— რა გინდათ, რომ ხახა დაგიღიათ და გაჩერებულხართ?

შეუტია პითაკმა ამათ დანახვაზედ და ბოროტებისაგან თვალები სისხლით აევსო.

პატარა კაცუნას მეტადაც უნდოდა მათი გამოლანძღვა; მაგრამ ამ დროს მოესმა ხმაურობა და ტყიდან გამოჩნდა შავი დათვი. შეშინებული პითაკი წამოხტა, მაგრამ გვიან-ღა იყო, რადგან დათვი ერთობ ახლო იყო. სასიკვდილოდ მომზადებულმა პითაკმა ვედრება დაუწყო:

— ბატონო დათვო, მაპატივე! შემიცოდე! ეხლავ მოგართმევ ყოველ ჩემ საუნჯეს. აი, შეხე, რა ძვირფასი თვალმარგალიტი აწყვია. ოღონდ მე ცოცხალი დამტოვე და ყოველიფერი შენი იყოს. ჩემისთანა პატარა და სუსტი კაცის მოკვლით რა სარგებლობას ნახავ! ჩემი ხორცი შენს კბილებსაც ვერ მოხვდება; აი ორი უსირცხვილო ქალი, ჩემს მაგიერ ისინი წაიყვანო და იმსხვერპლო, არ გირჩევნია?—მერე რა გემრიელებიც იქნებიან: მსუქნები, ახალ-გაზდები! აი, ესენი შესჭამე და ღმერთმან შეგარგოს!...

დათვმა ყურიც არ ათხოვა ამ ბოროტ ქმნილებას, ერთი ლონივრად დაარტყა თავის უზარ-მაზარი თათი, და პითაკი არც-კი განძრეულა, ისე გამოესალმა წუთის სოფელს.

ქალებს ძლიერ შეეშინდათ, გაქცევა დააპირეს, მაგრამ დათვმა დაუძახა:

— თეთრთოვლა, ვარდო, ნუ გეშინიანთ! მომიცადეთ, ერთად წავიდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალები ნაცნობ ხმის გაგონებაზედ შეჩერდნენ. ...
მიუახლოვდა იმათ დათვი თუ არა, ტყავი გაგაბრდა და
თეთრთოვლასა და ვარდოს წინ წარსდგა მშვენიერი ახოვანი
ლამაზი ყმაწვილი კაცი — ოქროს ტანისამოსით.

შიშისაგან თავზარ-დაცემულმა კაცუნამ შესძახა...

— მე მეფის შვილი ვარ, და უღმერთო პითაკმა, რომელიც ჩემს ქონებას იპარავდა, დათვად მაქცია; მე იძულებული ვიყავი, სანამ მას არ მოვკლავდი, დათვის ტყავში გახვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული ვყოფილიყავ და ტყე-ტყე მევლო. ეხლა-კი ~~ეხლა~~ პითაკმა მიიღო ღირსეული სასჯელი და მე თავისუფალი ვარ მის ჯადოსაგან.

თეთრთოვლა მეფის ვაჟს გაჰყვა ცოლად, ვარდო-კი მის ძმას, და პატარა კაცუნასაგან მოგროვილი სიმდიდრე ორთავემ შუაზედ გაიყვეს.

მოხუცი დედა კიდევ დიდ-ხანს ბედნიერად და მშვიდობიანად ცხოვრობდა თავის შვილებთან. ორივე ვარდის ბუჩქი თან წაიღო დედამ, თავის ფანჯრის წინ დარგო და ყოველწლივ იმათ ყვავილებით ხაროობდა: ერთი ისევ თეთრს ისხამდა, მეორე-კი—ალისფერს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თითისტარი, მაქო და ნემსი

ყოფილ არა იყო, იყო-რა, ერთი ქალი, რომელსაც დედამამა ბავშვობისასვე დაეხოცა. სოფლის ბოლოს, პატარა ქოხში, სულ განცალკევებულად ცხოვრობდა მისი ნათლია, რომელიც თავს იმით ირჩენდა, რასაც რთვით, ქსოვით და კერვით შოულობდა. ამ ბებერმა აიყვანა ობოლი, მუშაობა ასწავლა და ღვთის მოშიშ ქალად გამოზარდა.

როცა ქალს 15 წელიწადი შეუსრულდა, ნათლია ავად გახდა. ნათლული საწოლთან მიიხმო და უთხრა:

— მე ვგრძნობ, შვილო, რომ სიკვდილი მიახლოვდება. მე გიტოვებ შენ ჩემს მემკვიდრეობას: ამ ქოხს, რომელიც ქარისა და ავდრისაგან დაგიფარავს და, გარდა ამისა თითისტარს, მაქოს და ნემსს; იშრომე, შვილო, და ლუკმა პურს ყოველთვის იშოვნი.

ქალს თავზედ ხელი დაადო, დალოცა და უთხრა:

— ოღონდ ყოველთვის კეთილი იყავ, და ღმერთი თავის წყალობას არ მოგაკლებს. სთქვა მომაკვდავმა, თვალები დახუჭა და განუტევა სული. ქალმა ცხარე ცრემლით დაიტირა თავისი გამზრდელი.

ამის შემდეგ ქალი პატარა ქოხში მარტოდ-მარტო ცხოვრობდა. ყოველთვის მუყაითად მუშაობდა: ართავდა, ჰქსოვდა და ჰკერავდა; დედაბრის ლოცვა-კურთხევის მადლი ზედ ეტყობოდა ყოველს იმის საქმეს: საკუჭნაოში სელი მუდამ გამოულეველი ჰქონდა, ნაქსოვს მაშინვე ჰყიდდა და ფასსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველთვის კარგს იღებდა. ამ რიგად არამც თუ რამე, ეშმაკი პირიქით სხვისი დახმარებაც შეეძლო.

იმ ჟამად იქაური ბატონიშვილი საცოლეს ეძებდა, ოღონდ არ უნდოდა არც მდიდრის და არც ღარიბის შერთვა.

— მე შევირთავ იმისთანა ქალს, რომელიც ყველაზე ულარიბესი და ყველაზედ უმდიდრესი იქნებაო.

მივიდა იმ სოფელში, სადაც ჩვენი ობოლი ცხოვრობდა.

ბატონიშვილმა ჩვეულებისამებრ, იკითხა,—„ვინ არის აქ ყველაზე ულარიბესი და ყველაზე უმდიდრესი გასათხოვარი ქალიო?," პირველად იმას დაუსახელეს ყველაზედ უმდიდრესი, ღარიბად-კი დაასახელეს ჩვენი ნაცნობი ქალი, რომელიც სოფლის ბოლოს, ბატარა ქოხში ცხოვრობდა.

მდიდარი საცოლო, ლამაზი და ძვირფასი ტანისამოსით მორთული, იჯდა თავის სახლის კარების წინ და, როცა მეფის მემკვიდრე მიუახლოვდა, ქალი წამოდგა მიეგება, და მდაბლად თავი დაუკრა. ყმაწვილმა ერთი-კი შეხედა და, ხმა არ გაუცია, ისევ თავის გზას გაუდგა. მივიდა ღარიბი ქალის სახლში, რომელიც ოთახში იყო და საქმეს უჯდა.

ვაჟმა ცხენი შეაჩერა და ფანჯარაში შეიხედა, რომ გაეგო, რას აკეთებდა ქალი.

ქალი მზის სხივებით განათებული იჯდა და გულდასმით რთავდა. ფანჯარისკენ მიიხედა, დაინახა, რომ მას ბატონიშვილი მისჩერებოდა, ცეცხლივით აენთო, თავი ჩაღუნა და განაგრძო თავის სამუშაო. სწორ ძაფს ართავდა, თუ არა, მაგისი რა მოგახსენოთ, მაგრამ ეს-კი მართალია, რომ თავ აუღებლადა რთავდა, სანამ მეფის ვაჟი არ მოშორდა ფანჯარას და თავის გზას არ გაუდგა. მაშინ თვით ქალი მიუახლოვდა ფანჯარას, გააღო და თავისუფლად ამოისუნთქა:

— ოჰ, რა ცხელა ოთახში!

ვაჟს თვალი გააყოლა და ვიდრე იმის ქუდზედ გაკეთებულ თეთრ ფრთას გაარჩევდა, ფანჯარას ველარ მოშორდა.

შემდეგ ისევ თავის ხელსაქმეს მიუჯდა და დაიწყო რთვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაგონდა ერთი სიმღერა, რომელსაც მისი მოხუცებული დედა მღეროდა ხოლმე მუშაობის დროს და თითონაც დაიწყო:

ჩემო კარგო თითის-ტარო,
თუ რომ გინდა გამახარო,
მაშ საქმრო უნდა მომგვარო.

ეს სთქვა და. რა მოხდა, იცით, ჩემო პატარა მკითხველებო? თითის-ტარი უეცრივ ხელიდან გაუსხლტა და პირდაპირ კარებისკენ გაქანდა. ქალი გაშტერებული დარჩა, მიიხედა და დაინახა, რომ თითისტარი იატაკზედ მხიარულად ცეკვავდა და თან მშვენიერ ოქროს ძაფს ართავდა. მერმე სულაც გაქრა. ქალმა ხელში აიღო მაქო, ჯარას მიუჯდა და ქსოვა დაიწყო.

ამ დროს თითისტარი საშინელი სიჩქარით მირბოდა. ირბინა, ირბინა და მაშინ შეჩერდა, როცა ბატონიშვილს დაეწია; სწორედ იმ დროს გამოილია იმაზედ დახვეული ოქროს ძაფიც.

— ამას რას ვხედავ?—წამოიძახა ვაჟმა—ნუ თუ ჩემი გზის მაჩვენებელია ეს თითისტარი? მოაბრუნა ცხენი და გამოჰყვა ოქროს ძაფს. ქალი ამ დროს სამუშაოს უჯდა და მღეროდა:

— საფეიქრო ჩემო მაქო,
სუფთად მომიქსოვე ხალი;
კარგი საქმროც მომიყვანე,
გენაცვალოს ჩემი თავი!

მაქოც უცბად გაუხტა ხელიდან და გარედ გავარდა. კარის ზღურბლიდანვე დაიწყო ისეთი ხალის ქსოვა, რომლის სილამაზე და სიმშვენიერე არსად არც ნახულა და არც თქმულა. ხალს კიდეებზედ ვარდი და ზამბახი ჰქონდა შემოვლილი, შუა გულში ოქროს ნაკერზედ. ამწვანებული შტოები, რომელთ ქვეშ კურდღელნი და კურდღლის ბაჭიები დახტოდნენ; ტოტებ შუა ირმებს და ქურციკებს ჰქონდათ თავი გამოყოფილი; ტოტებზედ ჩამომჯდარიყვნენ სხვა და სხვა ფრინველები, რომელნიც ისე გამოიყურებოდნენ, თითქო ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის გალობა უნდა დაიწყონო. მაქო აქეთ-იქით ბრიალებდა და ხალი თავის-თავად იქსოვებოდა.

რადგან მაქო ქალს ხელიდან წაუვიდა, აიღო ნემსი ⁄ კერვა დაიწყო. ნემსი ხელში ეჭირა, ჰკერავდა და თან მღეროდა:

ჩემო ნემსო, მარჯვე ნემსო,
წვეტიანო და ტანწვრილო!
სახლი კარგად მომიმზადე,
რომ ჩემს საქრმოს მოვულხინო.

ნემსი თვალის დახამხამების უმალ თითებიდან გაუძვრა და ელვასავით დატრიალდა ოთახში თითქო უხილავნი სულნი შეუდგნენ მუშაობასო: მაშინვე ძვირფასი საფენი გაშალეს, სუფთა სუფრა გადააფარეს სავარძელს ხავერდი გადააკრეს; მაგდას ფანჯრებს აბრეშუმის ფარდები ჩამოაფარეს. ამ დროს ფანჯრიდგან გამოჩნდა თეთრი ბულბული ბატონიშვილის ქუდისა, რომელიც თითისტარზე დახვეულს ოქროს ძაფს მოსდევდა. ცხენიდან ჩამოხტა, მშვენიერ ხალზედ გაიარა და შეევიდა სახლში; ქალი თავის ლარიბ ტანისამოსით შუა გულ ოთახში იდგა, და უფრო ლამაზი იყო, ვიდრე ძვირფას სამკაულებით მორთული მდიდარი ქალები.

— შენა ხარ ყველაზედ ულარიბესი და ამასთან ყველაზედ უმდიდრესი! — უთხრა მეფის ვაჟმა. წავიდეთ, დღეიდგან შენა ხარ ჩემი მეუღლე.

ქალმა ხმა ამოუღებლად გაუწოდა მას ხელი; ვაჟმა აკოცა, სახლიდან გამოიყვანა, ცხენზე შემოისვა და თავის სასახლეში წაიყვანა, სადაც მხიარული მდიდარი ქორწილი გადაიხადა. თითისტარი, მაქო და ნემსი სხვა ძვირფას ნივთებთან ერთად მძიმედ შეინახეს სალაროში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფლეთილი ფეხსაცმელი

ყო და არა იყო რა, იყო ერთი მეფე, რომელსაც თორმეტი ქალი ჰყავდა, ერთი მეორეზედ ულამაზესი. ქალები იწვნენ ერთს დიდ ოთახში, სადაც მათი საწოლები რიგზედ იყო ჩამწკრივებული. ყოველ საღამოს, ქალები რომ დაწვებოდნენ, მეფე მათ საწოლ ოთახს თავის ხელით ჰკეტავდა, მაგრამ ყოველ დილას, მათ ლოგინთან ცეკვისგან დაფლეთილს ფეხსაცმელს ჰპოვებდა. ვერავინ ვერ მიმხვდარიყო, რანაირად ხდებოდა ეს ამბავი!

ბოლოს მეფემ გამოაცხადა, ვინც გაიგებს, ჩემი ქალები ღამღამობით სად ცეკვავენ, რომელსაც მოისურვებს, ცოლად შევრთავ და გარდა ამისა, მემკვიდრედაც გავიხდიო... მაგრამ ვინც ამას იკისრებს და ვერ შეასრულებს, სიცოცხლეს გამოესალმებაო.

გამოჩნდა ერთი მეფის შვილი, რომელმაც იკისრა ამ საიდუმლოების გაგება. ვაჟი შესაფერად მიიღეს, საღამოს დაწვინეს იმ ოთახში, რომელიც ქალების საწოლ ოთახის გვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდით იყო. რადა ქალები საიდუმლოდ არ გაპარულიყვნენ, ვაჟის ოთახის კარი, რომელიც იმათ ოთახში შედიოდა, დატოვეს.

თუმცა მეფის ვაჟს ძალიან უნდოდა არ დასძინებოდა, იგრძნო, რომ თვალები თავის თავად ეხუჭებოდა და მალე დაიძინა კიდეც.

მეორე და მესამე დღეს იგივე გამეორდა...

მეორე დილას ნახეს, რომ თორმეტ დას მთელი ღამე ეთამაშნათ და ფეხსაცმელი მთლად დაეფლითათ.

მეორე და მესამე ღამესაც იგივე მოუვიდა ჩვენს დარაჯს, რომელსაც შეუწყნარებლად მოსჭრეს თავი.

ბევრმა იკისრა ამ გამოცანის ახსნა, მაგრამ ყველას სიკვდილი ერგო ჯილდოდ.

ერთ ღარიბ ჯარისკაცს მოუხდა იმ ქალაქში გავლა; ჭრილობისა გამო სამსახურისათვის თავი დაენებებინა. გზაზედ შემოეყარა ბებერი დედაკაცი, რომელმაც ჰკითხა, საით მიდიხარო?

— მე თვითონაც არ ვიცი კარგად, მიუგო მან და შემდეგ მასხრობით დაუმატა:

— იქნება გავიგო, სად ცეკვავენ ღამ-ღამობით მეფის ქალები და ბოლოს მეფედაც გავხდე?

— არც ისე ძნელი გახლავთ მაგის გაგება, უთხრა დედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერმა.—ერთია საჭირო: ნუ დალევ ღვინოს, რომელსაც ეფ ქალები შემოგთავაზებენ და თავი მოიმძინარე.

ერთი წამოსასხამი მისცა და დაუმატა:

— ამას მოიხურავ, უჩინო შეიქნები და ისე ადევნებ მეფის ქალებს თვალ-ყურს, რომ ვერ დაგინახავენ.

მოისმინა ეს რჩევა ჯარისკაცმა და გადასწყვიტა გაემართლებინა თავისი ხუმრობა. მეფესთან წავიდა და გამოუცხადა, რომ ის მზად არის გამოიცნოს, თუ მისი ქალები ღამეს სად ატარებენ. ისიც ისევე კარგად მიიღეს, როგორც დანარჩენები, და მაშინვე სამეფო ტანისამოსი ჩააცვეს.

საღამოს ისიც იმ ოთახში შეიყვანეს, რომელიც მეფის ქალების საწოლ ოთახის გვერდით იყო. დასაძინებლად დაწოლას რომ აპირებდა, უფროსმა ქალმა ფიალით ღვინო მიართვა. მაგრამ ჯარის კაცმა ნიკაპ ქვეშ ღრუბელი მიიკრა, ღვინო შიგ ჩაასხა და ცვარიც არ დაულევია. შემდეგ ქვეშაგებში ჩაწვა და ძალზედ ხვრინვა ამოუშვა, თითქო მაგრად სძინავსო. რა მოესმათ ჭაბუკის ხვრინვა, ქალებმა სიცილი ასტეხეს, უმფროსმა-კი სთქვა:

— საცოდავი! ესეც მალე გამოესალმება წუთის სოფელს! წამოხტნენ, ამოიღეს მშვენიერი და ძვირფასი კაბები, დაიწყეს სარკის წინ ჩაცმა; თან გახარებულნი იცინოდნენ, ცელქობდნენ, ხუმრობდნენ. მხოლოდ უმცროსმა უთხრა:

— თქვენ აგრე მხიარულობთ და მე-კი, მეც არ ვიცი რისთვის, გული რაღასაც ცუდს მითქვამს, თითქო რაღაც უბედურება უნდა გვეწიოსო!

— რა მხდალი რამა ხარ!—მიუგო უფროსმა დამ.—განა დაგავიწყდა, რამდენი მეფის ვაჟი დაიღუპა ამ რიგად? ამ ჯარისკაცისთვის დასაძინებელი სასმელიც არ იყო საჭირო. ამას უმისოდაც ვერ გააღვიძებ; ვერა ხედავ, როგორ ძალზედ ხვრინავს? როცა ქალები მოირთვნენ, მოიკაზმნენ, ერთხელ კიდევ დახედეს, სძინავს, თუ არა ჩვენს დარაჯსაო; მაგრამ ის უძრავად იწვა, თვალები დახუჭული ჰქონდა, და მეფის ქალებს თავიანთ თავი ყოველსავე საფრთხეს გარეშე ეგონათ.

უფროსი ქალი მივიდა თავის საწოლთან და [illegible] საწოლი იმავ წამს გაქრა, მის ადგილას იატაკ[illegible] ქირს ჩასავალი კიბე გამოჩნდა; ქალები ჩავიდნენ; წინ უფროსი მიუძღოდა.

დარაჯი ყველა ამას ჰხედავდა; უცბად წამოიხურა თავისი წამოსასხამი და უკან გაჰყვა; უმცროსი ქალი ბოლოს მიდიოდა. შუა კიბეზედ რომ იყვნენ, უცაბედად კაბაზედ ფეხი დაადგა; ქალს შეეშინდა და შეჰკივლა:

— ეს რა ამბავია? ვილამაც ფეხი დამადგა კაბაზედ!

— ოჰ, რა მშიშარა ხარ?!—უთხრა უფროსმა დამ.

— ლურსმანს მოედებოდა.

კიბეზე ჩავიდნენ და მშვენიერ ხეივანში გავიდნენ, სადაც ხეებს ვერცხლის ფოთლები ესხა.

— აქედან სახსოვრად უნდა წავიღო რამე, სთქვა ჯარისკაცმა და ერთი ტოტი მოსტეხა, რომელმაც საშინელი ტკაცანი გაადინა. უმცროსმა ქალმა შეჰკივლა:

— გაიგონეთ? ეს რა ხმა იყო?

— გახარებული პრინცები თოფებს ისვრიან! იციან რომ მალე გავათავისუფლებთ.—უპასუხა უფროსმა დამ.

შემდეგ მეორე ხეივანში შევიდნენ, აქ ხეებს ოქროს ფოთლები ჰქონდათ. ბოლოს—მესამეში, სადაც ფოთლები წმინდა ბრილიანტებისა იყო.

ჩვენი დარაჯი ყველგან ხეივანში თითო ტოტს სტეხდა და ყოველთვის საშინელი ტკაცანი ისმოდა; უმცროსი ქალი შიშისაგან კრთოდა, უფროსი-კი ამშვიდებდა და არწმუნებდა, გახარებული პრინცები თოფებს ისვრიანო.

ბოლოს მიადგნენ დიდ ტპას, სადაც თორმეტი პატარა ნავი ნახეს, თითო ნავში იჯდა თითო ლამაზი და ახალგაზდა პრინცი, რომელნიც მეფის ქალებს ელოდნენ. პრინცებმა თავიანთ ნავში ჩაისვეს თითო ქალი; ჯარის კაცი იმ ნავში ჩაჯდა, რომელშიც უმცროსი ქალი იჯდა.

— რა მოუვიდა დღეს ჩვენს ნავს? კვლავინდელზედ მეტად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმეა: რაც ძალი და ლონე მაქვს ნიჩაბს ვუსვამ და ძლივ ვერევი,—სთქვა უმცროსმა პრინცმა.

— ძალიან ცხელა,—მიუგო ქალმა,—მეც რაღაც უქეიფოდ გახლავართ.



ტბის მეორე ნაპირზედ მშვენიერი ციხედარბაზი იყო წამოჭიმული...

ტბის მეორე კიდეს იდგა უმშვენიერესი, მდიდრულად მორთული და განათებული სასახლე, საიდანაც მხიარული მუსიკის ხმა ისმოდა. პრინცებმა ნავები ამ სახლის პირდაპირ გააჩერეს, სასახლეში შევიდნენ და დაიწყეს ცეკვა. ჯარისკაციც შეუმჩნევლად ცეკვავდა იმათთან. როცა ვინმე თასით ღვინოს აიღებდა, ის შეუმჩნევლად ადრევე გამოუცლიდა და პრინცები ცარიელ თასს ეწაფებოდნენ.

ყოველივე ეს აშინებდა უმცროს ქალს, უფროსი-კი მუდამ ამშვიდებდა.

მეფის ქალებმა დილის სამ საათამდის იცეკვეს, სანამ მათი ფეხსაცმელი მთლად დაიფლითებოდა, ბ შინ წამოვიდნენ. პრინცებმა ისევ ტბის მეორე მხარეს გამოიყვანეს. ამ გზით დარაჯი უფროს ქალთან ჩაჯდა. ტბის ნაპირას მეფის ქალები პრინცებს გამოეთხოვნენ და შეჰპირდნენ, ხვალამ უთუოდ მოვალთო.

ქალები რომ კიბეზე ადიოდნენ, დარაჯმა გაუსწრო და თავის ლოგინში ჩაწვა. დალლილ-დაქანცულ ქალებს თავიანთ საწოლოთახში ცხადლივ მოესმათ იმისი საშინელი ხვრინვა და სთქვეს:

— ეს-კი საშიში არ არის ჩვენთვის. გაიხადეს, შეინახეს თავიანთი საგარეო ტანისამოსი, გაცვეთილი ფეხსაცმელი-კი საწოლ-ქვეშ შეჰყარეს და დაწვნენ დასაძინებლად.

ჯარისკაცმა გად-სწყვიტა, ჯერ გაჩუმებულიყო და კიდევ ენახა ეს სასიამოვნო ამბავი. მეორე და მესამე ღამეს ის

ისევ მეფის ქალებს გაჰყვა. ყოველიფერი ისე მოხდა, როგორც პირველ ღამეს: იმდენი იცეკვეს, რომ ფეხსაცმელი მთლად დაფლეთილი ჰქონდათ. მესამე ღამეს-კი ფეხსაცმელ საბუთად ღვინის თასიც თან წამოიღო.

მეფემ რომ დაიბარა, თან წაიღო სამი ტოტი და თასი. ქალები ამ დროს კარებს უკან იყვნენ და ყურს უგდებდნენ, რას ეტყვის ჩვენი დარაჯი. მეფემ ჰკითხა:

ჯარის კაცმა დაწვრილებით უამბო ყველაფერი მეფეს..,

— ასე მალე სად გასცვითეს ჩემმა ქალებმა ეს ფეხსაცმელი?

— მშვენიერ სასახლეში, თორმეტ პრინცთან ცეკვა-თამაშობით, — მიუგო ჯარისკაცმა. — და ყოველიფერი დაწვრილებით უამბო, თან დასამტკიცებელი საბუთებიც წარუდგინა. მეფემ დაიბარა ქალები და ჰკითხა:

— მართალი სთქვა ჯარისკაცმა? — რაკი ქალებმა დაინახეს, რომ უკვე ყოველიფერი გამოქვეყნდა, ეარის თქმა ვერ გაბედეს და გულწრფელად გამოტყდნენ. მეფე ჯარისკაცს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— რომელი გინდა მეუღლედ?

— არც ისე ახალგაზდა გახლავართ, მეფეო, ნება მიბოძეთ, უფროსი შევირთო.

იმავე დღეს გადიხადეს დიდებული ქორწილი და ჯარის კაცი გამოაცხადეს ტახტის მემკვიდრედ.

პრინცები-კი იმდენ დღეს დარჩნენ მოჯადოებულნი, რამდენი ღამეც მეფის ქალებთან იცეკვეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შაშვისწვერა მეფე

ერთს მეფეს ჰყავდა მშვენიერი ქალი, რომლის დარი დედა მიწაზედ არ დაბადებულიყო, მაგრამ ისეთი ამაყი, რომ არც ერთი საქმრო მისი გემოსი არ აღმოჩნდა,—ყველას წუნს სდებდა და დასცინოდა.

ერთხელ მეფეს დიდი ნადიმი ჰქონდა და ყველა შორეულ და მახლობელ ადგილებიდან დაჰპატიჟა სასიძოები. ყველანი მწკრივად დადგნენ, მათდა წოდების მიხედვით: წინ მეფეები, შემდეგ ჰერცოგები, თავადები, გრაფები, ბარონები და, ბოლოს, უბრალო აზნაურები.

მეფის ქალმა ჩამოიარა მთელი რიგი და ყოველ სასიძოს რაიმე წუნი დასდო. ეს მეტად მსხვილია: სადღვებელსა ჰგავსო; მეორე აყლაყუდა არის, მესამე ქონდრის კაცია! მეოთხე სამარიდგან ამოღებულსა ჰგავს, მეხუთე ინდოურია; მეექვსე ისრე მოღუნულა, თითქო ნედლი ხე იყოს, ცეცხლთან მიდებული!

ყველაში ნახა რამე ნაკლულევანება, მაგრამ ყველაზე მეტი ერთს მეფეს დასცინა, რომელსაც ოდნავ შეწეული ნიკაპი ჰქონდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გენაცვალეთ, ერთი ამას შეხედეთ! წამოიძახა ქალ, შაშვისწვერა თუ არ გინახავთ, აი აქა ნახეთ.

დაერქვა და დაერქვა უბედურს, შაშვისწვერა მეფე.

როცა მოხუცმა მეფემ ნახა, რომ იმისი ქალი ყველას სასაცილოდ იგდებდა, განრისხდა და ფიცი დასდო, ჩემ ქალს მივათხოვებ პირველს გლახას, რომელიც ჩემი სასახლის კარს მოადგებაო.

არ გასულა ორი დღე, სასახლის კართან მთხოვარი მივიდა და მოწყალება ითხოვა. მეფემ ბრძანა, შემოიყვანეთ აქ ეგ გლახაო.

შემოვიდა საწყალი, ძონძებში გახვეული მესაკრავე, ერთი ლექსი იმღერა ⁄ მოწყალების თხოვნა დაიწყო,—მეფემ უთხრა:

— მე შენი სიმღერა ისე მომეწონა, რომ მინდა ჩემი ქალი ცოლად მოგცე.

ქალი შეკრთა, მაგრამ რას იზამდა. მეფემ განაგრძო:

— მე ფიცი დავდე, პირველსავე მათხოვარს, რომელიც ჩვენს კარს მოადგება, მიგათხოვო და მე მინდა ჩემი სიტყვა შევასრულო.

ქალს არავითარი ვედრება და ხვეწნა არ გაუვიდა: დაუძახეს მღვდელს და ჯვარი-კი გადასწერეს.

— ხომ იცი,—უთხრა მეფემ, რომ მათხოვრ ს ცოლს არ შეშვენის სასახლეში ყოფნა; ეხლა შენის ქმრით საითაც გინდა, იქით მიბრძანდი.

მათხოვარმა ცოლს ხელი მ-ჰკიდა და ქალიც იძულებული იყო თან გაჰყოლოდა... ფეხით, რადგან გლახას ეტლებს ვინ მიაქვავებდა!

როცა ერთ დიდ დაბურულ ტყეში შევიდნენ, ქალმა ჰკითხა:

— ვის ეკუთვნის ეს დიადი და მშვენიერი ტყე?

— შაშვისწვერა მეფეს. შენ რომ იმას ცოლად გაჰყოლოდი, ეს ტყე შენი იქნებოდა.

— ოჰ, მე უბედური! რა ღმერთი გამიწყრა, ნეტავი!.

აი, ერთ თვალუწვდენელ მინდორს მიადგნენ.—ქალმა ჰკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვის ეკუთვნის ეს მშვენიერი ამწვანებული მინდორი?

— შაშვის წვერა მეფეს, შენ რომ იმას ცოლად გაჰყოლოდი,—ეს შენი იქნებოდა.

— ოჰ, მე უბედური!—რა ღმერთი გამიწყრა, ნეტავ!

აი, მიადგნენ ერთს ქალაქს, და ქალმა ისევ იკითხა:

— ვის ეკუთვნის ეს დიდი და მშვენიერი ქალაქი?

— შაშვის წვერა მეფეს.—შენ რომ იმას გაჰყოლოდი, ეს ქალაქი შენი იქნებოდა.

— ოჰ, მე უბედური! რა ღმერთი გამიწყრა, ნეტავ!

— ეგ მე სრულებითაც არ მესიამოვნება, — მიუგო გლახამ, რომ შენ აგრე ხშირად იგონებ შაშვის წვერა მეფეს და სწუხარ, რატომ არ მითხოვდიო. მაშ მე არ მოგწონვარ, მე, შენი ქმარი?

მთხოვარმა ხელი ოჰკიდა...

ბოლოს მიადგნენ ერთ პატარა ქოხს.—ქალმა აქაც ჰკითხა:

— რა პატარა ქოხია! ვის ეკუთვნის ეს საცოდავი ლარიბი ქოხი?

— ჩვენი სახლია, სადაც ჩვენ უნდა ვიცხოვროთ,—მიუგო ქმარმა.

ქოხში შესვლის დროს, მეფის ქალს თავი ძირს უნდა დაეღუნა, რომ კარისთვის თავი არ მიერტყა.

— სად არიან ჩვენი მოსამსახურეები?—ჰკითხა ცოლმა.

— მოსამსახურეები? რას ბრძანებ, ქალო?!

— შენ თითონ შენი ხელით უნდა გააკეთო ყოველიფერი. აბა, ჩქარა, ცეცხლი დაანთე და წყალი დასდგი: საჭმელი რამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოვხარშოთ; ჩქარა, ეშიან და დალალულიც ვარ, ლოდინი
აღარ შემიძლიან.



ტყეში შევიდა, წნელი მოსჭრა და შინ მოიტანა..

მაგრამ მეფის ქალს არ შეეძლო არც ცეცხლის დანთება, არც საჭმლის გაკეთება და ისევ ჩვენმა მათხოვარმა გააკეთა ყოველიფერი.

ცოტა რამ შესჭამეს და დაწვნენ დასაძინებლად. მაგრამ მეორე დილას ქმარმა ცოლი ძლიერ ადრე გააღვიძა, რომ სახლისთვის მოეცლო. ამრიგად ცარიელი პურით იცხოვრეს ორი დღე. როცა ყოველიფერი შემოელიათ, ქმარმა უთხრა:

— ყური დამიგდე, საქმის გაუკეთებლად ცხოვრებაც არ შეიძლება. კალათი მაინც უნდა დაწნა ხოლმე, აგრე ხომ არ იქნები უქნარად. ქმარი ტყეში შევიდა, წნელი მოსჭრა და სახლში მოიტანა. ცოლმა კალათის წვნა დაიწყო, მაგრამ უდრეკმა და მაგარმა წნელმა ნაზი თითებიდან სისხლი გამოადინა.

— ერი-ჰაა! წამოიძახა ქმარმა,—მე ვხედავ, რომ აქედან არაფერი გამოვა; სჯობს დაჯე და რთვა დაიწყე; შეიძლება ეს უფრო კარგად მოახერხო.

დაიწყო რთვა, მაგრამ მაგარმა ძაფმა ნაზ თითებიდან სისხლი ადინა.

— უბედურები თუ გინდა, ეს არის!—სთქვა ქმარმა. სჩანს, შენ არაფრის გაკეთება არ შეგძლებია. გაგვიძნელდება ცხოვრება! ან და ვეცადოთ რასმე ვაჭრობა დავიწყოთ ქოთნებით და ერთობ ჭურჭლით! ბაზარში გაიტანე ჭურჭელი და დაიწყე ვაჭრობა.

— ღმერთო ჩემო! —წამოიძახა მეფის ქალმა. ბაზარში რომ ვინმე მამიჩემის ქვეშევრდომთაგანმა მნახოს, ხომ საშინელება იქნება! მასხარად ამიგდებენ, რაღად მინდა თავი ცოცხალი!

მაგრამ მეტი ღონე არ იყო, სიმშილით ხომ არ მოკვდებოდა? პირველად საქმე ძალიან კარგად წავიდა: ქალი ისეთი ლამაზი იყო, რომ დიდი სიამოვნებით ყიდულობდნენ იმისგან საქონელს და იმდენს აძლევდნენ, რამდენადაც დააფასებდა; ბევრი ისე აძლევდა ფულს, რომ ქოთნები-კი არმიჰქონდა.

ამ რიგად ცხოვრობდნენ რამოდენიმე ხანს. როცა ყველა ჭურჭელი გაიყიდებოდა, ქმარი ისევ ახალს უყიდდა. ერთხელ მეფის ქალი თავის ჭურჭლით ბაზარში ერთს კუთხეში მიჯდა, ჭურჭელი გაჰშალა და დაიწყო ვაჭრობა. ამ დროს ერთმა მთვრალმა მხედარმა გამოაქროლა ცხენი, დაეძგერა ქოთნებს და მთლად დაამსხვრია. ქალმა ტირილი მორთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უი, დამიდგა თვალები! — ეს რა დამეართა! რა ვუთხრა ახლა ჩემს ქმარს?

გაიქცა სახლში და უამბო ქმარს თავისი უბედურება.

—ვინ დაალაგებს ჭურჭელს კუთხეში? —მიუგო ქმარმა,— კმარა, რა გაღრიალებს! ეხლა-კი ვხედავ, რომ შენ არაფრისთვის გამოსადეგი არა ხარ. ერთი უკანასკნელი საშუალებაც ვცადოთ: მე დღეს ჩვენი მეფის სასახლეში ვიყავი და იქ დამპირდნენ, ჭურჭლის მრეცხველად ავიყვანთო... საჭმელს იმდენს მოგცემენ, რომ ორივეს გვეყოფა.

გახდა ჩვეული წესია და ამპარტავანი ქალბატონი ჭურჭლის მრეცხავად: მზარეულს ეხმარებოდა, ქვაბებს ჰხეხდა და ჭურჭელს რეცხდა. ორივ ჯიბეში ბაწრით ქოთნები მიიბა, რომლითაც შინ საჭმელი მოჰქონდა და ამით იკვებებოდნენ ცოლ-ქმარი

აგერ მეფის სასახლეში გაჩაღდა საქორწილო ნადიმი, ჯვარი უნდა დაეწერათ უფროსი ვაჟისთვის. საწყალი ჭურჭლის მრეცხავი ავიდა ზემო სართულში დარბაზის კარს მიეყუდა და დღესასწაულს უყურებდა.

სანთლებს მოუკიდეს, კანდელი გააჩაღეს. სტუმრები ნელ-ნელა გროვდებოდნენ, ერთი მეორეზედ უკეთ ჩაცმულნი. ყოველგან სიმდიდრეს და სიმშვენიერეს ჰხედავდა, თავის ბედზედ ფიქრობდა და თან თავის სიამაყეს და უკადრისობას სწყევლიდა, რომელთაც ასე დაამცირეს და ასეთ სიღარიბეში ჩაგდეს. ხანდახან მოსამსახურენი გემრიელ საჭმელს სთავაზობდნენ ჩუმად, ის-კი ამ საჭმლებს თავის ქოთნებში ალაგებდა სახლში წასაღებათ.

დარბაზში შემოვიდა თვით ბატონიშვილი; სულ ბრეშუმის და ხავერდის ტანისამოსი ეცვა, ყელზე ოქროს ძეწკვი ეკიდა. დაინახა თუ არა კარებთან მდგომი ლამაზი ჭურჭლის მრეცხავი, ხელი სტაცა, რომ მასთან ეცეკვა. მაგრამ ქალი უარზე იდგა. ძლიერ შეშინებული იყო, რადგან იცნო — შაშვის წვერა მეფე, რომელიც იმან სასაცილოდ აიგდო. ქალს წინააღმდეგობამ ვერ უშველა: მეფემ ძალით ათამაშა. ამ დროს გაუწყდა ბაწარი, რომლითაც ქოთნები ჰქონდა ჩამოკიდებული, ქოთნები ჩამოცვივდა და დაიმსხვრა. წვნიანი, რომელიც შიგ იყო ერთიანად დაიღვარა. საერთო სიცილი ატყდა დარბაზში, ქალს-კი ისე შერცხვა, რომ ერჩივნა დედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწა გამსკდარიყო და ქვეშ მოჰყოლოდა. კარებისკენ გაიქცა ქანა, გაქცევა უნდოდა, მაგრამ კიბესთან ეიღამაც ხელი სტაცა და ისევ დარბაზში შეიყვანა: ეს იყო ისევ შაშვისწვერა მეფე. აქ მეფემ ტკბილად და ნაზიდობიანად უთხრა:

— ნუ გეშინია, მე თვით ის გლახა ვარ, რომელთანაც შენ ლარიბ ქოხში ცხოვრობდი; შენი სიყვარულისა გამო მე მათხოვარი გავხდი; მე ვიყავი ის მხედარი, რომელმაც შენ ქოთნები დაგიმტვრეო. ყოველივე ეს იმისთვის მოვიმოქმედე, რომ შენთვის სიამაყე მომეშლევინებინა და უკადრისობისთვის ღირსეულად დამესაჯე. გახსოვს, სასაცილოდ ამიგდე და მეფეს უარი მითხარი, შენი ცოლობა არ მინდაო?

ქალმა გულამოსკვნით ტირილი დაიწყო და სთქვა:

— მე ძლიერ ცუდად ვიქცეოდი და არცა ვარ ღირსი შენი ცოლობისა!

— დამშვიდდი, შენი ტანჯვა უკვე გათავდა და ეხლა ჩვენი ქორწილი უნდა ვიდღესასწაულოთ.

მოვიდნენ მოახლენი და მშვენიერი და ძვირფასი ტანისამოსი ჩააცვეს. მოვიდა ქალის მამა მთელი თავის ამალით. ყველას სურდა იმათი ბედნიერება და იმისთანა მხიარული ქორწილი გაეჩაღეს, რომ უკეთესი არ შეიძლება.

კარგი იქნებოდა, ჩემო მკითხველო, მე და შენც დავსწრებოდით იმ ქორწილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა